

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ირინე იაკობიძე

ცოდნის ამსახველი ლექსიკა ქართულში

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ტაბიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია	5
Abstract	8
წინასიტყვაობა	11
თავი I . სემანტიკური ველის თეორია	16
1.1. ლექსიკის სემანტიკური თვალსაზრისით შესწავლის გზები და მიმართულებები	16
1.2. ლექსიკური ფონდის თემატური დანაწევრების საკითხი	27
თავი II. გონიერების ცნების კვლევის ისტორია	33
2.1. გონიერების ცნება. გონების, შემეცნების, მენტალური აქტივობის არსი და მისი ლექსიკური გამოხატულების საკითხის კვლევის ისტორია	33
2.2. ცოდნა-გონიერებასთან დაკავშირებული ფუძეები ქართულ ლექსიკონებში	39
2.3. ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკის სემანტიკური ბუდე ქართულში	46
თავი III. ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“	50
3.1. ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური ბუდე სულხან-საბასთან.....	51
3.2. ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები სულხან-საბას „სიტყვის კონაში“	59
თავი IV. ადამიანის მენტალური მოღვაწეობის აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური სივრცე „ვეფხისტყაოსანში“	61
4.1. ცან/ცნობა- ძირის სემანტიკისათვის	64

4.2. გონ-	ძირის სემანტიკისათვის	66
4.3. სწავლ-	ძირის სემანტიკისათვის	72
4.4. ცოდნა-	ძირის სემანტიკისათვის	73
4.5. ბრძენ-	ძირის სემანტიკისათვის	74
4.6. ჭკუა-	ძირის სემანტიკისათვის	76
4.7. აზრ-	ძირის სემანტიკისათვის	77
თავი V. უმეცნების ლექსიკა სახარებაში		80
5.1. სახარების თარგმნის ისტორიისათვის		81
5.2. ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური სივრცე სახარებაში		82
5.3. გონ-	ძირის სემანტიკისათვის	85
ა) გ. მთაწმინდელთან		85
ბ) ბ. ბრეგვაძესთან		92
5.4. ცან/ცოდნ-	ძირის სემანტიკისათვის	101
ა) გ. მთაწმინდელთან		101
ბ) ბ. ბრეგვაძესთან		109
5.5. ბრძენ/ბრძ-	ძირის სემანტიკისათვის	116
ა) გ. მთაწმინდელთან		118
ბ) ბ. ბრეგვაძესთან		121
5.6. სწავლ-	ძირის სემანტიკისათვის	122
ა) გ. მთაწმინდელთან		122
ბ) ბ. ბრეგვაძესთან		124
5.7. ფიქრ-	ძირის სემანტიკისათვის	130
5.8. ჭკუა-	ძირის სემანტიკისათვის	135

თავი VI. მენტალურ დეფექტებზე მიმანიშნებელი ლექსიკის ფორმოზრივ-სემანტიკური დახასიათება	136
თავი VII. მენტალური შეზღუდულობის, სიბრძნე-გონიერების არქონის, ინტელექტუალური კნინობისა და სხვა უარყოფითი კონოტაციის გამოხატვის საშუალებები	139
7.1. უარყოფითი ფორმები ლექსიკონში	142
7.2. უარყოფითი ფორმები სულხან-საბას ლექსიკონში	143
7.3. უარყოფითი ფორმები სახარებასა და „ვეფხისტყაოსანში“	143
დასკვნები	146
დამოწმებული ლიტერატურა	151

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი „ცოდნის ამსახველი ლექსიკა ქართულში“ წარმოადგენს ცოდნა-გონიერება-შემეცნების ფარგლებში მოქმედი ლექსიკის სემანტიკური ველის შემოსაზღვრის, კლასიფიცირებისა და მნიშვნელობის ცვლის დინამიკაზე დაკვირვების მცდელობას. ლექსიკის შესწავლა აუცილებელი და საშური საქმეა ყოველ ეპოქაში, მეტადრე ჩვენს ეპოქაში, როდესაც ელექტრონული ლექსიკონების ბუმია და მათზე მუშაობა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ლექსიკოლოგიურ კვლევებს ოცდამეერთე საუკუნეში ენის დისკურსული შესწავლისა და ტექსტის ლინგვისტიკის „ახალმა გამოწვევებმა“ მოუხწრო, რამაც დამატებითი შეკვეთა მოიტანა, ლექსიკა უნდა იქნეს შეცნობილი არა მხოლოდ მისი სალექსიკონო განმარტებით, არამედ მისი კონტექსტუალური და დისკურსული გარემოს გათვალისწინებით.

ლექსიკის უძველესი ფენის შინაარსობრივი დახასიათება, ჩვეულებრივ, სემანტიკური ჯგუფების გამოყოფით იწყება. ამგვარი ჯგუფები ქართულ ლექსიკაშიც მეტ-ნაკლები განსხვავებით უკვე არის გამოვლენილი. ერთ-ერთი განსაკუთრებით საინტერესო ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სეგმენტი ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების ცნებითსა და სიტყვიერ დიფერენციაციას უკავშირდება (მაგ.: სემანტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა სიტყვა **გონი**, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ფუნქციით გვხვდება). ნებისმიერ ენასა და მეტყველებაში ლექსემათა მუდმივი ურთიერთქმედების შედეგად ხდება ლექსიკის მნიშვნელობათა სახეცვლა, რასაც განაპირობებს ამ უკანასკნელთა არამკაფიო საზღვრები და აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის კავშირის თვისობრივი ცვალებადობა.

დროთა განმავლობაში საზოგადოება იცვლის დამოკიდებულებას ნებისმიერი ცნების მიმართ. წარმოდგენილ ნაშრომში საკვლევი ფუძეების გამოყოფა საკმაოდ მგრძნობიარე საკითხი აღმოჩნდა და ცხადი გახდა, რომ ცალკეული ლექსემის სემანტიკურ-კონოტაციური თვალსაზრისით დახარისხება და განმარტება ამოუწურავი სამუშაოა და ერთი ნაშრომის ფარგლებში ვერ ჩაეტევა. ამიტომ კვლევის ეს ეტაპი ძირითადი ლექსიკის კლასიფიკაციით შემოიფარგლა. ამ მიზნით შერჩეული ფუძეებია: **აზრ-ი, გონ-ი, ბრძენ-ი, სწავლა, ფიქრ-ი, ცოდნა, ცნობა, ჭკუა და სხვ.** მომდევნო უფრო

დეტალური ანალიზისათვის სპეციფიკური ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მოსამზადებლად.

ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკა ს. ს. **ორბელიანის „სიტყვის კონაში“** საკმაოდ ვრცელ და მრავალმხრივ სემანტიკურ ჯგუფს ქმნის, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე ფუძე (ძირი), ისინი, სხვადასხვა ამოსავალი მნიშვნელობის მიუხედავად, ბოლოს ერთ სემანტიკურ ველში გადაიკვეთნენ; თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ „გონიერების ველი“ ამ ლექსემათა უმრავლესობისათვის „უკანასკნელი სადგური“ სულაც არ არის.

როგორც კვლევამ აჩვენა, ცოდნა-გონიერების ლექსიკა მთლიანად ენის ლექსიკური სისტემის ბირთვული ნაწილის ერთ-ერთი ცენტრალური შემადგენელია. იგი დასტურდება უწყვეტი სიტყვაწარმოებითი სიახლეებისა და უძველესი ცნობიერებითი მოღვაწეობის ამსახველი შრეების თანაარსებობაში და მუდმივ სტიმულს აძლევს ახალწარმოებათა მიღების შემოქმედებით პროცესს.

სამწიგნობრო ქართული ენის შრეთა ლექსიკის გათანამედროვეება, სახარების, რუსთაველისა და საბასდროინდელი ლექსიკის შინაარსის გამარტივება და დღევანდელ სასაუბრო ენაზე მორგება არა მხოლოდ ენას, არამედ ერსაც „გონიერების“ მიღმა დატოვებს.

საკვალიფიკაციო ნაშრომის შესავალში განსაზღვრულია კვლევის მიზნები, ხაზგასმულია ნაშრომის აქტუალურობა, მეცნიერული სიახლე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა და კვლევის მეთოდოლოგია.

პირველი თავში განხილულია ლექსიკის სემანტიკური თვალსაზრისით შესწავლის გზები და მიმართულებები. ასევე წარმოდგენილია ლექსიკური ფონდის თემატურად დანაწევრების საკითხი.

მეორე თავში საუბარია გონიერების კვლევის ისტორიაზე, წარმოდგენილია ინტელექტის გაგებისადმი ფსიქოლოგების მხრიდან განსხვავებული მიდგომები და ლექსიკური გამოხატულებები. აქვე გამოვყოფთ ქართულ ლექსიკონებში ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელ ფუძეებს, წარმოვადგენთ განმარტებით ლექსიკონში ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ ბუდეს.

მესამე თავი ეძღვნება ს.ს. **ორბელიანის** ლექსიკონიდან ამოკრებილ ლექსიკასა და გონიერების ამსახველი ლექსიკის სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა - კლასიფიკაციას.

მეოთხე თავში წარმოდგენილია ადამიანის მენტალური მოღვაწეობის აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური სივრცე „ვეფხისტყაოსანში“.

მეხუთე თავი ეძღვნება შემეცნებითი ლექსიკის კვლევას სახარებაში. სახარების თარგმანებიდან ჩვენ შევარჩიეთ გიორგი მთაწმინდელის ვერსია და საკვლევი ლექსიკის კუთხით შევადარეთ თანამედროვე თარგმანს.

მეექვსე თავში წარმოდგენილია მენტალურ დეფექტებზე მიმანიშნებელი ლექსიკის ფორმოზრივ-სემანტიკური დახასიათება.

მეშვიდე თავი განიხილავს მენტალური შეზღუდვების, გონიერების არქონისა და სხვა უარყოფითი კონოტაციის გამოხატვის ენობრივ საშუალებებს.

ნაშრომი მთავრდება დასკვნითი ნაწილითა და დამოწმებული სამეცნიერო ლიტერატურის სიით.

Abstract

Doctoral Thesis „**Georgian Words Denoting–Knowledge**“ represents an attempt to specify, classify and observe the dynamic of change of the semantic field of vocabulary, dealing with the notion of intelligence–knowledge–cognition. Studying the vocabulary is essential and urgent topic, particularly in our epoch, when there is the boom of electronic dictionaries and working on them is connecting with big difficulties.

In XXI century lexical studies encountered „new challenges“ when dealing with discursive studies and linguistics of texts, which brought additional demands–vocabulary should be cognized not only by its definition, registered in the dictionary, but by its contextual and discursive environment too.

Contextual characteristic of old layers of vocabulary, as a rule, starts with the demarcation of semantic groups. Such groups with fair difference are found in Georgian vocabulary too. One of the most interesting lexical-phraseological segments is connected with the cognitive and oral differentiation of a notion denoting intellectual abilities of a man (for example: the word „გონი“ (goni-cognition), is distinguished by its semantic diversity; it acquires different functions in different context). In any language and speech, constant interaction of lexemes causes the change of lexical meaning, which is determined by the vague boundaries of the latter and qualitative variability between the denotative and modified elements.

In the course of time a society changes its attitude towards any notion. Separation of roots considered in the given work, turned out to be a rather sensitive topic and it became obvious that sorting out each lexeme according to its semantic-connotative aspect and giving definition is just an boundless work and it cannot be confined within the boundaries of one research. Thus, the given stage of this research was limited to the classification of the basic vocabulary (in doing so, the following roots are chosen: აზრ-ი (azr-i - notion), გონ-ი (gon-i - cognition), ბრძენ-ი (brdzen-i – wise man), სწავლა (stsvla–studying), ფიქრ-ი (piqr-i - thought, opinion), ცოდნა (tsodna-knowledge), ცნობა (tsnoba-perception), ჭკუა (chkua-intellect) etc.

Denoting **knowledge-intelligence** vocabulary, in **Georgian Dictionary** (in Georgian „სიტყვის კონა“) of **Sulkhan Saba Orbeliani**, forms quite an extended and diverse semantic group, where a number of roots are united but despite the difference in their initial meaning,

they finally intersect in one semantic field; though we should underline that „range of intellectuality“ for the majority of these lexemes is far from being a „final one“.

As the research revealed, the vocabulary, which is connected with intellectual activities, is one of the central components of the core part of the lexical system. It is manifested in coexistence of the continual formation of new words with the words belonging to the layers of ancient cognition of activities and factually is a constant impetus to the process of new word formation.

Updating etymological layers of old Georgian vocabulary, simplification of the language of Gospel, the vocabulary of the time of Rustaveli and Sulkhani Saba Orbeliani and their adjustment to the current reality, would deprive not only the modern spoken language, but the whole nation of any „intelligence“.

In the **introduction** of the final qualifying paper are specified the aims of the research, is underlined the urgency of the thesis, its scientific novelty, theoretical and practical importance and methodology.

Chapter one covers the ways and directions of studying the language via semantic of the vocabulary. Thematic differentiation of lexical fund is also presented.

Chapter Two deals with the history of the study of the notion–knowledge–intelligence, (intellectual, intellectuality); different attitudes of psychologists towards the understanding of intellect and their lexical expressions are represented. Hereby, we would highlight the stems denoting intellect, in Georgian dictionaries; present the semantic family of words defining the notion of intellect.

Chapter Three is dedicated to the separation and classification of picked out from the dictionary of Sulkhani-Saba Orbeliani vocabulary and the vocabulary-illustrating the notion of intelligence.

Chapter Four covers the semantic space of the vocabulary, connected with the mental activities of a man in „The Knight in the Panther’s Skin“.

Chapter Five is dedicated to the study of cognitive vocabulary in Gospel. Among the translations of Gospel we picked out the version of Giorgi Mtatsmindeli and compared it with modern translations in our research terms.

Chapter Six presents the form and semantic characteristics of the vocabulary indicating at mental defects.

Chapter Seven deals with discussions connected with mental dysfunctions, lack of wisdom and cognition and other linguistic resources for expressing the negative connotation.

The thesis ends with the final part and the list of References.

წინასიტყვაობა

თემის აქტუალობა. საქართველოში ლექსიკის ცალკეული ჯგუფის სემანტიკური ველების მიხედვით კვლევები გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ლექსიკის სემანტიკური ველებით ამგვარ დაინტერესებას ბიძგი მისცა თარგმანის, მეტადრე კი მანქანური თარგმანის პროცესის აქტუალიზაციამ და ინტენსიურობამ. ენობრივი კონტაქტების გააქტიურებამ ოცდამეერთე საუკუნეში არნახულ მასშტაბებს მიაღწია. საქართველოსთვის ეს განაპირობა, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, რომელთა შორის ის ფაქტიცაა, რომ სხვადასხვა ერსა და ენას ქართული ენა რუსულის შუამავლობის გარეშე შეხვდა. ამან გაააქტიურა ენათა ტიპოლოგიის საკითხებით დაინტერესება, ერთი ენის წიაღში ლექსიკის სემანტიკური და ექსპრესიული დიაპაზონის დადგენისაკენ მიმართული საქმიანობა, კონტექსტის, ტექსტისა და დისკურსის როლი სიტყვის მნიშვნელობის გაგების საქმეში და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომში დასმული საკითხები მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული ლექსიკოლოგიის, ისე სალიტერატურო, მთარგმნელობითი და დარგობრივ-ტერმინოლოგიური პრაქტიკისათვის. ნაშრომში დასმული და შეძლებისდაგვარად გამოკვლეული საკითხები არცთუ ისე შორეული წარსულის უკვე მიმქრალი მეხსიერების აღდგენაშიც დაგვეხმარება. ლექსიკის სემანტიკური ველების განსაზღვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა დღეს, ელექტრონული თარგმანის ეპოქაში, როდესაც ენობრივი კონტაქტები ახალ ფაზაში შევიდა და ტექსტის სრულყოფილი „ტრანსფერი“ დიდად შეიქნა დამოკიდებული არა მხოლოდ ჩვეულებრივი სალექსიკონო ეკვივალენტების ცოდნაზე, არამედ მანქანისათვის ცალკეული ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობათა მიწოდებაზე, სხვადასხვა შესიტყვების, ფრაზისა თუ ტექსტის დისკურსული განპირობებულობის გათვალისწინებით.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია გონიერება-ცოდნა-შემეცნების ფარგლებში მოქმედი ლექსიკის სემანტიკური ველის შემოსაზღვრა, კლასიფიცირება და მნიშვნელობის ცვლის დინამიკაზე დაკვირვება. ამ ლექსიკის ძიება სხვადასხვა ტიპის ქართულ ტექსტებში და ამ ლექსიკურ მასალაში ენის სიტყვაწარმოებითი თუ

მეტაფორული სიტყვათშემოქმედებითი პოტენციალის განჭვრეტა, რაც საუკეთესო და აუცილებელი ინფორმაციაა მანქანური თარგმანის პროგრამირებისათვის.

ლექსიკის მოძიება განხორციელდა სხვადასხვა პერიოდის ქართული ლიტერატურის ნიმუშების, დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის დონეებზე. ცხადია, საკითხის თეორიული დამუშავება მოითხოვს ლექსიკოლოგიის ძირითადი, ფუნდამენტური საკითხების ცოდნას, სემანტიკური ველების თეორიის დამუშავებასა და ტროპის ლინგვისტური ასპექტების შესწავლა-ანალიზს, რასაც დისერტაციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ჩვენი მიზანია მიმოვიხილოთ და, შეძლებისდაგვარად, შევაფასოთ სპეციალური ლიტერატურა ამ მიმართულებით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი ლექსიკა გამოკვლეულია ქართულ ტექსტებსა და ლექსიკონებში.

გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში ფართო სემანტიკურ ველს ქმნის. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მისი სემანტიკური არეალი საკმაოდ ვრცელია: გონი, გონება, გონიერი, ჰგონია, გონებამახვილი, გონებადაბნეული, გონებადაკარგული, გონებამახვილური, გონებაშეზღუდული, უგონი, დაბნეული, გონებაჩლუნგი, გონებრი-ვი, გონიერება, აზრი, შეხედულება, განზრახვა, ფიქრი, აზროვნება, აზრდაბნეული, უაზრო, აზრიანი, მოაზროვნე, სააზროვნო, გასააზრებელი, გაუაზრებელი, აზრდაკარ-გული, ბრძენი, ბრძენთა-ბრძენი, ბრძნობს, ბრძნული, სიბრძნე, სიბრძნისმოყვარეობა, სიბრძნისმეტყველი, სიბრძნე, სიბეჯითე, ბეჯითი, სიბეჯე, ბეჯი, ბეჯითობა, ბეცობა, ფილოსოფოსი, ბრიყვი, რეგენი, უმეცარი, ხეპრე, ბრიყვული, სწავლა, განათლება, სწავლული, ნასწავლი, უსწავლელობა, უსწავლელი, უტვინო, უტვინობა, მეცნიერი, ფიქრი, მსჯელობა, საგონებელი, სადარდებელი, საზრუნავი, ფიქრებაშლილი, ფიქრიანი, ფიქრმიუწვდომელი, ფიქრმიცემული, შემეცნება, შემეცნებითი, დაფიქრებული, საფიქრალი, ცოდნა, მცოდნე, ცოდნისმოყვარე, ცოდნისმოყვარეობა, ცნობა, შეცნობა, ცნობს, მიხვედრა, აღიარება, გაგება, ცნობილი, ცნობიერება, ნაცნობი, მაცნე, მცნობარი, მცნობელი, უცნობი, ცნობადაკარგული, ცნობამიხდილი, ცნობიერი, ქვეცნობიერი, ცნობისმოყვარე, ცნობისმოყვარეობა, ჭკუა, ჭკუაგახსნილი, ჭკუა-გონება, ჭკუადაბნეული, ჭკუადამჯდარი, ჭკუადახშული,

ჭკუათმყოფელი, ჭკუათხელი, ჭკუამახვილი, ჭკუამოკ-ლე, ჭკუამოკლეობა, ჭკუასუსტი, ჭკუამსუბუქი, ჭკუამხიარული, ჭკუიანი, ჭკუანაკლები, მოსულელი.

ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფს განავრცობს ასევე სიტყვები: გულისთქმა, გულისნადები, გულისპასუხი, გულისყური, გულისხმა, გულისხმიერი, გულმავიწყი, გულმავიწყობა, გულმოდგინე და სხვ.

გონიერების ამსახველი ლექსიკის სემანტიკური ბუდის პერიფერიებში მრავალი ახალი ფუძე ჩნდება, რომელებიც სრულებით არ ენათესავენ ჩვენ მიერ შერჩეული ფუძეების აგებულებას, თუმცა მათთან მჭიდრო სემანტიკური ნათესაობა აკავშირებს. ასეთ ლექსიკურ ერთეულებად შეგვიძლია დავასახელოთ: განათლებული, ფილოსოფოსი, გულისყური, შეხედულება, მეცნიერი, ბეცი, ბრიყვი, რეგენი, ხეპრე, უტვინო, სადარდებელი...

როგორც კვლევა აჩვენებს, გონიერების ლექსიკის ყველა ძირითადი ფორმა ცალკე იკეთებს ამავე ძირისა და სხვა ძირის საფუძველზე აგებულ სემანტიკურ ქვეჯგუფებს, რომელთა თავმოყრა დიდად წაადგება არა მხოლოდ ქათული ლექსიკის შესწავლის, არამედ ელექტრონული ბაზებისათვის სიტყვათა ზედმიწევნითი განმარტებების მიწოდების აქტუალურ საქმეს.

აღნიშნული ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ბუდეების გამოყოფა ძველ და ახალ ქართულ ტექსტებში და მათზე დაკვირვება გვიჩვენებს ლექსიკის ცვლის დინამიკას, დაგვანახვებს, თუ რა სემანტიკური ცვლილებები განიცადა საუკუნეების განმავლობაში ამა თუ იმ ცნებამ, მოხდა თუ არა მათი მნიშვნელობის გაფართოება, დავიწროება.

მენტალურ დეფექტებზე მიმანიშნებელი ლექსიკის ფორმოზრივი და სემანტიკური მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ამ ლექსიკის დიაპაზონი და ლექსიკოგრაფიული პოტენციალი.

ნეგატიური მნიშვნელობისა თუ კონოტაციის შემცველი ლექსიკა ნებისმიერ ენაში მრავლად მოიძიება და გამოიყენება. სპეციალისტების აზრით, ფასეულობათა გაგება მხოლოდ დადებითი კონოტაციით ფორმულირებაში ვერ გადმოიცემა, აუცილებელია, აღიწეროს არა მხოლოდ ის, რაც კარგია, არამედ ისიც, რაც ამა თუ იმ კულტურას კარგად არ მიაჩნია.

როგორც კვლევამ აჩვენა, ცოდნა-გონიერების ლექსიკა მთლიანად ენის ლექსიკური სისტემის ბირთვული ნაწილის ერთ-ერთი ცენტრალური შემადგენელია.

კვლევის მეთოდოლოგია. სადისერტაციო ნაშრომი ეყრდნობა დიაქრონიულ კვლევას, გამოყენებულია აღწერითი, შეპირისპირებითი და ზოგ შემთხვევაში ტიპოლოგიური კვლევის მეთოდებიც.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი მასალა და მისი ანალიზი მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სარეკომენდაციოდ ტერმინოლოგიასა და თარგმანში, იგი დახმარებას გაუწევს სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებული საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს, გამოადგება საუნივერსიტეტო კურსსაც, როგორც საილუსტრაციო მასალა და ანალოგიური კვლევების პერსპექტიულობის დადასტურება.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 156 გვერდს, შესავალს, შვიდ თავს, დასკვნებსა და დამოწმებული ლიტერატურის სიას.

შესავალში განსაზღვრულია კვლევის მიზნები, ხაზგასმულია ნაშრომის აქტუალურობა, მეცნიერული სიახლე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა და მეთოდოლოგია.

პირველი თავში განხილულია ლექსიკის სემანტიკური თვალსაზრისით შესწავლის გზები და მიმართულებები. ასევე წარმოდგენილია ლექსიკური ფონდის თემატურად დანაწევრების საკითხი.

მეორე თავში საუბარია გონიერების კვლევის ისტორიაზე, წარმოდგენილია ინტელექტის გაგებისადმი ფსიქოლოგების მხრიდან განსხვავებული მიდგომები და ლექსიკური გამოხატულებები. აქვე გამოვყოფთ ქართულ ლექსიკონებში გონიერების აღმნიშვნელ ფუძეებს, წარმოვადგენთ განმარტებით ლექსიკონში გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ ბუდეს.

მესამე თავი მოიცავს ს.ს. ორბელიანის ქართული ლექსიკონიდან „სიტყვის კონა“ მოძიებული გონიერების ამსახველი ლექსიკის სემანტიკური ჯგუფების გამოყოფას და კლასიფიკაციას.

მეოთხე თავში წარმოდგენილია ადამიანის მენტალური მოღვაწეობის აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური სივრცე „ვეფხისტყაოსანში“.

მეხუთე თავი ეძღვნება შემეცნებითი ლექსიკის კვლევას სახარებაში. სახარების თარგმანებიდან ჩვენ შევარჩიეთ გიორგი მთაწმინდელის ვერსია და საკვლევი ლექსიკის კუთხით შევადარეთ თანამედროვე თარგმანს.

მეექვსე თავში წარმოდგენილია მენტალურ დეფექტებზე მიმანიშნებელი ლექსიკის ფორმობრივ-სემანტიკური დახასიათება.

მეშვიდე თავი განიხილავს მენტალური შეზღუდვების, სიბრძნე-გონიერების არქონისა და სხვა უარყოფითი კონოტაციის გამოხატვის საშუალებებს.

თავი I

სემანტიკური ველის თეორია

1.1. ლექსიკის სემანტიკური თვალსაზრისით შესწავლის გზები და მიმართულებები

თანამედროვე ენათმეცნიერებაში „სემანტიკური ველის“ ცნება უკვე ტრადიციულ ცნებად იქცა. ფუნქციურ-სემანტიკურ¹ ველს ქმნიან არაერთგვაროვანი ელემენტები, (ისინი მიეკუთვნებიან ენის სხვადასხვა დონეს), რომელებსაც აერთიანებს საერთო ინვარიანტული სემანტიკური ნიშან-თვისებები.

ფუნქციურ-სემანტიკური ველის მთელ სტრუქტურაში, ჩვეულებრივ, ამოსავალს წარმოადგენს ბირთვი, ცენტრი, რომელთან მიმართებაშიც ველის სხვა კომპონენტები პერიფერიას ქმნიან. ველს ახასიათებს მისი ელემენტების ნაწილობრივი გადაჯვარედინება. სხვადასხვა ველი ასევე გადაეფინებიან ერთმანეთს, ამასთან, ჩნდება ახლო სემენტები, თანდათანობით გადასვლითი ჯაჭვები. ველის ჩარჩოებში მოცემულია როგორც ერთნაირი, ისე სხვადასხვანაირი ენობრივი საშუალებების სემანტიკური კავშირები. ველის გრამატიკული და ლექსიკური კომპონენტების ურთიერთქმედება ხორციელდება, მათი შინაარსობრივი შეთანხმების წყალობით, მათი ერთ სემანტიკურ კომპლექსში გაერთიანების გზით.

როდესაც ჩვენთვის საინტერესო ლექსიკის სემანტიკური ველის დადგენაზე ვიწყებთ მუშაობას, ჩვენს შემთხვევაში ესაა „გონიერების ლექსიკის სემანტიკური ველი“, ვაწყდებით სხვადასხვა ტიპის მეთოდოლოგიურ პრობლემას, მათ შორის, კვლევის ტაქტიკის შემუშავების პრობლემასაც. სიტყვის სემანტიკური შესწავლა მოითხოვს:

1. სიტყვის სტრუქტურის, აგებულების შესწავლას, ანუ ფორმის კომპონენტების თავისებურებებზე დაკვირვებას ერთსა და იმავე ძირთან სხვადასხვა ელემენტის მორგების თვალსაზრისით;

¹ ტერმინი „ფუნქციონალური“ დღევანდელ ქართულში ძირითადად „ფუნქციურითა“ შეცვლილი და ჩვენც მას მივმართავთ, მაშინაც, როდესაც ადრინდელი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად სწორედ „ფუნქციონალურია“ გამოყენებული.

2. სემანტიკის შესწავლის (სიტყვის) შინაარსობრივ ან შინაარსობრივ-კონოტაციურ მიმართებას კონტექსტთან, ტექსტთან ან დისკურსთან.

ლექსიკა ენობრივ სტრუქტურასთან შედარებით ძნელი აღსაწერია, რამდენადაც ლექსიკა მოუხელთებელია, იგი სწრაფად რეაგირებს ნებისმიერ სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ცვლილებაზე და იცვლის შინაარსს ან კონოტაციას კონტექსტის სხვა შემადგენელ ნაწილებთან. ნასესხობებს სპეციფიკურ შინაარსს ანიჭებს (ხშირად არა იმას, რაც ჰქონდა „მსესხებელ“ ენაში), ან ნასესხობის გვერდით, საკუთრივ ორიგინალურ ანალოგს, უფართოებს ან უვიწროებს მნიშვნელობას. შესაბამისად, ლექსიკის შესწავლა ესოდენ აუცილებელი და საშური საქმეა ყოველ ეპოქაში, მეტადრე ჩვენს ეპოქაში, როდესაც ელექტრონული ლექსიკონების ბუმია და მათზე მუშაობა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ლექსიკოლოგიურ კვლევებს ოცდამეერთე საუკუნეში ენის დისკურსული შესწავლისა და ტექსტის ლინგვისტიკის „ახალმა გამოწვევებმა“ მოუსწრო, რამაც დამატებითი შეკვეთა მოიტანა, ლექსიკა უნდა იქნეს შეცნობილი არა მხოლოდ მისი სალექსიკონო განმარტებით, არამედ მისი კონტექსტუალური და დისკურსული გარემოს გათვალისწინებით.

ლექსიკის უძველესი ფენის შინაარსობრივი დახასიათება, ჩვეულებრივ, სემანტიკური ჯგუფების გამოყოფით იწყება. ამგვარი ჯგუფები მეტ-ნაკლები განსხვავებით გამოყოფილია ყოველი ენობრივი ოჯახისათვის, ერთ-ერთი ბოლო დაჯგუფება ეკუთვნის მორის სვოდემს, ე.წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის შემქმნელს. როგორც ბ.ფოჩხუა მიუთითებს, ლექსიკური ფონდის თემატური დალაგებისათვის რამდენიმე სქემა არსებობს და ძველ სქემათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როჟეს (როჯეტის) „ინგლისური ენის თეზაურუსი“, რომლის პირველი გამოცემა 1852 წელს განეკუთვნება და დასათაურებულია შემდეგნაირად: „ინგლისური სიტყვებისა და ფრაზების საუნჯე, თეზაურუსი“ და მასში გამოყოფილია ექვსგანყოფილებიანი სქემა (ფოჩხუა 1987: 24). როჟეს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა; ერთ-ერთია სვოდემის სქემა; სვოდემმა შეადგინა სია რამდენიმე ათეული ცნებისა და ივარაუდა, რომ ეს ცნებები უნივერსალურია. ე.ი. ყველა ენაში არსებობს სიტყვები მათ გადმოსაცემად. ამ ცნებებიდან ერთ-ერთი სემანტიკური ჯგუფია ადამიანის „შეგრძნებები და მოქმედებები“, რომელშიც, ჩემი აზრით, შესაძლოა გაერთიანდეს ჩვენ

მიერ შესასწავლი ცნება „ცოდნა-გონიერება“. ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ვახსენოთ ბიძინა ფოჩხუას შესანიშნავი ნაშრომი „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი“ (I), რომელიც 1987 წელს დაიბეჭდა და რომელშიც ფაქტობრივად ჩაისახა ქართული ენის ლექსიკის მეცნიერული შესწავლის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული პროგრამა.

„ფონეტიკური ანატომია-ფიზიოლოგია-აკუსტიკის ანალოგიური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ლექსიკის თემატურად დალაგებას, იდეოგრაფიულ ლექსიკონს ლექსიკური სისტემის ენობრივი დახასიათებისათვის: სიტყვების, ლექსიკური ფონდის საკუთრივ ენობრივ დახასიათებას, მიზანშეწონილია, უძლოდეს სიტყვების აღწერა-დაჯგუფება იმ მიმართებათა მიხედვით, რაც არსებობს სიტყვებით გამოხატულ საგნებს (მოვლენებს) შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლექსიკური ფონდის საგნობრივ-თემატური აღწერა მხოლოდ შორეული მისადგომებია ლექსიკის სისტემებრივი დახასიათებისათვის; მათ შორის მოთავსებულია კიდევ ერთი ზონა, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, უაღრესად მნიშვნელოვანია ლექსიკური ფონდის ადეკვატური აღწერა-დახასიათებისათვის, ეს არის ლექსიკის განხილვა ენობრივი კოლექტივის ყოფა-მოსაქმეობის გათვალისწინებით, რადგანაც ყოფის თავისებურებები ძირითადად განსაზღვრავენ იმ თავისებურებებს, რაც სხვადასხვა ენის ლექსიკურ ფონდთან შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა“ (ფოჩხუა 1987:24).

ბ.ფოჩხუა მიუთითებს, რომ თანამედროვე „ცნებათსისტემებს“ ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში წინ უძლოდა სიტყვათა მეტ-ნაკლებად შემოფარგლული ჯგუფების გამოყოფა. ამ ხერხს იყენებს საბაც. ეს ჯგუფები არსებითად ცნებათბუდეებია.

მრავალფეროვანი სემანტიკით გამოირჩევა სიტყვა **გონი**, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ფუნქციით გვხვდება. როჯეტის სქემის მიხედვით, **გონ**- ძირი მეოთხე კატეგორიაში - **ინტელექტში** ხვდება და ასეთ დაჯგუფებაში განთავსდება:

- „1. **იდეათა შექმნა** (ინტელექტი, აზრი, იდეა, ცნობისმოყვარეობა, ყურადღება... კითხვა... ექსპერიმენტი... შედარება... აშკარა...შესაძლებლობა... განსჯა... ჩვენება... აღმოჩენა... რწმენა.. ცოდნა.. პრინციპი.. ბრძენი... მეხსიერება..წინასწარმეტყველება..წარმო-სახვა...).
2. **იდეათა ურთიერთობა** (მნიშვნელობა... გასაგებობა... ინტერპრეტაცია... გამოვლენა... გამოქვეყნება... სწავლება... სიმაღლე... ურთიერთობის საშუალებანი: თხრობა, წერა, ხატვა, ქანდაკება, ..ენა... სტილი...ზეპირმეტყველება,.. სამწერლო ენა)“.(ფოჩხუა 1987: 26)

ლექსიკა ენის ყველაზე მოძრავი ნაწილია. იგი გაცილებით სწრაფად იცვლება, ვიდრე ენის გრამატიკა ან ფონოლოგიური სისტემა. ლექსიკის სემანტიკური კვლევა თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის უაღრესად აქტუალურ საქმედ იქცა. ასეთმა კვლევებმა უნდა გააადვილოს ენის სემანტიკური სისტემის დანახვა, რომელიც ხელს შეუწყობს ენის სრულყოფილი მანქანური თარგმანის შექმნას.

„ენის სემანტიკურმა ანალიზმა ცალსახად უნდა გვიჩვენოს თუ სამყაროს როგორი მოდელია წარმოდგენილი მოცემულ ენაში... რა წესების მიხედვითაა იგი სემანტიკურებული მასში. ენა კულტურას ასახავს, ამდენად სემანტიკური ანალიზის მიზანი უნდა იყოს კულტურის იმ მოდელის თუ მოდელების ძებნაც, რომელიც მოცემული ენის სემანტიკურ სტრუქტურაშია ასახული“. (ნებიერიძე 2003: 223)

ჩვენი საკვლევი ლექსიკა მოითხოვს იმ დარგობრივი სფეროების შემოფარგვლას, რომლებიც სხვადასხვა კუთხით აკვირდება სიტყვის მნიშვნელობას, კონოტაციასა და ასოციაციურ კავშირს ველსგარეთა მნიშვნელობებთან. ისიც გასააზრებელია, რომ დარგობრივი გადაკვეთა ხშირ შემთხვევაში მეთოდოლოგიის სიმწყობრეზეც ახდენს გავლენას, რადგან არცთუ იშვიათად ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა დარგში ერთი და იგივე მოვლენა არ არის (თუნდაც შედარებითი და შეპირისპირებითი მეთოდები ავიღოთ ისეთ დარგებში, როგორცაა: სოციოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ისტორია და საბუნებისმეტყველო დისციპლინები...). ამიტომაცაა, რომ ორიოდ სიტყვით უნდა შევხვით ლექსიკოლოგიას, სემანტიკას, სემასიოლოგიას, როგორც ჩვენი მასალის მოწესრიგებისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელ დისციპლინებს.

სემანტიკა სიტყვის მნიშვნელობის შემსწავლელი მეცნიერებაა. **ლექსიკოლოგიაც** სიტყვის მნიშვნელობას სწავლობს, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ლექსიკოლოგია უფრო მეტ მასალას მოიცავს. ლექსიკოლოგია სწავლობს სიტყვაში არა მხოლოდ მის საგნობრივ მიმართებას ან ცნებას, არამედ სიტყვის იმ მხარეებს, რომლებიც უშუალოდ საგნობრივ მიმართებად ვერ დახასიათდება:

ა) ლექსიკოლოგია შეისწავლის სიტყვის ემოციურ იერს. (მაგ.: დაჯდა და დაბრძანდა, ლოყა და ლაწვი, ვირი და სახედარი).

ბ) ლექსიკოლოგიას ასევე აინტერესებს შეფასების მომენტი, რომელიც მნიშვნელობასთან ერთად შეიძლება ახლდეს სიტყვას: მაგ. „ბღრიალი - ბრიყვული

ტირილი“ - ბღრიალი და ტირილი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შეფასებითი დამოკიდებულებით;

გ) ლექსიკოლოგია იკვლევს სიტყვათა ხმარების სფეროს - სპორტის ენა, მედიცინის ენა, პუბლიცისტიკის ენა;

დ) ლექსიკოლოგიის შესწავლის საგანია სიტყვათა, როგორც მნიშვნელობის მატარებელ ოდენობათა, ურთიერთდამოკიდებულება შესიტყვებაში. მაგ.: პირი გაალო, მაგრამ ტუჩები გახსნა;

ე) ლექსიკოლოგიის კვლევის სფეროში შემოდის ლექსიკური ფონდის გამდიდრების გზები (ფოჩხუა 1974: 16-17);

სემასიოლოგია ფართო გაგებით შეისწავლის გრძნობით ელფერს, სტილისტიკურ ღირებულებას და ასევე სიტყვის მნიშვნელობის ცვლას, მნიშვნელობათა კლასიფიკაციას, სიტყვის შინაასობრივი მხარის აგებულებას, ენობრივი ნიშნის ბუნებას და მისი კვლევის მეთოდებს.

სემანტიკური ველების თეორია უშუალო კავშირშია სემასიოლოგიასთან, რომელიც ცალკე საენათმეცნიერო დარგად ჩამოყალიბების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა და განსაკუთრებით მოერგო თანამედროვე კვლევით ინტერესებს. თანამედროვე სემასიოლოგიური კვლევების უმთავრესი მიმართულებებია: **კომპონენტური ანალიზი, სემანტიკური ველების თეორია, ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტების საკითხები** და ა.შ.

„სემასიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი მ. ბრეალი წერდა: „უნდა გამოვიკვლიოთ როგორ ხდება, რომ სიტყვები, რომლებიც ერთხელ შექმნილან და გარკვეული მნიშვნელობა ჰქონიათ, იფართოებენ ან ივიწროებენ ამ მნიშვნელობას.“ სწორედ ეს შეადგენს სემანტიკას ანუ მეცნიერებას სიტყვის მნიშვნელობის შესახებ“ (თევდორაძე 2016: 246).

სემასიოლოგია ცხადყოფს, რომ სიტყვის (ტექსტის) მნიშვნელობის გასაგებად იმდენად ბევრი კონტექსტი და ვარიანტია გასათვალისწინებელი, რომ საგანგებო მომზადების გარეშე ლექსემის შინაარსის დადგენა შეუძლებელია, მით უფრო, რომ ლექსემის შინაარსი არასოდეს არის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული და მომავალში შექმნილმა ნებისმიერმა ახალმა კონტექსტმა დამატებითი შინაარსი ან კონოტაცია შეიძლება შესძინოს მას.

რუსეთში სემასიოლოგიური კვლევის ფუძემდებელ მ. პოკროვსკის ასე აქვს წარმოდგენილი წინაპირობები ენის ლექსიკურ-სემანტიკური კვლევა-ძიების მართებულად წარმართვისათვის: „თითოეულმა სემასიოლოგმა წინასწარ უნდა ივარჯიშოს თავის მშობლიურ ენაზე, განსაკუთრებით თანამედროვე ენაზე, რადგან მხოლოდ მასში არის ადვილად შესაძლებელი, თვალყური მივადევნოთ სემასიოლოგიური პროცესების უნატიფვეს ხვეულებს და ვარიანტებს“(ფოჩუა 1974: 68)².

ძნელი სათქმელია, რამდენად ერთნაირია სხვადასხვა ენაში სემასიოლოგიური თვალსაზრისით ლექსიკის სემანტიკური აქტივობა, მაგრამ ქართულისთვის ეს აქტივობა რომ მაღალია, უდავოა.

„ენა აქტიურად რეაგირებს ყოფა-ცხოვრებით სიახლეებზე და სათანადო ლექსიკას ქმნის, მოიძიებს და ამკვიდრებს მთლიან ლექსიკონში. ქართული ენა ბევრ სხვა ენასთან შედარებით კონსერვატიულია, თუმცა მისთვის დიდი შემოქმედებითი აქტიურობაცაა დამახასიათებელი, რასაც ძირითადად ქართული ენის მრავალფეროვანი დიალექტები უზრუნველყოფენ.“(თურქია 2013: 5)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლექსიკაში სხვადასხვა დონე გამოიყოფა, რომელებიც სხვადასხვა ტემპით იცვლება. მიღებულია ლექსიკის დაყოფა ძირითად და არაძირითად ლექსიკურ ფონდად. ძირითადი ლექსიკური ფონდი უფრო ნელა იცვლება, ვიდრე არაძირითადი. მასში შედის უნივერსალური და ზოგადადამიანური ცნებების აღმნიშვნელი სიტყვები, სხეულის ნაწილებისა და ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები, მოქმედებანი, ელემენტარული თვისებების აღმნიშვნელი სახელები, ცხოველების, მცენარეებისა და ფრინველების სახელები. სემანტიკური ცვალებადობა საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ ენის ლექსიკურ სიცოცხლისუნარიანობას.

თუმცა ჩვენი კონკრეტული მასალა კონკრეტულსავე კლასიფიკაციას მოითხოვს, მაინც გვიხდება თეორიული ხასიათის კომენტარების ჩართვა, რათა ჩვენი მოქმედებების თეორიული საფუძვლები გავუზიაროთ მკითხველს. ენის ლექსიკა ასახავს საზოგადოების კულტურას, ეკონომიკას, პოლიტიკას. იცვლება კულტურა და შესაბამისად იცვლება ენა. დღეს ბევრისთვის გაუგებარია ისეთი სიტყვების

² „ყველა ნიშნობრივ ერთეულს, მორფემიდან დაწყებული ტექსტის ჩათვლით აქვს მნიშვნელობა. მნიშვნელობათა სფეროს მის მთლიანობაში და არა მარტო სიტყვის მნიშვნელობას შეისწავლის სემანტიკა... სწორედ სიტყვის მნიშვნელობა არის ლნგვისტური სემანტიკის ბირთვი და მისი საფუძველი (თევდორაძე ,2016:108-109)

მნიშვნელობა როგორცაა: აპნისი (იანვარი), ებანი (დაფი), კანდელი (სანთელი), არგანი (ჯოხი), განზორება (კეთრი), კვართი (პერანგი). ყველა ეს სიტყვა, მართალია, ძველ ქართულში გვეხვევა, მაგრამ ისინი ხმარებიდან გამოვიდნენ და მათი ადგილი სხვა სიტყვებმა დაიკავა. როგორც თინათინ თურქია აღნიშნავს, სხვადასხვა ისტორიულ მომენტში ერთი და იმავე ფაქტის შეფასება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს და სწორედ ენაა ამის მაუწყებელი. ადამიანის განვითარებასთან, მისი ღირებულებების გადაფასებასთან ერთად იცვლება ენობრივი საშუალებებით გარკვეული მოვლენის შეფასებაც. დავძენთ, რომ სიტყვის ხმარებიდან გამოსვლა სულაც არ ნიშნავს, რომ ეს სიტყვა სრულიად გაქრა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართული მწერლობის წიაღში ნებისმიერი სალიტერატურო ლექსიკა განაგრძობს სიცოცხლეს და სხვადასხვა დროის მწერლობისათვის საფუძველიც ხდება (მაგ. გავიხსენოთ: კ. გამსახურდია, ლ. გოთუა, ო. ჩხეიძე და სხვა ავტორები), და მეორეც, ამ ე.წ. ხმარებიდან გამოსული ლექსიკის ძირ-ფუძეები, სხვადასხვა ახალწარმოებული ლექსიკის საფუძველად გამოიყენება (მაგ.: საკანდელიძე, გაკვართული...).

ჩვეულებრივ, სიტყვის შინაარსის განსაზღვრისას თანამედროვე ლინგვისტიკა იყენებს ორ ტერმინს - სიგნიფიკატი და დენოტატი. სიგნიფიკატი გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობას ენობრივი სისტემის დონეზე, ხოლო დენოტატი გულისხმობს იმას, თუ როგორ აისახება სიგნიფიკაცია, ანუ მნიშვნელობის შიდაენობრივი ასპექტი სინამდვილის ამა თუ იმ კომპონენტის დახასიათებისას. ე.ი. დენოტაცია, სიგნიფიკატისაგან განსხვავებით, უკავშირდება ნიშნის მიმართებას გარეენობრივ სინამდვილესთან. სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ორი ასპექტიდან გადამწყვეტია სიგნიფიკატი, რომელიც შიდაენობრივი მოვლენაა და ამ „შიდაენობრივობის“ მიხედვით უნდა იქნეს შესწავლილი და გაანალიზებული. იმისათვის, რომ ამგვარი ანალიზი შევძლოთ, საჭიროა გამოვყოთ სიტყვის სემანტიკის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები), რომელთაც „სემებს“ ვუწოდებთ. სემური ანალიზი გულისხმობს სიტყვის სემანტიკის ისეთ კომპონენტებად დაშლას, რომელთა უფრო „წვრილ“ კომპონენტებად დაშლა შეუძლებელია. (თევდორაძე 2016: 109-110)


ჩვენს შემთხვევაში, მაგალითად, სიტყვა **ბრძენი** დაიყოფა შემდეგ სემებად: ადამიანი, განათლებული, სულიერი. სიტყვა **ბრძენი** თავის თავში მოიცავს სიგნიფიკატის ზემოთ აღნიშნულ თვისებებს.³

ასახელებენ სხვადასხვა სახის კონოტაციას, მათი ვარიანტების ჩამოთვლა ამჯერად არსებითი არაა. ჩვენ დავასახელებთ რამდენიმეს, რათა ამ რიგის მრავალფეროვანი შესაძლებლობები გამოვხატოთ. მაგალითად:

1. შეფასებითი კონოტაცია.
2. ემოციური კონოტაცია.
3. მიზეზის კონოტაცია.

„ენობრივი ერთეულის მნიშვნელობის განმარტება ურთულეს ამოცანას წარმოადგენს... გამონათქვამთა მნიშვნელობის კვლევისას გასათვალისწინებელია ფართო კონტექსტი, გრამატიკული ფაქტორები, ლოგიკური აზროვნების კანონები“ (გამყრელიძე 2003: 335).

სემანტიკურ მიმართულებებს ასახავს ე.წ. ფრეგეს სამკუთხედი, იგივე სემანტიკური სამკუთხედი, რომლის ზოგადი სახე ასეთია:



ცოდნა-გონიერების ლექსიკის ჩამოყალიბება ქართულში დროისა და სივრცის ძალიან დიდ მონაკვეთებში მიმდინარეობდა და აგრძელებს განვითარებას. ამ პროცესში მონაწილეობდა ძირითადი ფუძეებისა და ნასესხობების სიტყვაწარმოებითი მექანიზმები, სინტაქსურ-სტილისტიკური კომბინაციები, ეთნოლინგვისტური, ფსიქოლინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ფაქტორებით გაჯერებული

³ სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში წამყვანს წარმოადგენენ ის კომპონენტები, რომლებიც გამოხატავენ სიტყვის მთავარ მნიშვნელობას: მაგალითად, ინგლისურში ზმნები „shiver“ და „shudder“ ორივე ნიშნავს „თრთოლას“, მაგრამ ეს არ არის სიტყვის მთავარი მნიშვნელობა. ამგვარი დეფინიცია არ იძლევა ამ სიტყვის მნიშვნელობის სრულ სურათს და საჭირო ხდება გავითვალისწინოთ დამატებითი მნიშვნელობა, ე.წ. თანამნიშვნელობა, რასაც ეწოდება კონოტაცია (ლათ. „con- თან“ „notation- აღნიშვნა“) გარდა იმისა, რომ „shiver“ ნიშნავს „თრთოლას“, თუ დავაზუსტებთ მის მნიშვნელობას, იგი ნიშნავს „სიცივით თრთოლას“, (კანკალს), ხოლო „shudder“- შიშისაგან ძრწოლას, კანკალს(თევდორაძე,2016 :111).

დისკურსი, პოლიტიკური და სოციალური ტენდენციები და გემოვნება და ა.შ. ამიტომაცაა, რომ ელექტრონული თარგმანის სრულყოფილებისაკენ მიმართულ ღონისძიებებში მხატვრული თარგმანის საკითხები თითქმის ვერ გასცდა უხეირო ექსპერიმენტების საზღვრებს. ვიდრე ადამიანს და შემდეგ მისი მეშვეობით - მანქანას არ ექნება ყოვლისმომცველი ცოდნა ცალკეული ლექსიკური ჯგუფის სემანტიკური ველების შესახებ, მხატვრული ტექსტის ელექტრონული თარგმანის პროცესი შედეგიანი ვერ იქნება. ამიტომაცაა, რომ თუმცა სემანტიკური ველების კვლევა უსასრულო სამუშაოს ჰგავს, მეცნიერებამ ამ მიმართულებით ღწვა არ უნდა შეწყვიტოს.

ენათმეცნიერება გრძნობს საკუთარ პასუხისმგებლობას ამ საკითხის მიმართ და მიუთითებს, რომ მიუხედავად სემანტიკის არაოდენ ლინგვისტური ბუნებისა, მაინც ძირითადი ტვირთი სწორედ ენათმეცნიერებამ უნდა ზიდოს და დაიწყოს იმის კონსტატირებით.

„ენათა სემანტიკურ სისტემას მნიშვნელობათა სიმრავლეები ქმნიან, ცნებათა ლოგიკური სისტემებისაგან განსხვავებით, სემანტიკური სისტემები ყოველ ენაში თავისებურია. ისინი ასახავენ ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის სპეციფიკას. ყოველი ენა თავისებურად აყალიბებს და აჯგუფებს ცნებებს მათთვის მნიშვნელობის სტატუსის მინიჭებისას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ენა სამყაროს აღსაწერად საკუთარ საშუალებებს იყენებს, რაც ამ ენათა გამოსახულების პლანში ისახება, ადამიანები არსებითად ერთნაირად აცნობიერებენ გარეენობრივ სინამდვილეს, ასე რომ არ ყოფილიყო, სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის წევრები ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ და ვერ მოხერხდებოდა ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, შეუძლებელი იქნებოდა უცხო ენის შესწავლა. ის, რაც საერთოა ყველა ადამიანისათვის, თავისებურ სემანტიკურ სტრუქტურებს ქმნის ყველა ენაში“ (გამყრელიძე 2003: 337).

რასაკვირველია, ლექსემა ეფუძნება ე.წ. ძირითად მნიშვნელობას, რომლის მიღმა საგანი ან მოვლენა ძვეს და რომელსაც დროთა განმავლობაში ემატება ან აკლდება (ხშირად კი საერთოდ ეცვლება) ინფორმაციის ოდენობა და ხარისხი, რაც სავსებით შეესაბამება ნომინაციის ფუნქციას. ნომინაციის ფუნქცია კი, ცნობილია, რომ სიტყვის ფუძემდებლურ ნიშნობრივ ფუნქციას წარმოადგენს. მიიჩნევა, რომ ყველა სიტყვა აღნიშნავს სინამდვილის რაღაც ნაწილს, ნომინაციის ფუნქცია კი ამა თუ იმ სიტყვამ

შეიძლება შეასრულოს ორნაირად: პირდაპირ და ირიბად, ირიბი ნომინაცია ყოველთვის ნაწარმოებია პირდაპირისაგან.⁴

ენათმეცნიერებაში კარგა ხანს მიიჩნეოდა, რომ სისტემა, სისტემურობა ენაში მხოლოდ გრამატიკას შეიძლება ახასიათებდეს და არა სემანტიკას. და რომ ლექსიკის სისტემატიზების ერთადერთი სფერო ლექსიკონია... მაგრამ ამჟამად საყოველთაოდაა გაზიარებული აზრი, რომ ლექსიკა-ფრაზეოლოგია, და შესაბამისად, ენის სემანტიკური ასპექტიც, სავსებით შეიძლება სისტემატიზირდეს და ენის ლექსიკური მატრიცის მოწესრიგებულ, ერთმანეთთან გარკვეული პრინციპებით დაკავშირებულ სისტემად წარმოდგეს. სწორედ აქედან ამოდის სემანტიკური ველის იდეა.

სემანტიკური ველის იდეაც ფერდინანდ დე სოსიურისეულ ენის სისტემურობის თეორიას ეყრდნობა და გვაცნობს, რომ ლექსიკაც არის ერთმანეთთან მნიშვნელობით დაკავშირებული გარკვეული ჯგუფებისაგან შემდგარი სისტემა.

ველის იდეა ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სამყაროს ნებისმიერი დანაწევრება ხდება არა ცალკეული სიტყვების მეშვეობით, არამედ შინაგანად ორგანიზებული სიტყვათა ჯგუფების, ველების საშუალებით, რომლის წევრებსაც ერთმანეთთან სემანტიკური ნათესაობა აკავშირებთ. ველში შემავალი სიტყვების მნიშვნელობა მათ ურთიერთმიმართებაში ვლინდება. სიტყვა სრულ სემანტიკურ ღირებულებას მხოლოდ ველის შიგნით იძენს (გვენცაძე 2009: 133).

როგორც მიუთითებენ, სამყაროს დანაწევრება ხდება არა ცალკეული სიტყვების მეშვეობით, არამედ მონათესავე შინაარსის (ხშირად ფორმისაც) სიტყვათა ველების საშუალებით. სიტყვის სრულ სემანტიკურ შინაარსს მხოლოდ ველსშიგნითა შესწავლით თუ დავინახავთ, ანუ ლექსიკაშიც აიგება პარადიგმა, ან უფრო სწორად პარადიგმული სისტემა.

თითოეული ველის ფარგლებში ასევე შესაძლებელია ქვეკლასების გამოყოფა. სემანტიკურ ველს აქვს იერარქიული სტრუქტურა. იერარქიაში მაღალი დონისათვის დამახასიათებელია უფრო ზოგადი და ფართო მნიშვნელობა. „სიტყვის სემანტიკური მიმართებები ველის შიგნით ატარებენ პარადიგმატულ ხასიათს, ველის წევრები ქმნიან

⁴ მაგ.: ქართულში „ენა“ საკომუნიკაციო საშუალებაცაა და ადამიანის ორგანოც, ხოლო მაგალითად ინგლისურში ამ ორ ცნებას ორი სხვადასხვა სიტყვა გადმოსცემს. სიტყვის მნიშვნელობა განპირობებულია სხვა სიტყვებთან მისი დამოკიდებულებით, რასაც სოსიური უწოდებს „ღირებულებას“. და თუმცა მნიშვნელობები დიდად განსხვავდება, ამ მიმართებებს მაინც ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში შეისწავლიან.

ლექსიკურ პარადიგმას , პარადიგმის წავრებს კი აქვთ საერთო შინაარსი“ (თევდორაძე 2016: 114,115).

ბ. ფოჩხუა აღნიშნავს: „სემანტიკური ველების თეორიებს ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში წინ უძღოდა სიტყვათა მეტ-ნაკლებად შემოფარგლული ჯგუფების გამოყოფა, მნიშვნელობის, საგნობრივი მიმართების მიხედვით. ამგვარი ჯგუფების მნიშვნელოვანი რაოდენობა აქვს გამოყოფილი სულხან-საბა ორბელიანს თავის „სიტყვის კონაში“, ამას საბა „განყოფილებათა შემოკლებულად დაწერას“ უწოდებს (ფოჩხუა 1974: 158)⁵.

როგორც თ. გამყრელიძე აღნიშნავს, აღსანიშნი ფაქტების ცნებითი, საგნობრივი და ფუნქციური მსგავსება აისახება ლექსიკურ ერთეულთა ვრცელ გაერთიანებებში, სემანტიკურ ველებში. ერთსა და იმავე სემანტიკურ ველში ერთიანდება სხვადასხვა სტრუქტურული კლასების წევრი ლექსემების მნიშვნელობები. ლექსემათა სემანტიკური ნათესაობის ცნება, როგორც ჩანს, სწორედ ველის ცნებას უკავშირდება.

შეიძლება გამოვყოთ, მაგალითად, დროის, სივრცის, ტემპერატურის, სიჩქარის, რაოდენობის, ადამიანის შინაგანი მდგომარეობის, ინტელექტუალური შესაძლებლობების და სხვა ველები. „გარეენობრივი სამყაროს მსგავსად ენის სემანტიკური სივრცე უწყვეტია. ველები არ არის ჩაკეტილი, მათი საზღვრები არამკაფიოა. ნებისმიერი ორი სემანტიკური ველი დაკავშირებულია ერთმანეთთან“ (გამყრელიძე 2003 : 349).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სემანტიკური ველი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაიხუროს, როდესაც ამა თუ იმ ლექსიკური ჯგუფის ყველა წევრის ფორმობრივი და შინაარსობრივი ფუნქციონირება აბსოლუტურად შეწყდება. ამგვარი რამ კი, ცხადია, ცოცხალ ენაში არასოდეს ხდება. ასე რომ, სემანტიკურ ველებს ყოველთვის აქვთ სახეცვლილების (ფორმისა და შინაარსის მიხედვით) პერსპექტივა.

⁵ „ცალკეულ უზუსტობათა მიუხედავად საბა არ დალატობს ლოგიკურ პრინციპს -სახეობრივ ცნებებს გვარეობითის ბუდეში აჯგუფებს და ბუდის გარეთაც განმარტავს მათ ლოგიკური განსაზღვრის ანალოგიურად ე.ი შეძლებისდაგვარად იძლევა ლექსიკური ფონდის საკუთრივ-სემანტიკურ კლასიფიკაციას (ფოჩხუა 1974: 162)

1.2. ლექსიკური ფონდის თემატური დანაწევრების საკითხი

სემანტიკურ კლასიფიკაციად მიიჩნევა ლექსიკური ფონდის დანაწილება თემატურად შემოფარგლულ ჯგუფებად. მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკური ველების დადგენის მიმართულებით მუშაობა ბოლო ათწლეულების მანძილზე ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს, ჯერჯერობით მაინც ვერ მოიძებნა ოპტიმალური ფორმატი, რომელშიც განთავსდება საძიებელი ლექსიკის სემანტიკური ველები. როგორც ბ. ფოჩხუა აღნიშნავს, სხვადასხვა ენის მაგალითზე ამგვარი დაჯგუფების რამდენიმე ცდაა ცნობილი, მაგრამ ჯერჯერობით შემუშავებული არ არის სიტყვათა თემატური დაჯგუფების საყოველთაოდ გაზიარებული პრინციპები, ამიტომ რამდენი ავტორიცაა, იმდენგვარი დაჯგუფება გვაქვს. თითოეულ კლასიფიკაციაში მრავალრიცხოვანი გამონაკლისებია, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა რამდენიმე კლასში გვხვდება (ფოჩხუა 1974: 146).

სხვათა შორის, დრომ დაამტკიცა, რომ მიუხედავად სიღრმისეულ კვლევათა მატებისა, დიდი წინსვლა ლექსიკის სისტემატიზაციის სფეროში მიღწეული არ არის. და ჯერაც უბრუნდებიან შ. ბალის პერიოდის სქემებს. შვეიცარიელი ენათმეცნიერი შარლ ბალი⁶ „ფრანგული ენის სტილისტიკაში“ იძლევა ლექსიკური ფონდის შინაარსეულ კლასიფიკაციას, რაც მას ესაჭიროება „ექსპრესიული ფაქტების იდენტიფიკაციისთვის“, ე.ი. სინონიმთა დასაჯგუფებლად ცნებათა მოცულობის თვალსაზრისით.

თვალსაზრისებისთვის დავასახელებთ შ. ბალის მიერ ჩამოყალიბებულ იდეოგრაფირების სქემას და ამ სქემიდან ე.წ. მენტალური ლექსიკის ჩვენთვის საკვლევად საინტერესო უბანს. ჩვენ ბ.ფოჩხუას იდეოგრაფიულ ლექსიკონს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ქართულ საენათმეცნიერო თეორიასა და პრაქტიკაში იმთავითვე შემოვიდა შ. ბალის ლექსიკური სისტემები და გაჩნდა ახალი მოტივაცია საკუთრივ ქართული ენის მიმართ დამოუკიდებელი კვლევებისათვის. ბალის ცხრილი მოიცავს ათ ძირითად განყოფილებას, ორმოცზე მეტი ქვეგანყოფილებით.

⁶ შარლ ბალი (Charles Bally) დაიბადა 1865 წლის 4 თებერვალს ჟენევაში და ჟენევაშივე გარდაიცვალა 1947 წლის 10 აპრილს. შ.ბალი იყო მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ლინგვისტი, რომელსაც ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომები ზოგადი და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების, ფრანგული და გერმანული ენებისა და სტილისტიკის სფეროებში.

მესამე განყოფილება გახლავთ აზრი და მისი გამოხატვა:

ა) აზრის თვისებები;

ბ) სააზროვნო პროცესები (ოპერაციები);

გ) აზრის გამოთქმა და გადმოცემა (გამოხატვა და კომუნიკაცია);

ბალი გამოყოფს ასევე შემდეგ ჯგუფებს: მატერია, გრძნობადი სამყარო, მოქმედება, ნებელობა, საკუთრება, საზოგადოება, მორალი, რელიგია.

ჩვენთვის საინტერესო მესამე განყოფილების ქვეგანყოფილება ამგვარი შინაარსისაა:

ა) აზრის თვისებები: ცნობისმოყვარეობა - ინდიფერენტულობა, ყურადღება - უყურადღებობა, ხსოვნა - დავიწყება, წარმოსახვა - წარმოსახვის არქონა, ჭკუა - უჭკუობა, ჭკუამახვილობა, გონებასადი-გონებაარეული.

სააზროვნო პროცესები 14 განაყოფს შეიცავს. აზრი, გამოთქმა და გადმოცემა 13 დანაყოფისაგან შედგება. მეტყველების, ენის შესახებ მონაკვეთი ამგვარი აგებულებისაა:

„მეტყველების თვისებები:

ა) ლაპარაკობს, დუმს (ჩუმი, უტყვი...);

ბ) ბევრს ლაპარაკობს, ცოტას ლაპარაკობს (სიტყვამუნწი, მოლაყბე...);

გ) ხმამაღლა ლაპარაკობს, ხმადაბლა ლაპარაკობს (მყვირალა...ჩურჩული...);

დ) კარგად ლაპარაკობს, ცუდად ლაპარაკობს (მკაფიოდ....დუდღუნნი...;

აზრის გამოთქმა ენის მეშვეობით:

ა) იტყვის (წარმოთქვამს...სიტყვა..);

ბ) უწოდებს (აღნიშნავს...ეწოდება...ტერმინი..);

გ) შეატყობინებს (აფრთხილებს...განცხადება...მითქმა-მოთქმა...);

დ) უამბობს (ამბავი... მოხსენება...ზღაპარი);

ე) გადმოსცემს, უხსნის, ავითარებს (აზრს, თემას)“ (ფოჩხუა 1974 : 149-150).

შ. ბალის ამ მიგნებას უმაღლ გამოუჩნდნენ მიმდევრები და მათ შორის უნდა დავასახელოთ რამდენიმე მაინც:

გერმანული ენისთვის ფ. დორნზაიფმა შეადგინა იდეოლოგიური ლექსიკონი. მისი წიგნის სახელწოდებაა „გერმანული ლექსიკური ფონდი საგანთა ჯგუფების მიხედვით“. წიგნში შესულია დაახლოებით 50000 სალექსიკონო ერთეული გერმანული ენისა, სიტყვები და სემანტიკურად სიტყვების ფარდი შესიტყვებები.

დორნზაიფის სქემა ასეთია:

1-2 გარებუნება;

3-8 ზოგადი არსებითი სახელები;

9-12 სუბიექტურის გადმომცემი სიტყვები;

13-20 სოციალური სამყარო და კულტურა.

ამ ოცი განყოფილებიდან თითოეულს რამდენიმე ქვეგანყოფი - თემა აქვს. მეთორმეტე განყოფილებაში გაერთიანებულია აზროვნებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები:

12. აზროვნება: ინსტინქტი, აზრი, ცნება, ცნობისმოყვარეობა, ჭეშმარიტება.. ცოდნა.. მეხსიერება.. მსჯელობა.. ჭკუა... ბრიყვი.. (ფოჩხუა 1974: 151)

როგორც ბ. ფოჩხუა აღნიშნავდ, 1987 წელს თავის შესანიშნავ ნაშრომში (თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, ნაკვეთი პირველი / ბ. ფოჩხუა; მთავარი რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი:თ. შარაძენიძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 1987), იმ მომენტისთვის უახლესი სქემა ამ ტიპისა ეკუთვნოდა რუდოლფ ჰალიგსა და ვალტერ ფონ ვარტბურგს. ეს სქემა ამ ავტორებმა წარმოადგინეს წიგნში „ცნებათა სისტემა, როგორც ლექსიკოგრაფიის საფუძველი“. ჰალიგისა და ვარტბურგის კლასიფიკაციაში წარმოდგენილი იყო ცნებები და არა სიტყვები, ამდენად, ცხადია, გრამატიკულ ფორმას ყურადღება არ ექცეოდა (დრომ დაამტკიცა, რომ ეს მიდგომა საკმაოდ რაციონალური იყო). ცნებათა გადმოცემისას უპირატესობა ეძლევა არსებით სახელებს, ხოლო როცა მოქმედებას ეხება საქმე, ზმნები იწერება. პოლისემიური სიტყვა მხოლოდ ერთი მნიშვნელობისათვის არის გამოყენებული.

ქართული სიტყვებისათვისაც არსებობს მათი დაჯგუფების ცდები. ქართული ენის ლექსიკური ფონდის უძველესი ფენა არნ. ჩიქობავას დაჯგუფებული აქვს შინაარსეულ კლასებად. სულ გამოყოფილია თოთხმეტი კლასი, აქედან შვიდი არსებითი სახელია.

ბ. ფოჩხუას მიმოხილული აქვს ქართული ლექსიკის იდეოგრაფირების მთელი ისტორია და განსაკუთრებულად მაღალი შეფასება აქვს მიცემული ს.ს. ორბელიანის ლექსიკოგრაფიული პრინციპებისათვის, რამლებშიც გამოჩნდა საბას სისტემური ლექსიკოგრაფიული აზროვნება და სალექსიკონო ბუდეებში განთავსებულ სიტყვათა

პარადიგმატულობის შეგრძნება. „სიტყვის კონა“ მდიდარ და საინტერესო მასალას შეიცავს სემანტიკურ ბუდეებთან დაკავშირებით. თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ლექსიკური ფონდის თემატური დაჯგუფებისას ამ მასალას ჯეროვანი ანგარიში უნდა გაეწიოს, მაგრამ ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ საბას „ბუდეებში“ წარმოდგენილი ლექსიკური მასალა თანამედროვე ქართულისათვის მნიშვნელოვანწილად მოძველებულია, მეორეც, საბას სემანტიკური ბუდეები არ მოიცავს მთელ ლექსიკურ ფონდს.⁷

„ენასა და მეტყველებაში ლექსემათა მუდმივი ურთიერთქმედების შედეგად ხდება ლექსიკური მნიშვნელობების სახეცვლა, რასაც განაპირობებს ამ უკანასკნელთა არამკაფიო საზღვრები და აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის მოძრავი კავშირი“ (თ. გამყრელიძე 2003: 356).

სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობის შეცვლას, ცხადია, კონტექსტი იწვევს. ყოველი ახალი კონტექსტი დამატებითი მნიშვნელობის ან კონოტაციის შემცველია თავდაპირველი ფუძის მიმართ. სიტყვამ შეიძლება არა მარტო დაიმტოს მნიშვნელობები, არამედ, შესაძლოა, სრულიად გამოიცვალოს სემანტიკა, ანუ გარდაიქმნას. ასეთი გარდაქმნის დროს ლექსემამ შეიძლება დაკარგოს ზოგიერთი სემანტიკური კომპონენტი და ახალი შეიძინოს. ასეთ დროს წარმოიქმნება სხვადასხვა ლექსემა, რომელთა მნიშვნელობებს საერთო ნაწილი ექნება. სწორედ ამ მოვლენას უწოდებენ ლექსიკურ პოლისემიას.

როგორც აღნიშნავენ: „პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულს აქვს პირდაპირი (მთავარი, ძირითადი, პირველადი) და გადატანითი (წარმოქმნილი, მეორეული, მოტივირებული) მნიშვნელობები. გადატანითი მნიშვნელობა არ არის დამოუკიდებელი, იგი ყოველთვის მოტივირებულია პირდაპირი მნიშვნელობით.“⁸

ერთ მომენტზეც გვსურს გავამახვილოთ ყურადღება. კერძოდ, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობები ყოველთვის უცვლელი როდია, დროთა განმავლობაში გადატანითი მნიშვნელობა შეიძლება პირდაპირ მნიშვნელობად იქცეს, პირდაპირი კი

⁷ მნიშვნელოვანია სიტყვის პოლისემიურობის საკითხი. ვიცით, რომ სიტყვის პოლისემიურობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ერთი ვოკაბულის ფარგლებში სხვადასხვა ლექსემები არსებობს. ბ. ფოჩხუა აღნიშნავს: „პოლისემიის კვლევისას ენათმეცნიერების წინაშე დგება წმინდა ისტორიულ-ენათმეცნიერული საკითხი- როგორ, რა კონკრეტულ პირობებში დაემატა სიტყვას ახალი მნიშვნელობა, ან როგორ შემორჩა სიტყვას ძველი მნიშვნელობა ახალთან ერთად“ (ბ.ფოჩხუა 1974: 39).

⁸ თ. გამყრელიძე, 2003: 357, 359

დაიკარგოს და გადატანითი მნიშვნელობის სტატუსი შეიძინოს. ლექსიკა იცვლება კულტურულ-ისტორიული, ფსიქოლოგიური, შიდასისტემური და სხვა ფაქტორების ზეგავლენით. გადატანით მნიშვნელობათა გაჩენას საფუძვლად უდევს ცნებებს შორის ისეთი ლოგიკური მიმართებები, როგორც არის: დაქვემდებარება (ჩართვა), თანხვედრა, გადაწევა, კონტრადიქცია (წინააღმდეგობა), გადაჯაჭვა. ხდება ლექსიკური მნიშვნელობების დავიწროება ან გაფართოება. ამ ვრცელი ამონარიდით, ვფიქრობთ, გადმოვეცით ის სქემა, რომლითაც ვიმუშავებთ საძიებელი ლექსიკის თემატური დახარისხებისას.

ნებისმიერი ლექსემის და შესიტყვების მნიშვნელობა ენობრივად მოტივირებულია, დაკავშირებულია ამ ენის სხვა ერთეულთა მნიშვნელობასთან. ლექსიკურ მოტივაციას საფუძვლად უდევს მოცემული ლექსემის სხვა ლექსემებთან მიმართება შინაარსის პლანში.

„საგნის ხედვა-აღქმის პროცესი, მისი სინამდვილისაგან, ქაოსისაგან ცნობიერი გამიჯვნა, ხდება ფსიქიკური აქტივობის მეორე ეტაპზე. ამ პერიოდთან იწყება მისი ნიშან-თვისებების ძებნა. ე.ი. მისი ობიექტივაცია“ (ნადირაშვილი 1985: 116).

„საგნისა თუ მოვლენის სახელდება მეტწილად კანონზომიერებაა. სახელდების ზოგად პროცესს ასე გამოხატავენ: ინდივიდი (ენობრივი კოლექტივი)->განწყობა->ხედვა-აღქმა->საგანზე შთაბეჭდილება->ფსიქიკური აქტივობის მეორე ეტაპზე შინაარსის შესაბამისი ენობრივი ფორმის „მოძებნა“ (პირობითად! შემეცნება უსასრულო პროცესია!)/სიტყვის შექმნა-> სიტყვის დამკვიდრება (კონვენცია) დროთა განმავლობაში მისი სიკვდილი (დავიწყება)“ (ფუტკარაძე 1997: 249).

გარკვეულ პერიოდებში ხმარებულ სიტყვათა მნიშვნელობის სრულად აღნუსხვა შრომატევადი პროცესია, გარკვეულ იმედებს იძლევა ქართული ენის ელექტრონული კორპუსის ბაზების ინტენსიური შევსება-გაფართოება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ლექსიკაზე დაკვირვება სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა დროსა და სივრცეში.

ძველი ქართული ლექსიკა დადასტურებულია სხვადასხვა ეპოქის ქართულ სამწიგნობრო ენაში, მასზე დაკვირვებით შეიმჩნევა, რომ ისტორიულ-კულტურულ განვითარებას მოაქვს ცვლილებები ღირებულებებისა და შეხედულებებისა, რომლებიც, თავის მხრივ, იწვევენ ცვლილებებს ენობრივ სისტემაში .

თ. თურქიას აზრით, სიტყვის მნიშვნელობის ცვლასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი თეორიული საფუძველი: „შესაძლებელია, სიტყვის მნიშვნელობათა ცვლის სახეების ორგვარი კლასიფიკაცია - ლოგიკური და ფსიქოლოგიური. ლოგიკურ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს კვანტიტატიური (რაოდენობრივი) დაპირისპირება მნიშვნელობის ცვლამდე და მას შემდეგ. კვანტიტატიური თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს სამი განსხვავებული კატეგორია:

1. ახალი მნიშვნელობა უფრო დიდი მოცულობისაა, ე.ი ძალიან ფართოა;
2. მცირე მოცულობისაა. ე.ი.ვიწროა;
3. ძველი მნიშვნელობის თანაბარია;⁹

გარკვეულ პერიოდში გამოყენებულ სიტყვათა მნიშვნელობის სრულად აღნუსხვა მოგვცემს ენის ლექსიკას. ქართული, ჩვენთვის ცნობილი მწიგნობარი ენებისაგან განსხვავებით, არ დაშორებია ძველი საუკუნეების სამწიგნობრო ენას .

⁹ თ.თურქია, „ადამიანის საცხოვრისის ამსახველი ლექსიკის სპრამატიკული ანალიზი ((ქართული ენის მაგალითზე), თ. თურქია; დის...დოქტ. აკად. ხარ./სამეცნ.ხელმძღვ.: მერაბ ნაჭყებია; სოხუმის სახელმწ. უნ-ტი; თბ., 2013-173. ბიბლიოგრ.: გვ.170-173. UDC: 811.353.1'373.

თავი II

გონიერების ცნების კვლევის ისტორია

2.1. გონიერების ცნება. გონების, შემეცნების, მენტალური აქტივობის არსი და მისი ლექსიკური გამოხატულების საკითხის კვლევის ისტორია

რამდენადაც ჩვენი კვლევის მიზანია ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის კვლევა ქართულ ენაში, საჭიროდ მივიჩნით, მოკლედ შევეხოთ ინტელექტის რაობას; ინტელექტის რთული მექანიზმები და ნაირგვარი გამოვლინებები, ცხადია, აღიწერება ენობრივად და ქმნის უალრესად ვრცელ ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ბაზას. ჩვენც ასე დავიწყებთ: რა ცნებებსა და ტერმინებს მოიცავს მენტალური აქტივობა და როგორია მისი ლექსიკური გამოხატულება.

ფსიქოლოგების მხრიდან ადამიანის ინტელექტის გაგებისადმი განსხვავებულმა მიდგომამ, ინტელექტის თაობაზე სხვადასხვა თეორიის შექმნა განაპირობა.

ბევრი მეცნიერი აყალიბებს ამ საკითხზე საკუთარ თვალსაზრისს, ერთ-ერთმა პირველმა ჩარლზ სპინერმა აღნიშნა, რომ „არსებობს ზოგადი ინტელექტის ფაქტორი-G, რომელიც გონიერ შესრულებას უდევს საფუძვლად, ასევე გამოყო სპეციალურ უნარებთან დაკავშირებული-S, (მაგალითად, არითმეტიკული დავალების შესრულება დამოკიდებულია როგორც ზოგად, ისე ამ სფეროსთან დაკავშირებული სპეციალური უნარების ქონასთან)“.

რაიმონ კეტელმა აღნიშნა, რომ ზოგადი ინტელექტი შეიძლება დაიყოს ორ შედარებით დამოუკიდებელ კომპონენტად. მათ კეტელმა კრისტალიზებული და ფლუიდური ინტელექტი უწოდა (კეტელი 1963).

კრისტალიზებული ინტელექტი მოიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც სწავლის ან გამოცდილების საფუძველზე შეიძინება. ფლუიდური ინტელექტი მიმართებათა წვდომის, ახალი სიტუაციის გაგების შესაძლებლობაში ვლინდება (ის 20 წლის ასაკში განვითარების მაქსიმუმს აღწევს).

ტერმინი ინტელექტი ჩვენში გვიანაა შემოსული, კარგა ხანს დარგობრივ ენებში ტრიალებდა, მის ნაცვლად (და გვერდით) ის სიტყვები გამოიყენებოდა, რომლებიც დღეს ამ ტერმინის განმარტებით ნაწილშია გადატანილი (ადამიანის აზროვნების

უნარი, გონება, ჭკუა, გონებრივი განვითარების დონე) და რომლებიც ენაში დარჩა ოდნავ განსხვავებული კონოტაციებით. ტერმინ ინტელექტს, მისი წინამორბედი ლექსემები არ გაუმეგვბია, მაგრამ დღეისთვის იგი პრესტიჟულობისა და წვრთნის საფუძველზე გავარჯიმებული გონიერების ელიტარული მნიშვნელობის მატარებლად რჩება.

„გილფორდმა...ინტელექტუალური ამოცანის სამი ნიშან-თვისება გამოყო: შინაარსი ანუ ინფორმაციის ტიპი, ოპერაცია-შესრულებული გონებრივი მოქმედების ტიპი და პროდუქტი-ფორმა, რითაც ინფორმაცია არის წარმოდგენილი. არსებობს ოთხი სახის შინაარსი: მხედველობითი და სმენითი, სემანტიკური, სიმბოლური, ქცევითი. ხუთი სახის ოპერაცია: შეფასება, კონვერგენტული პროდუქცია, დივერგენტული პროდუქცია, მეხსიერება, შემეცნება. ექვსი სახის პროდუქტი: ერთეულები, კლასები, მიმართებები, სისტემები, ტრანსფორმაციები, იმპლიკაციები. „გილფორდმა ეს სამი ნიშანი მართკუთხედის სიგრძეს, სიგანეს და სიმაღლეს შეუსაბამა და მათი 120 კომბინაცია გამოყო, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ გონებრივ უნარს წარმოადგენს“ (ინტელექტის თეორიები, 2002).

ცხადია, ფსიქოლოგთა მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციები ენათმეცნიერები-სათვის ძალიან საინტერესოა, რადგან ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად დაყოფაშიც შეიძლება მათზე ორიენტირება. მაგალითისთვის, შევეცდეთ-ბით გილფორდისეული სქემის ლექსიკური ეკვივალენტებით გაწყობას:

1. ოთხი სახის შინაარსი: მხედველობითი (განჭვრეტა, გათვალისწინება, დანახვა (აზრობრივი), საკითხში ჩახედვა, იდეისათვის თვალის გაყოლება და სხვ.) და სმენითი (ჯერარსმენილი ამბავი (გაუგონარი), გაგონილი და შეუმოწმებელ-შესამოწმებელი (საკითხი), უყურადღებობა, ყურადღება და სხვ.), სემანტიკური (მნიშვნელობის მინიჭება, ხაზგასმა, ამოცნობა და სხვ.), სიმბოლური (აღნიშვნა, აღბეჭდვა, ნიშანდება და სხვ.), ქცევითი (მიწვდომა, მითითება, დადგენა, გარკვევა და სხვ.);
2. ხუთი სახის ოპერაცია: შეფასება (შეეპუა, მიიღო, სცნო, აღიარა, გაიოცა და სხვ.), კონვერგენტული პროდუქცია (გამოწვლილვით შესწავლა, გამოიძია, იკვლევს და სხვ.), დივერგენტული პროდუქცია (შექმნა, აღბეჭდვა, გაცნობიერება და სხვ.), მეხსიერება

(ჩაიბეჭდა, გულში ჩაიმარხა, („ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ დამარხული“ (გალ.) და სხვ.), შემეცნება (ჩასწვდა, გაიაზრა, გააცნობიერა, განსაჯა, გააანალიზა და სხვ.).

3. როგორც ვხედავთ, ამ მიმართულებით მუშაობა სემანტიკური ველების სფეროში შესანიშნავ შედეგებს გვპირდება სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიისა და სამეცნიერო სამუშაოთა აღწერა-კლასიფიკაციის მიმართულებით.

ხოლო მეთოდურ და საკლასიფიკაციო კრიტერიუმთა მრავალფეროვნების საჩვენებლად კიდევ რამდენიმე განსაკუთრებით საინტერესო კლასიფიკაციას ჩამოვთვლით ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის სფეროებიდან.

კოგნიტური პროცესების მნიშვნელობას ხაზი გაუსვა რობერტ სტინბერგმა, მან შექმნა ინტელექტის ტრიატეული - სამნაწილიანი თეორია, სადაც ინტელექტის სამი სახე გამოიყოფა: კომპონენტური, კონტექსტუალური და ემპირიული. კომპონენტური ინტელექტი აზროვნებას, ამოცანის გადაწყვეტას უდევს საფუძვლად. გამოიყოფა სამი ტიპის კომპონენტი: ცოდნის შექმნის კომპონენტები - ახალი ფაქტების დასწავლა, შესრულების კომპონენტი-პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი სტრატეგიებისა და ტექნიკის, მეტაკოგნიტური კომპონენტი - სტრატეგიების შერჩევისა და წარმატებისკენ მომავალი პროცესის მონიტორინგისათვის. (ნარიმანაშვილი 2013; მირზიკაშვილი 2014: 36)

„ჰოვარდ გარდნერმა ინტელექტის მრავალი სახის არსებობას გაუსვა ხაზი, მან რვა სახის ინტელექტი გამოყო: ლინგვისტური, მუსიკალური, ლოგიკური, მათემატიკური, სივრცითი, სხეულებრივ-კინესთეტიკური, ინტერპერსონალური, და ინტრაპერსონალური. გარდნერის თანახმად სხვადასხვა კულტურასა და საზოგადოებაში სხვადასხვა ინტელექტის სახეა აქტუალური და დაფასებული. იმის მიხედვით თუ რა ღირებულებებს ანიჭებენ უპირატესობას. გარდნერის ინტერპერსონალური და ინტრაპერსონალური ინტელექტის ცნებას უკავშირდება ემოციური ინტელექტის ცნება

(E I), რომელიც ოთხ ძირითად კომპონენტს აერთიანებს:

1. ემოციის ზუსტად და შესატყვისად აღქმის, შეფასების და გამოხატვის უნარი.
2. აზროვნებისას ემოციების გამოყენების უნარი.
3. ემოციების გაგების, ანალიზის, ემოციური ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარი.
4. საკუთარი ემოციების რეგულირების უნარი.“(ინტელექტის თეორიები 2002)

ინტელექტი, ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იმ საკითხებს შორის, რომლებიც ფსიქოლოგიის შესწავლის აქტუალურ საგანს წარმოადგენს. ინტელექტის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს. ინტელექტის პირველი ტესტი ფსიქოლოგების მიხედვით, ეს არის ადამიანის უნარი ადეკვატურად შეაფასოს და მოერგოს გარემოს მოთხოვნებს, ასევე თვითკრიტიკის უნარი. თუ შევაჯამებთ არსებულ დეფინიციებს, ინტელექტი - ეს არის ადამიანის გონებრივი უნარი, რომელიც მოიცავს:

- ლოგიკურ მსჯელობებს და დასკვნების გამოტანის უნარს.
- დაგეგმვის უნარს.
- პრობლემის გადაჭრის უნარს.
- აბსტრაქტული აზროვნების უნარს.
- კომპლექსური იდეების გაგების უნარს.
- სწრაფად დასწავლის და გამოცდილების სწავლის უნარს.

XX ს-ის დასაწყისში ინტელექტის გაზომვისათვის ტესტის შექმნა ალბერტ ბინემ დაიწყო. მას მიაჩნდა, რომ ინტელექტი რაოდენობრივად უნდა გაიზომოს და შეფასდეს ერთი ქულით. ფსიქოლოგების ნაწილი, რომლებიც თვლიდნენ, რომ ინტელექტი არის არა ერთი, არამედ რამდენიმე უნარის ერთობლიობა, მის შესაფასებლად იყენებდა ფაქტორულ ანალიზს.

ინტელექტის რამდენიმე მოდელთა შორის ერთ-ერთია სპირმენის მოდელი. სპირმენმა გამოყო ინტელექტის ზოგადი ფაქტორი და სპეციფიკური უნარების მაჩვენებელი ფაქტორი. სპინერის აზრით, ნებისმიერი ადამიანი ხასიათდება ინტელექტის გარკვეული დონით, რაზეც დამოკიდებულია, ის, თუ როგორ ადაპტირდება ადამიანი გარემოსთან. ფაქტია, რომ ინტელექტი პიროვნების თვისებაა, რომელიც აზროვნების უნარის, აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს.

„ნებისმიერ კულტურულ სივრცეში ადამიანისათვის მნიშვნელოვანია სმენითი აღქმა-შემეცნება და მისი გააზრება, თუნდაც შესაბამის ტერმინოლოგიას არ იყენებდეს, თუმცა თავად სპეციალური ტერმინების არსებობა ამა თუ იმ საზოგადოების გაცნობიერებულ, რეალურ მიდგომას გამოხატავს“ (მირზიკაშვილი 2014: 36).

არსებობს მოსაზრება, რომ ყველა ენაში აღქმა-შემეცნება გაჩნდებოდა მოგვიანებით, მაგრამ გაგებისა და მოსმენის ცნებები და მათი სემანტიკური არეალი ენის ჩასახვისთანავე უნდა არსებულებოდა. რადგან მოსმენა, გაგება, უნივერსალური მოვლენაა.

„როგორც საზოგადოდ, ისე ენობრივი თვალსაზრისით, მოსმენა არ ნიშნავს გაგებას და მით უმეტეს აღქმა-შემეცნებას, ანუ აღქმა-შემეცნება ენობრივ დონეზე შეიძლება სულაც არ იყოს უნივერსალური, რაც სათანადო შემოწმებას მოითხოვს. ადამიანი იოლად ინახავს საჭირო ინფორმაციას ვერბალური ფორმით და სიტყვების საშუალებით გადალახავს დროით მანძილს. ის, რაც ჩვენ გვახსოვს, ხშირად ფაქტებს მთელი სიზუსტით არ ემთხვევა სწორედ იმიტომ, რომ მეხსიერება ვერბალური ფორმით ინახავს ინფორმაციას, სიტყვები კი მოვლენას ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავ“ (თ.გამყრელიძე 2003: 485).

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ენა სინამდვილის ფოტოგრაფია არ არის. ყველა ენა სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენს სინამდვილეს და ამდენად, არც ერთ ენაში არ არის განხორციელებული იდეა სამყაროს ადეკვატური აღქმისა. ყველა ენას თავისი ლოგიკა აქვს და ყველა მათგანი სწორია სამყაროს მისეული აღქმის თვალსაზრისით. რამდენადაც ემპირიული მოცემულობა ნებისმიერი ენის მატარებელი ხალხისათვის სხვადასხვაგვარია, აღქმაც ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება.

სიტყვის მნიშვნელობის ძებნისას თუ დადგენისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია გარეფაქტორები, რაც ვლინდება ფრაზეოლოგიის შესწავლით და ადამიანთა ქცევისა და აზროვნების ფსიქოლოგიური ანალიზით.

შემეცნება ობიექტური რეალობის ადეკვატური ასახვაა. ადამიანის ცნობიერებაში, ფსიქოლოგიაში შემეცნების თეორიის ძირითადი პრობლემაა იმ ზოგადი წანამდვრების გამოკვლევა, რომლებიც ობიექტური ცოდნის შესაძლებლობას განსაზღვრავენ. რას ნიშნავს ცოდნის ობიექტურობა და რა პირობებშია იგი შესაძლებელი? საკითხის გნოსეოლოგიური მხარე ასეთია: ადამიანის ცნობიერებას შეუძლია სამყაროს შემეცნება. შემეცნების თეორია უნდა განვასხვავოთ ონტოლოგიისა და შემეცნების ფსიქოლოგიისაგან, რომელიც იკვლევს შემეცნების პროცესისა და შემეცნებითი აქტების მიმდინარეობას ინდივიდის ცნობიერებაში და არ ეხება ამ აქტების შინაარსის სინამდვილესთან მიმართების, ე.ი. მისი ჭეშმარიტება-მცდარობის საკითხს. თავად შემეცნების თეორია იკვლევს შინაარსის ჭეშმარიტება-მცდარობის ანუ ობიექტთან მიმართების თვალსაზრისით (Вежницька 1996: 237-239; მირზიკაშვილი 2014: 37).

თავის სტატიაში ქ. მირზიკაშვილი საუბრობს ლექსიკურ ერთეულებზე, რომელთა შესწავლა არის ასევე ჩვენი კვლევის საგანი. კერძოდ, ამ რიგისაა ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკური ერთეულები. აღქმისა და შემეცნების აღმნიშვნელი ლექსიკის ცალ-ცალკე გამიჯვნა რთულია და ამიტომ ისინი ერთად განიხილება, ეს იმითაც არის განპირობებული, რომ განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვები თითქმის ერთმანეთითაა განმარტებული. ესენია: გაგება, შეგნება, შეცნობა (მირზიკაშვილი 2014: 37).

გაგება - 1. გაიგებს ა) გონებით ჩასწვდება რასმე,გაიაზრებს, შეიგნებს, მიხვდება; ბ) შეიტყობს; გ) იგივეა, რაც გაიგონებს. 2. თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია, მეცნიერული გაგება, ისტორიის მატერიალური გაგება.

შეიგნებს - რაიმეს შინაარსს, არსს ჩასწვდება-შეიცნობს, შეითვისებს, მიხვდება. (შეგნება, შეგნებული, შეუგნებელი)(ქეგლ 1985: 76)(ნეიმანი 1961: 71).

შეიცნობს - გაიგებს, ჩასწვდება საგნის, მოვლენის არსს, ბუნებას.

ცან/ცნ- ძირი ქართულში მრავალი ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი: ცნ-ობ-ა, მე-ცნ-იერ-ი, ცნ-ობ-ილ-ი, ეს სიტყვები სხვადასხვა დროს რამდენადმე იცვლიდნენ მნიშვნელობებს, მაგრამ ყოველთვის პროდუქტიულები იყვნენ. მეგრულსა და ლაზურში ამ ძირს ჩინ შეესაბამება და ცოდნას, გაგებას ნიშნავს, ხოლო ლაზურში ამას ცნობის გაგებაც ემატება.

თანამედროვე ლექსიკონებში -ც- ძირის შემცველი ლექსიკა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და ერთ-ერთ განსაკუთრებულად ვრცელ სემანტიკურ ველს წარმოქმნის. ამ ძირის შემცველი ლექსიკიდან დღეს აქტიურ გამოყენებაშია: **იცის, უვიცი (უიცი, უცები), ცოდნა, მცოდნე, ცნობა, უცნობი, ნაცნობი, საცოდნელი, უცოდინარი, მეცადინი, ცდა, ნაცადი** და უამრავი მათგან წარმოებული ნორმატიული და დიალექტური ვარიანტი, რომლებიც სალექსიკონო ადგილისა და ზუსტი განმარტებისათვის აუცილებლად საჭიროებენ მოწესრიგებას და სემანტიკური სივრცის შემოსაზღვრას.

დასახელებული ფორმების სემანტიკური პოტენციალის განსაზღვრისათვის აუცილებელი აღმოჩნდა ამ ლექსიკური ერთეულების სხვადასხვა მორფოლოგიური მდგომარეობის მოძიება და შინაარსობრივი მგრძნობიარობის განსაზღვრა, რადგან ეს ძირი თავისი უძველესი წარმოშობისა და დროში ცვალებადობის გამო, ზმნურ წარმოებებში დღეს ატიპურ ფორმად ჩნდება და თავისებურ ზმნათა რიგში მოიაზრება.

2.2. ცოდნა-გონიერებასთან დაკავშირებული ფუძეები ქართულ ლექსიკონებში

ქართული ენის თანამედროვე ლექსიკონში, რომლის უპირველეს წიგნად ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული (და შემდგომ მასზე დაფუძნებული მისივე ვარიანტები) მიიჩნევა, იცის ზმნა ასეა წარმოდგენილი:

„იცის (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გარდუვ.სტატ.1.ცოდნა აქვს (რისამე შესახებ), გაეგება; შესწავლილი, დასწავლილი აქვს (რამე)...“ (ქეგლ 1955:932). შემდეგ მაგალითებითაა ნაჩვენები ამგვარი კვალიფიკაციის შესაბამისი მნიშვნელობები.

ლექსიკონი არ გვთავაზობს იცის - ზმნით გადმოცემული მნიშვნელობების შესაბამის ნამყოს ან მყოფადს. ანუ ლექსიკონით ჩვენ ვეღარ გავიგნებთ გზას სასურველი ლექსემის სხვადასხვა დროის ფორმებისაკენ და თუ ვივარაუდებთ, რომ წინადადება- „კაცმა ამბავი იცის“ ნამყო დროში შეიძლება გადმოიცეს, როგორც: „კაცმა ამბავი შეიტყო“ ფორმას ახლავს მის აწმყოზე მითითება.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი დროების მინიშნების პრინციპი ქეგლ-ში (ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში) თანმიმდევრულადაა გატარებული ე.წ. წესიერი ზმნების მიმართ, მაგრამ თავისებურ ზმნათა მორფოლოგიური წინააღმდეგობები დალს ასვამს ბუდეში ლექსიკური ერთეულის სრულყოფილად დახასიათების საქმეს, კერძოდ, სასურველი შინაარსის გადმოსაცემად როგორ მოვძებნოთ სათანადო ფორმა. სხვათა შორის, „სიტყვის კონაში“ საბას ხშირად აქვს მოცემული საძიებელი სიტყვის ყველა (მეტ-ნაკლებად) წარმოებულის ჩამონათვალი და მინიშნება, რომელი ფორმა უნდა ვნახოთ დამაზუსტებელი განმარტების მოსაპოვებლად.

„-ც- ვიცი, იცი, იცის, იცოდა, მიცი,უცი, უვიცი, უიცად,უცბი, უცები, ცებნა, იცი (სწავლულ ხარ), იცოდა (ცოდნილ იყო):

ცან- აცნობა, გამოცანა, გიცნობს,ეცნობება, ვცან,იუცნობეს, იცნა, იცნოდა, , მამცნედ, მიცნა, მცნაური, მცნობი,ნაცნობი, საცნაური, საცნობელი, სცნობ,სცნობდიან, სცნობენ, სცნობს, უცნაური, უცნაური ნესტუი, უცნო, უცნოსა, ცნება, ცნობა, ცნობილი.

„შდრ.მეცნ.მეც 2. მეცნ, ც 3, ცოდნა. ცოდნა-ესე არს უწყება, გინა თქმისა და ქმნის სწავლების შეძლება, ნ.აცოდინა, ვაცოდინე, მცოდინარე, მცოდინი, მცოდნელი.“ (ორბელიანი 1993: 340)

აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ **ცნობა** და **ცოდნა** „თავისებური ზმნების“ რიგშია მოქცეული და შემდეგნაირადაა განმარტებული : **ცნობა**-სხვადასხვა წარმოება აქვს აწმყოს წრეში, ერთი მხრით და მყოფადის წრესა და მეორე სერიის მწკრივებში, მეორე მხრით: ვ-ცნობ, ვ-ი-ცნობ, ვ-ი-ცან(ი). სათავისო ქცევის ფორმით ზმნას სხვა მნიშვნელობა აქვს (პეტრეს ვიცნობ-პეტრე ჩემი ნაცნობია), მას კი მარტო აწმყოს წრის მწკრივები აქვს: ვიცნობ, ვიცნობდი, ვიცნობდე. ა.შანიძე ასახელებს **გრძნობა** და **ცნობა** ფორმებს და მიუთითებს, ეს ზმნები აწმყოს წრეში საარვისო ქცევის ფორმით იხმარება, მყოფადის წრესა და მყოფადის სერიაში კი-სათავისო ქცევით:

ვგრძნობ-ვიგრძნობ, ვიგრძენი

ვცნობ-ვიცნობ, ვიცან (ი).

„თვალთ დამაკლავდა, ველარავის ვცნობ“, „ჩავედი ჩემს სოფელში და ველარავინ ვიცანი.“ თურმეობითში შეიძლება ვ ჩაერთოს უკანასკნელი თანხმოვნის წინ ერთსაც და მეორესაც: „სივრცე ჯერ არ მიგრძენია“, „მოყვარე ველარ გიცვნი“. (შანიძე 1973: 525)

შანიძისეული განმარტებით, **ცოდნაც** თავისებურ ზმნებს განეკუთვნება. ამ ზმნის პირიან ფორმებს ახასიათებს პირის ცვალებადობა, როდესაც მეორე ხოლმეობითის ფორმა აწმყოს ფორმად არის ქცეული, ასევე მას მეორე სერიის ფორმები აკლია, აწმყოს წრის ფორმები კი გარდამავალი ზმნების ფორმათა მიხედვით აქვს ნაწარმოები - ვიცი, ვიცოდი, ვიცოდე, მყოფადის წრისა კი - გარდაუვალი ზმნების მსგავსად-მცოდნია (-ოდა)(-ოდეს); მეცოდინება (-ოდა)(-ოდეს). „ოდ“ სავრცობია (ვ-ი-ც-ოდ-ი, ვ-ი-ცოდ-ე), მაგრამ იგი სახელზმნაშიც არის გამოყენებული: ცოდნა, მცოდნე, უცოდნელი, საცოდნელი.

უვიცი მიღებულია ფორმისაგან **უიცი**. ამ ფორმას ვხვდებით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“: „ძებნა წამლისა მისისა და ცოდნა ხამს უიცისა“(706) „უიცი“ იგივეა, რაც არ იცის კაცმა, უცოდნელი რამ. ამჟამად „უვიცი“ არაფრისმცოდნეს ნიშნავს, ანუ მისი სემანტიკა ნაწილობრივ მაინც შეცვლილია.

აკაკი შანიძის „საფუძვლებში“, **ვიცი** მწკრივგამოცვლილ ზმნებშია დასახელებული, **ვიცი**, **უწყი** აწმყოს ფორმებადაა გაგებული, მაგრამ წარმოშობით ორივე მეორე ხოლმეობითია, რადგან ამ ზმნათა მესამე სუბიექტური პირის ფორმას სახელი ქვემდებარედ მოთხრობითში შეეწყობა: ჩვენ ვიცით, ამხანაგმა იცის. ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშია მაშინ, თუ მასთან შეწყობილი ზმნა გარდამავალია (ან

წარმოშობით გარდამავალი) და თანაც მეორე სერიის ერთ-ერთი მწკრივის ფარმაა. როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს, ეს სინტაქსური თვისება შერჩათ ამ ზმნებს, ამასთანავე აწმყოს ფორმად იქცნენ და აქედან გაიკეთეს სავრცობიანი მწკრივები: ვიცოდი, ვიცოდე, ვუწყოდი, ვუწყოდე. აღსანიშნავია, რომ „უწყოდა“ ზმნის განვითარება და გამოყენება შეწყდა. ვიცი ზმნა დღესაც ცოცხლი ზმნაა. მას მეორე სერიის ფორმები აკლია... მაგრამ მოეპოვება III სერიისა, რომლებიც გარდაუვალი ზმნის მსგავსად აქვს ნაწარმოები: მცოდნია, მცოდნოდა, მცოდნიდეს). შეიძლება დავასკვნათ, რომ აწმყოს წრეში ფორმები გარდამავალი ზმნისაა: ვიცი, ვიცოდი, ვიცოდე, მყოფადის წრესა და მესამე სერიაში - გარდაუვალისა: მეცოდი-ნება, მცოდნია.“(შანიძე 1973: 522)

ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში მართლაც ხერხდება -ც- ძირის შემცველი ზმნების შინაარსობრივი მასშტაბების დანახვა და დღევანდელი ლექსიკონებისთვის სარეკომენდაციოდ მიწოდება: „შუშანიკის წამებაში“ ჩვენ ვხედავთ ვიცი ზმნის აწ უკვე დაკარგულ ფორმებს: „მიცნობიეს“, „მეცნა“

მაგ.: „მე ვითარ მიცნობიეს“(ქართული პროზა, I ტ.,10).

„ხოლო წმინდამან მან ცან ზაუკვითი იგი ზრავაი მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ.“(ქართული პროზა, I ტ.,10).

„ნუუკუე ცნას და მომკლას მე?“ (ქართული პროზა, I ტ.,14)

აქ ცალკე მსჯელობას მოითხოვს ამცნო ფორმა: „ და ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: ნურა ვინ შევალს ხილვად მისა.“ (ქართული პროზა, I ტ.,13)

„მაშინ დაადგინნა მცუელნი მის ზედა და ამცნო მათ, რაითა სიყმილითა მოკლან იგი.“ (ქართული პროზა, I ტ.,17)

დღეს მეორე სერიაში „ვიცი (იცი, იცის) ზმნის შემცვლელის შესარჩევად პირველ სერიაში ამ ზმნით გადმოცემული შინაარსი და სემანტიკური ელფერია გასათვალისწინებელი. შეიტყო, გაიგო მყოფადისა და მეორე სერიის ფორმათა ე.წ შემცვლელები კონტექსტის მიხედვით შეიძლება შეირჩეს. მაგ.: „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის განმარტებისას მოსწავლეებს ვეუბნებით, რომ ცნა ზმნა წინადადებაში - „რა ცნა მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა“, დღეს შეიტყო, გაიგო ზმნით ჩანაცვლდებოდა; მიცან ფორმა დღეს შეიტყო, გაიგო ფორმებით ჩანაცვლდებოდა ასევე მას დამიზუსტე, გამიგე ფორმები შეცვლიდნენ წინადადებაში:

„მიბრძანა: მიცან ამბავი, მის ყმისა დაკარგულისა“(153).

„ველარა სცნეს მისი საქმე, გაიარა აქათ კიდე“(174).

„მისი ვერა ვცან ჭორადცა, ვარ ვისთა გზათა მკვლეველად“(186).

ჩვენი აზრით, ყველა შესაძლო ლექსიკური ფორმის ერთად ჩამოთვლისა და შემდეგ ცალკეულ მნიშვნელობასთან მკითხველის გაგზავნის საბასეული მეთოდი უკეთ გადმოსცემდა ე.წ. თავისებური ზმნების (მწკრივნაკლი და ფუძემონაცვლე) ფორმების დროკილოური პარადიგმის სრულ სემანტიკურ სურათს, ვიდრე ამავე ტიპის ზმნათა მოწოდების განმარტებითი ლექსიკონისეული პრინციპი შეცვლილ ფუძეთა ურთიერთკავშირის იგნორირებისა.

უამრავი ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობის სიტყვაა დაკავშირებული გ-ძირთან (ა-გ-ებ-ა, მო-გ-ებ-ა, მი-გ-ებ-ა, და-გ-ებ-ა, ჩა-გ-ებ-ა, ჰ-გ-იე-ს)(ფენრიხი 2000: 129-130).

ეს ძირი მეტად მრავალმნიშვნელოვანია მეგრულსა და ლაზურში, სვანურშიც მოეძებნება მნიშვნელობა და ყველგან მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათი ერთმანეთთან კავშირი უდავოა, უკვე ქართულ-ზანური ერთობისათვის ეს ძირი ებთემის ნიშნით განივრცო. სავარაუდოდ, ამ ძირს თავიდანვე ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ჯერ **გაგება-შეგნება-მოსმენა** შეითვისა და მერე უკვე **აღქმა-გააზრებაც** იტვირთა. დღეს კი მისი მნიშვნელობებიდან ჯერ **აღქმა** დგას, შემდეგ - **შეტყობა-გაგონება**, სულ ბოლოს კი თვალსაზრისს, ინტერპრეტაციას ნიშნავს, რაც უშუალოდ აღქმადობას უკავშირდება.

საბასთან მას ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა არ გააჩნია. „**გაგება - გარიგებას, გინა გამოცნობას**“ ნიშნავს(ორბელიანი 1991: 128). **გამოცნობა** სწორ გაგებას ნიშნავს, მაგრამ ორაზროვნებას მოკლებული არ არის. საინტერესოა, რომ ამ ფუძეს წარმოების მეშვეობით ორმაგი წარმოება შეიძლება ჰქონდეს (გაიგო-გააგებინა).

შეგნებაც იდენტური ღირებულებისაა განზოგადებული თვალსაზრისით, მათ შორის კონტექსტური ჩანაცვლება ზოგჯერ შესაძლებელია, ზოგჯერ არა. ისტორიულად კი ეს ძირი **გან / გენ / გნ** ფორმით აღდგება(ფენრიხი... 2000: 135). ქართულში იგი სახელშიც გვხვდება და ზმნაშიც: გან-ი, სა-გან-ი, შე-ვი-გენ, შეგ-ნე-ბა. მეგრულში წამყვანი სწორედ ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობაა: -გინ/გნ- ვ-ი-გინ-ენ-ქ, ვიგებ, ვცნობ....ლაზურშიც დასტურდება შესატყვისობა: -გნ-, ო-გნ-უ, -მიხვედრა, ო-გნ-აფ-უ -

გაგონება, გაგება, ცოდნის მიღება, გრძნობა; შენიშვნა: სვანური ეკვივალენტი ჯერჯერობით არაა გამოვლენილი (ფენრიხი... 2000: 135).

ს.ს. ორბელიანთან **შეიგნებს** განმარტებულია **შეიცნობს, შეითვისებს** ფორმებით და მითითებულია **ცნობიერება, გაცნობიერებული**, რაც სრულიად პასუხობს ამ ცნებათა დღევანდელ გაგებას. აღსანიშნავია, რომ საბას ეპოქაში ყველა აქ მოყვანილ მაგალითზე მეტად მხოლოდ ეს სიტყვა გამოხატავდა ყველაზე ზუსტად აღქმას, რასაც ცნობიერებასთან აკავშირებდნენ. გაცნობიერებულის სინონიმებად ჩაითვლება **გააზრებული, შეგნებული; ცნობიერება** შემდეგნაირადაა განმარტებული:

1.ადამიანის ტვინის უნარი ასახოს სინამდვილე და განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება გარესამყაროსთან.

2.გონება. (ქეგლ. 1986: 985, 539).

ძველ ქართულში ამ ცნების აღმნიშვნელი სულ სხვა ძირი იყო, რომელსაც ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ვხვდებით. ეს არის **-რჩ-** ძირი, რომელიც შემდეგნაირად რეალიზდება ვ-ე-**რჩ**-ი-ვუჯერებ, მო-**რჩ**-ილ-ი-დამჯერი. „**მორჩილი**“ იგივეა, რაც „დამორჩილებული, გამგონი, მსმენელი, მიმდევარი“, ხოლო „**მორჩილება**“ // „**მორჩილობა**“ – „დამორჩილება, სმენა, გაგონება“ (ი. აბულაძე, 1973, გვ. 274).

ეს სიტყვები დღესაც აქტიურად გამოიყენება, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობით. (ვერჩი-ვმტრობ, გადავეკიდე: მორჩილი-დამჯერი, კანონის მორჩილი), მეგრულში ამ სიტყვის შესატყვისი **რჩქ-** მოსმენას გამოხატავს, **მა-რჩქ-ილ-ე** მსმენელი. მართალია ეს ძირი დღეს სხვა მნიშვნელობით განაგრძობს არსებობას, მაგრამ ოდითგანვე არსებული **სემ/სმ-** ძირი კვლავ იდენტური გაგებისაა და ქართველურ ქვესისტემებში **სმენის, გაგონების** მნიშვნელობით რეალიზდება. (ფენრიხი... 2000: 390-398)

აღქმის გამომხატველი სიტყვებიდან საინტერესოა გაიაზრებს, **აზრად გაივლებს, გაიფიქრებს, მოისაზრებს** (ქეგლ. 1985: 68), აითვისებს (ნეიმანი... 1961: 41). ეს სიტყვა უშუალოდ აღნიშნავს პროცესს, თუ როგორ ხდება თავის ტვინში გარკვეული ინფორმაციის შესმენა-გააზრება, რის შემდეგაც იგი უკვე პიროვნების საკუთრება, მისი აზრი ხდება. ეს ძირი გვხვდება სულხან-საბასთანაც - **იაზრა, აზრი ქნა**. (ორბელიანი 1966: 318)

„დასახელებული მაგალითები ადასტურებს, რომ საგანს, ცნებასა და სიტყვას შორის ლოგიკური მიმართებები ენაში წარმოგვიდგება დენოტატს, აღსანიშნა და

აღმნიშვნელს შორის მიმართებების სახით და რამდენადაც, ცნების ლოგიკური კატეგორია ენობრივ ნიშანთან კავშირში სემანტიკურ კატეგორიად განიხილება, ჩვენ ფორმაზე მსჯელობაში ვერ ჩავეტევით და უთუოდ სემანტიკური ველის შიგნით მოგვიწევს შინაარსობრივი და ასოციაციური კავშირების ძებნა. ამას გულისხმობს თეორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისი, რომ მნიშვნელობა და ცნება ერთი კონცეპტუალური სისტემის ორი მხარეა: პირველი მიმართულია ნიშნისაკენ, მეორე - გარესამყაროსკენ. სწორედ ეს უდევს საფუძვლად სემანტიკის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, ძირითად ამოცანას, დაადგინოს მიმართება აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის“ (გამყრელიძე 2003: 336).

ჩვენ ვისაუბრეთ ლექსიკის ცვლის მიზეზებზე და უდავოა, რომ დროთა განმავლობაში საზოგადოება იცვლის დამოკიდებულებას ნებისმიერი ცნების მიმართ, მათ შორის ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკის გამომხატველი ცნებებიც დროთა განმავლობაში იცვლება. აღნიშნული ლექსიკური ერთეულების სემანტიკური ბუდეების გამოყოფა ძველ და ახალ ქართულ ტექსტებში და მათზე დაკვირვება გვიჩვენებს ლექსიკის ცვლის დინამიკას, დაგვანახვებს, თუ რა სემანტიკური ცვლილებები განიცადა საუკუნეების განმავლობაში ამა თუ იმ ცნებამ, მოხდა თუ არა მათი მნიშვნელობის გაფართოება, დავიწროება და სხვ.

საკვლევი ფუძეების გამოყოფა საკმაოდ მგრძნობიარე საკითხი აღმოჩნდა და ცხადი გახდა, რომ ცალკეული ლექსემის სემანტიკურ-კონოტაციური თვალსაზრისით დახარისხება და განმარტება ამოუწურავი სამუშაოა და ერთი ნაშრომის ფარგლებში ვერ მოექცევა. ამიტომ ძირითადი ლექსიკის კლასიფიკაციით უნდა შემოვფარგლულიყავით მომდევნო უფრო დეტალური ანალიზისათვის სპეციფიკური ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მოსამზადებლად. ამ მიზნით კვლევა დავიწყეთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით. მოვძებნეთ ჩვენთვის საინტერესო ფუძეები და მათი მნიშვნელობები. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკა თანამედროვე ქართულში საკმაოდ დიდ სემანტიკურ ჯგუფს ქმნის და საინტერესო მასალას იძლევა.

ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკის კვლევისათვის ჩვენ მიერ შერჩეული ფუძეებია: **აზრ-ი, გონ-ი, ბრძენ-ი, სწავლა, ფიქრ-ი, ცოდნა, ცნობა, ჭკუა.**

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ მოცემულია აღნიშნული ლექსიკური ერთეულების შემდეგი განმარტებები:

აზრი - 1. მსჯელობის , განსჯის პროდუქტი. უსაფუძვლო „იგივეა რაც აზროვნება“.

2. იგივეა რაც ფიქრი - „აზრადაც არ მოსვლია“. 3. შეხედულება - გაგება, აზრის გამოთქმა - აზრთა სხვადასხვაობა, მოსაზრება , განსაზღვრა. 4. ლოგიკური შინაარსი - მნიშვნელობა (ჩიქობავა 1986: 19).

საზრი - აზრი, გონებით მოსინჯვა(ორბელიანი 2013: 35).

გონი - იგივეა, რაც გონება.

გონება - 1. ადამიანის აზროვნების უნარი, ჭკუა, ინტელექტი. „ნათელი გონება აქვს“

2. იგივეა რაც ცნობიერება .გონების თვალი - იგივეა, რაც გონება. „გონება დაეზნევა“, (დაეფანტება) - დაიზნევა, აირევა (ადამიანი), გონება უჭრის - გონიერია, ჭკვიანია (ქეგლ. 1986: 150).

გონება - „არს სიტყვიერი, მხედველობითი საცნაურისა და უკვდავისა სულისა. გონება არს ხედვა უხორცო და დაუშრომელი, მომვლელი ყოვლისა. სამ სახედ ითქმის გონება: გონება ღმერთი, გონება ანგელოზი და გონებაცა ჩვენი“(ორბელიანი 2013: 207).

გულისხმა - მიხვედრა, გაგება, ჭკუა, გონება „როცა ჩაჰკრა ცულმა ქვასა, მაშინ ჩახვდა გულისხმასაო“(ქეგლ 1986: 152).

გული-ხმა - „ესე არს გონებით ახმა და გულთა შედება“(ორბელიანი 2013: 223).

ბრძენი - დიდი ჭკუისა, დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე „სხვა სხვის ომში ბრძე-ნიაო“(ქეგლ 1986: 64).

ბრძენი - დიდად ჭკვიანი(ორბელიანი 2013: 142).

სწავლა - სახელი **სწავლობს** - ზმნის მოქმედებისა (ქეგლ 1986: 415).

სწავლა - სწავლა არს, რაჲ არა იცოდეს, უთხრა და სწვართო. სწავლა არს ქადაგება, ხოლო სხვა სწავლა არს შოლტის მიღება „ვსწავლი ეგე და განუტეო“(ლუკა 16: 22; ორბელიანი 2013: 157).

ფიქრი - 1. თავის გუნებაში მსჯელობა, რისამე წარმოდგენა-აზრად ქონა. „საკუთარ ფიქრ-ში გართული.“ 2. საგონებელი, საზრუნავი სადარდებელი (ქეგლ 1986: 446).

ფიქრი - „არაბთა ენაა და ქართულად საგონებელი, განზრახვა, გულის-თქმა, წვლილ-მოგონება ჰქვია“ (ორბელიანი 2013: 245).

ცოდნა - „1.ცნობების ქონა რისამე შესახებ, რაიმე დარგში ცოდნის მარაგი. 2. რაიმე საქმის შესასრულებლად საჭირო ხერხების ფლობა“ (ქეგლ. 1986: 539).

ცოდნა - „ცოდვა ქნა“. (ორბელიანი 2013: 17)

ცნობა - „1.სახელი ცნობს, იცნობს ზმნათა მოქმედებისა. 2.გონება, ცნობიერება „ცნობიერება დაკარგა“. 3. ამბავი „ახალი ცნობები მოიტანეს“. 4. რისამე დამადასტურებელი საბუთი მოწმობა. 5. პასუხი რაიმე შეკითხვაზე“. (ქეგლ 1986: 539)

ცნობა - სულის გულისხმასავით, ცებნა, ცან

ცნობილი - ცნობიანი. (ორბელიანი 2013: 17)

ჭკუა - აზროვნების უნარი-გონება „თვალი შორს ხედავს, ჭკუა უფრო შორსაო.“

(ქეგლ 1986: 571)

ჭკუა - სიბრძნის გზები.

ჭკვიანი - ჭკუის მქონებული. (ორბელიანი 2013: 100)

2.3. ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკის სემანტიკური ბუდე

ქართულში

როგორც აღვნიშნეთ, ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში ფართო სემანტიკურ ველს ქმნის. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მისი სემანტიკური არეალი ასეთია:

გონი, გონება, გონიერი, ჰგონია, გონებამახვილი, გონებადაბნეული, გონებადაკარგული, გონებამახვილური, გონებაშეზღუდული, უგონი, დაბნეული, გონებაჩლუნგი, გონებრივი, გონიერება, აზრი, შეხედულება, განზრახვა, ფიქრი, აზროვნება, აზრდაბნეული, უაზრო, აზრიანი, მოაზროვნე, სააზროვნო, გასააზრებელი, გაუაზრებელი, აზრდაკარგული, ბრძენი, ბრძენთა-ბრძენი, ბრძნობს, ბრძნული, სიბრძნე, სიბრძნის-მოყვარეობა, სიბრძნისმეტყველი, სიბრძნე, სიბეჯითე, ბეჯითი, სიბეცე, ბეცი, ბეჯითობა, ბეცობა, ფილოსოფოსი, ბრიყვი, რეგვენი, უმეცარი, ხეპრე, ბრიყვული, სწავლა, განათლება, სწავლული, ნასწავლი, უსწავლელობა, უსწავლელი, უტვინო, უტვინობა, მეცნიერი, ფიქრი, მსჯელობა, საგონებელი, სადარდებელი, საზრუნავი, ფიქრებაშლილი, ფიქრიანი, ფიქრმიუწვდომელი, ფიქრმიცემული, შემეცნება, შემეცნებითი, დაფიქრებული, საფიქრალი, ცოდნა, მცოდნე, ცოდნისმოყვარე, ცოდნისმოყვარეობა, ცნობა, შეცნობა, ცნობს, მიხვედრა, აღიარება, გაგება, ცნობილი, ცნობიერება, ნაცნობი,

მაცნე, მცნობარი, მცნობელი, უცნობი, ცნობადაკარგული, ცნობამიხდილი, ცნობიერი, ქვეცნობიერი, ცნობისმოყვარე, ცნობისმოყვარეობა, ჭკუა, ჭკუაგახსნილი, ჭკუა-გონება, ჭკუადაზნეული, ჭკუადაძმადარი, ჭკუადახშული, ჭკუათმყოფელი, ჭკუათხელი, ჭკუა-მახვილი, ჭკუამოკლე, ჭკუამოკლეობა, ჭკუასუსტი, ჭკუამსუბუქი, ჭკუამხიარული, ჭკუიანი, ჭკუნაკლები, მოსულელი.

გონიერების აღმნიშვნელ ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფს განავრცობს ასევე სიტყვები: გულისთქმა, გულისნადები, გულისპასუხი, გულისყური, გულისხმა, გულისხმიერი, გულმაგიწყი, გულმაგიწყობა, გულმოდგინე.

ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკის სემანტიკური ბუდის არეალი საკმაოდ ვრცელია და მის პერიფერიებში მრავალი ახალი ფუძე ჩნდება, რომლიც სრულებით არ ენათესავება ჩვენს მიერ შერჩეული ფუძეების აგებულებას, თუმცა მათთან მჭიდრო სემანტიკური ნათესაობა აკავშირებს. ასეთ ლექსიკურ ერთეულებად შეგვიძლია დავასახელოთ: განათლებული, ფილოსოფოსი, გულისყური, შეხედულება, მეცნიერი, ბეცი, ბრიყვი, რეგენი, ხეპრე, უტვინო.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში საკვლევი ფუძეების დადებით ფორმებთან ერთად წარმოვადგენთ უარყოფით ფორმებს, რომლებიც გამოყოფილი გვაქვს ცალკე ჯგუფებად. ეს კლასიფიკაცია, ვფიქრობთ, საჭიროა იმისათვის, რომ მარტივად შევძლოთ საძიებო ლექსიკის ცვლის დინამიკაზე დაკვირვება:

დადებითი ფორმები:

N		ბუდის ლექსიკური მარაგი	სხვა ერთეულები
1.	აზრი	აზროვნება, მოსაზრება, აზრიანი, სააზროვნო, სააზრებელი, ნააზრევი, მოაზროვნე, საზრიანი, მოსაზრებელი, გაუაზრებელი, აზრდაკარგული.	შეხედულება, ფიქრი, განსჯა, განზრახვა, ვარაუდი.
2.	გონი	გონი, გონებამახვილი, გონიერი, გონებამახვილური, გონებაგახსნილი, გონებრივი, ჰგონია, მოგონება, გონიერება, გონიერად, გონივრული, გონივრულად.	ცნობიერება, ინტელექტი, შეგნება.

3.	ბრძენი	ბრძენი, ბრძენთა-ბრძენი, ბრძნობს, ბრძნობა, ბრძნული, სიბრძნე, სიბრძნისმეტყველება, სიბრძნისმეტყველი.	ფილოსოფია, ფილოსოფოსი.
4.	სწავლა	სწავლული, ნასწავლი.	მეცნიერი, განათლებული, შემეცნება, შემეცნებითი, ბეჯითი, ბეჯითობა, მუყაითი, დაუზარელი.
5.	ფიქრი	საფიქრალი, ფიქრობს, ჩაფიქრებული, ნაფიქრალი, მოსაფიქრებელი, მოფიქრება, დაფიქრებული, ფიქრიანი, ფიქრმიუწვდომელი, ფიქრმიცემული, ფიქრებაშლილი.	მსჯელობა, წარმოდგენა, საგონებელი, სადარდებელი, საზრუნავი, მიზანი, ეჭვი, დაღონება, განზრახვა.
6.	ცოდნა	მცოდნე, ცოდნისმოყვარე, ცოდნისმოყვარეობა.	ინტელექტი, შემეცნება.
7.	ცნობა	შეცნობა, ცნობს, აცნობს, იცნობს, ცნობილი, მცნობი, მცნობელი, მაცნე, ნაცნობი, საცნობელი, ცნობიერება, ცნობიერად, ცნობისმოყვარე, ცნობისმოყვარეობა, ცნობა (საბუთი).	შეტყობა, გაგება, შეგნება გონება, აღიარება.
8.	ჭკუა	ჭკუაგახსნილი, ჭკუა-გონება, ჭკუადამჯდარი, ჭკუათმყოფელი, ჭკუამახვილი, ჭკუიანი, ჭკვიანი.	სხარტი, საზრიანი, დინჯი.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ლექსიკის ცვლის მიზეზებსა და შედეგებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით გ.ნებიერიძე მიუთითებს: „უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, ლექსიკის ცვლა არსებით გავლენას ვერ ახდენს, სემანტიკურ ველებზე, რომლებიც შეიძლება ითქვას უცვლელი კატეგორიებია. უფრო ზუსტად, ლექსიკური ცვლილებები, ხდება ამა თუ იმ სემანტიკური ველის შიგნით, მაგრამ ამით, თვით, სემანტიკური ველი არ ისპობა და ზიანდება.....სემანტიკური ველი თავისთავად უცვლელი კატეგორიაა, კონსტანტაა,

მაგრამ იცვლება მისი მოცულობა, ჩნდება ან ქრება, (მასში) ახალი ლექსიკური ერთეულები, რაც განაპირობებს კიდევ სემანტიკური ველის ცვლილებას და ჩვენ საშუალებას გვაძლევს სემანტიკური ველი განვიხილოთ როგორც ისტორიულად ცვალებადი კატეგორია.“(ნებიერიძე 2003: 237-238)

თავი III

ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“

სულხან-საბა ორბელიანის განმანათლებლური მოღვაწეობა მიზნად ისახავდა სამეცნიერო დარგების განვითარებას. მისი ქართული ლექსიკონი „სიტყვის კონა“ ენციკლოპედიურ ელემენტებს შეიცავს და გამოირჩევა იმ დროისათვის მოწინავე მეთოდოლოგიით, უმდიდრესი ფაქტობრივი მასალის მოხმობით. მასში ასახულია ქართული სალიტერატურო ენის, კერძოდ, ლექსიკის განვითარების ძირითადი ეტაპები. ორბელიანი არ იფარგლება მწიგნობრული ენით და ლექსიკონში გაბედულად შემოაქვს ცოცხალი, სასაუბრო მეტყველებაში დადასტურებული ენობრივი ფაქტები (ორბელიანი 1991: 5,6,7).

ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონა“ პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონია, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ლექსიკოგრაფიაში, მან გამოავლინა და ლექსიკონში აღბეჭდა ქართული ენის ლექსიკური ფონდი მე-17 საუკუნის დასასრულის ეპოქისთვის. ავტორი ეყრდნობოდა ცნობილ ლიტერატურულ ძეგლებს, მაგრამ იგი ამავე დროს სარგებლობდა ცოცხალი ენობრივი სამყაროს ამოუწურავი საუნჯით.

საბა გაუკვალავ გზას თელავდა. რა თქმა უნდა, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ძირითადი ლექსიკური ფონდის სრულად ჩვენება, მაგრამ ეს არც იყო მისი მიზანი. საბა ცდილობდა სამწიგნობრო ქართულის რყევაშეპარული ნორმატიული მასალის აქტიური ნაწილის ფიქსირებასა და გადარჩენას. რყევები კი უმძიმეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფონზე წარმოქმნილი კულტურული კრიზისით იყო გამოწვეული. მართალია, საბას მოღვაწეობა ძირითადად საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს, კერძოდ, ქართლს უკავშირდებოდა, მაგრამ მის მიერ გაწეული ამაგი მთელ საქართველოს გასწვდა.

როგორც ალ. ლლონტი წერს, ამ ლექსიკონში 140-ზე მეტი წყაროა დასახელებული, მათ შორისაა, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლიტერატურა, როგორც სასულიერო, ისე საერო-საისტორიო მწერლობის ძეგლები. უწყაროდ ლექსიკონში არც ერთი სიტყვა არაა აღბეჭდილი, მაგრამ ყველა მათგანს მითითება არ ახლავს.

„სიტყვის კონა“ პირველი ქართული ლექსიკონია, რომელსაც მიიჩნევენ ანბანზე გაწყობილ, თავისებურ ენციკლოპედიურ ლექსიკონად.

3.1. ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური ბუდე სულხან-საბასთან

ჩვენი მიზანია, ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკის კვლევა ქართულ ენაში და ცხადია, ამ საკითხზე მუშაობა ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში სათანადო მასალის შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია. ლექსიკოგრაფი გვთავაზობს გონიერების ამსახველი ლექსიკის საკმაოდ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მაგალითებს:

ასწავლა, აუწყა, აცოდინა, აცნობა, აზრი, ბნდუ, ბრძანება, ებრძანა, თქმა, იბრძანა, მბრძანებელი, საბრძანებელი, უბრძანე, ბრძენი, ისიბრძნა, მბრძნობელი, სიბრძნე, უბრძნე, აგონა, გაგონება, გამგონებლობა, გგონია, გონება, გონიერი, ეგონა, ვაგონე, ვგონებდი, იგონა, მაგონა, მამაგონა, მგონია, მოგონება, მიმოგონება, საგონებელი, უგონო, უგნური, უგუნური, შეგონება, შეუგნებელი, წულილმოგონება (ფიქრთანაც), გონი, გულთმისანი, გულისათქმელი, გულისზრახვა, გულისთქმა, გულისსიტყვა, განგულისიტყვა, შენგულისიტყვა, გულის ტანჯვა, გულისყური, უგულისყურო, გულისხმა, გულმავიწყი, გულპყრობილი, გულმოდგინე, ეაზრა, ებრძანა, ეგონა, ენამზეობა, ესაუბრა, ესიტყვუა, ვიცოდინე, ვაცოდინე, ვზრახავ, ვმეტყუელებ, ვმწიგნობრობ, ვსაზღვრავ, ვსაზრევდი, ვსიტყუე, ვსიტყუევდი, ვსწავლი, ვსწავლიდი, ვსწავლო, ითქუა, იკითხა, ისწავლა, იუწყა, იუწყე, კითხუა, კითხულობა, მგონია, მიხუედრა, მკითხველი, მცოდნელი, მცოდინარე, მწიგნობარი, რიტორი, საგონებელი, საზრი, ვსაზრავ, ვსაზრევდი, მოსაზრება, მსაზრავი, ნასაზრი, სწავლა, იცოდეს, უთხრას, სწავართოს, ასწავლა, დაასწავლა, ასწავა, დღესასწაული, ესწავა, ესწავლა, ვსწავლი, ვსწავლიდი, ვსწავლო, ისწავა, მოასწავა, მოსასწავებელი, მოსწავება, მცნება, ნასწავლები, შესწავება, შესწავებული, შესწავლა, უგულისყურო, უგუნურება, უგუნური, უმეცარი, უმეცრება, უცები, იჭკუო, ფიქრი, შესიტყუა, შესმენა, შესმენითი, შესწავება, შესწავებული, შესწავლა, შეუგნებელი, ვიცი, იცი, იცის, იცოდა, მიცი, უეცი, უვიცი, უიცად, უცბი, იცები, ცოდნა, აცნობა, გამოცანა, გიცნობს, ეცნობება, ვცან, იუცნობეს, იცნა, იცნოდა, მამცნედ, მიცნა, მცნაური, მცნობი, ნაცნობი, საცნაური, საცნობელი, სცნობ, სცნობდიან, სცნობენ, სცნობს, უცნაური, უცნი, უცნოსა, ცნება, ცნობა, ცნობილი, აცოდინე, მცოდინარე, მცოდინი, მცოდნელი,

ჭკვიანი, სიჭკვიანე, ჭკუა, უჭკუო, ჭკვიანი, ჭკუიანი, ხსოვნება, ახსოვნდა, ახსოვს, გახსოვს, ვიმახსოვრე, მახსოვარი, მახსოვს, ნახსოვნი, სახსოვარი, ხსოვნიერი, ხსოვნება, ხსენება, ჰაზრი, მოჰაზრე, აზრი.

N	ძირითადი ლექსიკური ერთეულები	ბუდის ლექსიკური მარაგი, რომელიც განმარტებით ნაწილშია მოცემული	სხვა ერთეულები, რომელიც ფორმით არა, მაგრამ მნიშვნელობით ეხმიანება ძირითად ლექსემას
1	გონება	გონიერი, აგონა, გაგონება, გამგონებლობა, გგონია, ეგონა, ვაგონე, ვგონებდი, იგონა, მგონია, მამაგონა, მაგონა, მგონია, მოგონება, მიმოგონება, საგონებელი, შეგონება, წვლილმოგონება, გონი.	
2	სწავლა	ასწავლა, ვმწიგნობრობ, ვსწავლი, ვსწავლიდი, ისწავლა, ვსწავლო, სწავლა, დაასწავლა, ესწავა, ესწავლა, ნასწავლები, შესწავება, შესწავებული, შესწავლა, შესმენა, შესმენითი.	იუწყა, სწვართოს.
3	ცოდნა	აცოდინა, ვიცოდინე, ვაცოდინე, მცოდნელი, მცოდინარე, იცოდეს, ვიცი, იცი, იცოდა, მიცი, უეცი, უვიცი, უიცად, უცბი, უცები.	მწიგნობარი, რიტორი.
4	ბრძენი	ისიბრძნა, მბრძნობელი, სიბრძნე, უბრძნე, ებრძენა, ბრძანება.	

5	ჭკუა	ჭკვიანი, სიჭკვიანე, ჭკუა, უჭკუო, ჭკუიანი.	
6	ცნობა	აცნობა, ვცან, იუცნობეს, აცნობა, მიცნობს, ეცნობება, იცნა, იცნოდა, მამცნედ, მიცნა, მცნაური, მცნობი, ნაცნობი, საცნაური, საცნობელი სცნობ, სცნობდია, სცნობენ, სცნობს, უცნაური, უცნი, უცნოისა, ცნება, ცნობა, ცნობილი.	აუწყა.
7	ფიქრი		საგონებელი, ვზრახავ, ვსაზღვრავ, მიხუედრა, გულთმისანი, გულისზრახვა, გულისთქმა, გულისსიტყვა, განგულისიტყვა, შენგულისსიტყვა, გულის ტანჯვა, გულისყური, გულისხმა.
8	აზრი	ეაზრა, საზრი, ვსაზრავ, მოსაზრება, მსაზრავი, ნასაზრი, ჰაზრი, მოჰაზრე.	

ენის შინაარსობრივი მხარის შესწავლა დღეისათვის ლინგვისტიკის მთავარ ამოცანათა რიგში დგას. სიტყვის მნიშვნელობის კვლევა ფასეულია არა მხოლოდ ლინგვისტების, არამედ სხვა მონათესავე დარგებისათვისაც. ეს ინტერესი ავლენს სემანტიკის რთულ და მრავალასპექტურ ხასიათს.

სიტყვის სემანტიკური შესწავლა მოითხოვს სიტყვის სტრუქტურის, აგებულების შესწავლას. ლექსიკის უძველესი ფენის მიმოხილვა, ჩვეულებრივ, სემანტიკურ ჯგუფებად ხდება. ეს სემანტიკური ჯგუფები წარმოაჩენენ იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც აუცილებელია ყველა საზოგადოების ყოფისთვის. როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, მორის სვოდემმა, რომელიც არის გლოტოქრონოლოგიური მეთოდის შემქმნელი, შეადგინა სია რამდენიმე ათეული ცნებისა და ივარაუდა, რომ ეს ცნებები უნივერსალურია, ე. ი. ყველა ენაში არებობს სიტყვები, მათ გადმოსაცემად. ამ ცნებებიდან ერთ-ერთი სემანტიკური ჯგუფია „შეგრძნებები და მოქმედებები“, სადაც ვფიქრობთ, შეგვიძლია გავაერთიანოთ ჩვენი საკვლევი თემატიკისათვის ნიშანდობლივი ცნებებიც, კერძოდ „გონიერების ამსახველი ლექსიკა“, რომელიც სხვადასხვა ძირის საფუძველზე აიგება.

ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკა ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“, როგორც დავინახეთ, საკმაოდ ვრცელ და მრავალმხრივ სემანტიკურ ჯგუფს ქმნის, მასში გაერთიანებულია რამდენიმე ფუძე (ძირი), რომლებიც სხვადასხვა ამოსავალი მნიშვნელობის მიუხედავად, ბოლოს ერთ სემანტიკურ ველში გადაიკვეთნენ; თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ „გონიერების ველი“ ამ ლექსემათა უმრავლესობისათვის „უკანასკნელი სადგური“ სულაც არ არის. ამ ველში ისინი შეიძლება მხოლოდ ეპიზოდურად, მხოლოდ ერთ კონტექსტში, აღმოჩნდნენ, მათი დანარჩენი მნიშვნელობები კი სხვა სემანტიკურ ველებს შეიძლება უკავშირდებოდეს. ჩვენი მსჯელობა მხოლოდ ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, შევეცდებით ამგვარი სიტყვების პოლისემანტიკური ძალის საილუსტრაციოდ წარმოვადგინოთ რამდენიმე მაგალითი საბას ლექსიკონიდან:

განცდა - დანახვა

განცხადება - საცხადოდ შექმნა

განცოფება - ჭკუის წასვლა

გამხილება - სამალავის საცხადოდ ქმნა

ცხადია, აქ სრული თანხვედრა საძიებელ ლექსიკასთან არ არის, მაგრამ ადამიანის ინტელექტუალური „მოძრაობის“ მაჩვენებელი ეპიზოდური კავშირი, უდავოდ, იკითხება.

საძიებელი ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს, რომ ცოდნა შეიძლება იყოს ინტუიციური. მაგალითად, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში „გულთმისანი“ განმარტებულია ასე - „გონებით შემტყობი“, როცა ადამიანს შეუძლია მიხვდეს, ამოიცნოს რაღაც ფაქტი და მოვლენა. ასევე საინტერესოა სიტყვა **გულის-ხმა** - „ესე არს

გონებით ასხმა და გულთა შინა შეტანა.“ (ორბელიანი 1991: 178) ე. ი. როცა ადამიანს გული კარნახობს და გონება ინტუიციურად იჯერებს მიწოდებულ ინფორმაციას.

ინტუიციურ ცოდნას ასახავს ასევე სიტყვები: **ეგონა, მგონია. ფიქრი** - არაბთა ენაა, ქართულად საგონებელი, გაზრახვა, გულის-თქმა, წვლილმოგონება ჰქვია. „საგონებელი - გონებად მოსასვლელი, ფიქრი“ (ორბელიანი 1991: 23).

ლექსიკოგრაფი აღნიშნავს, რომ **ფიქრი** არაბულიდან შემოსული სიტყვაა, რომელსაც ქართული შესატყვისების არსებობის მიუხედავად, დამკვიდრებული აქვს ადგილი ქართულ ლექსიკონში. როგორც დავინახეთ, ს. ს. ორბელიანი ამ მოკლე მინაწერით სიტყვის წარმოშობაზეც გვაწვდის ინფორმაციას, რაც ასევე მნიშვნელოვანია ლექსიკურ ერთეულთა შესწავლისას.

საბას ლექსიკონში არის ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შინაარსშიც გულისხმობენ ღრმა, მყარ ცოდნას. ცოდნა მოცემული სალექსიკონო მასალის კლასიფიკაციის შემთხვევაში შემდეგ სალექსიკონო ჯგუფებად დანაწილდება:

- 1. თანდაყოლილი ცოდნა:** ნიჭი (სხვათა შორის, საბასთან ნიჭი არ არის უშუალოდ გონებასთან დაკავშირებული ცნება: „ნიჭი საბოძვარი, განიჭნა, სანიჭარი, სანიჭვარი, ჩუქება.“(ორბელიანი 1991: 595), ჭკუა სიბრძნის გზები.(ორბელიანი 1991: 405)
- 2. კარგი და ცუდი ცოდნა:** სიბრძნე - ესე არს მშობელი ჭკუისა და გამსინჯველი ცნობათა; სიბრძნე და სივერაგე ემსგავსებიან: სიბრძნე კეთილ, ხოლო სივერაგე - არაკეთილ. ცბიერი, ვერაგი (ვერაგი - ჯერჯობა, ესე არს მრავალი ღონისძიება ღვაწლთა შინა, სივერაგე არს ჯელოვან ყოფა ღვაწლსა შინა)(ორბელიანი 2013: 332).
- 3. ინტუიციური ცოდნა:** გულის-თქმა (გონებით ნდომა) გულის-ზრახვა (გონებით ლაპარაკი)... მგონია, მიხუედრა, ვზრახავ, ვსაზრავ, ფიქრი, გულისზრახვა, გულისთქმა, გულისსიტყვა. (ორბელიანი 1991: 176)
- 4. შეძენილი ცოდნა:** ისწავა, აუწყა, მწიგნობარი.
- 5. ცოდნა სწავლაზე დაფუძნებული:** მკითხველი, მცოდნელი, მცოდინარე, მწიგნობარი, რიტორი, იკითხა, შესმენა, აცნობა, აგონა.
- 6. ცოდნა პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე:** ისიბრძნა, წულილმოგონება, განცდა-დანახვა.
- 7. ცოდნა, ვარაუდზე დაფუძნებული:** მგონია.
- 8. ცოდნა, განცდაზე დაფუძნებული:** ვზრახავ, გულის ტანჯვა.

9. ცოდნის არქონის ჯგუფები (უჭკუობა, სიმჩატე, დეფექტი, აჩქარებულობა, შეცდომაზე დაფუძნებული არცოდნა...) მაგ.: უგულისყურო, უგუნურება, უგუნური, უმეცარი, უმეცრება, უცები, უჭკუო... ჩქარი: „ესე არს კაცი გულჩქარი, გინა საქციელსწრაფი, ანუ სიტყვითა და მისთანანი, ანუ ცხენი ავის წურთილებისაგან გვიან დაწყნარდეს, გინა მდინარე ჩაღმა სისწრაფით ჩადიოდეს და მისთანანი...“ (ორბელიანი 1993: 326)

საგანგებოდ გვსურს განვიხილოთ ლექსემა გონიერი, რომელიც სულხან-საბას მიხედვით ნიშნავს გონებიან ადამიანს, ამ სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვებით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ **გონება** ამ შემთხვევაში ღვთისაგან მოცემული ნიჭია. ინტელექტუალურ ლექსიკას შეიძლება მივაკუთვნოთ:

მცოდნელი - ცოდნა ჰქონდეს

მცოდინარე - ცოდნის პატრონი, მცოდინარე

მწიგნობარი - წერილთა ოსტატი

რიტორი - ქართულად მჭევრი ჰქვია

ბრძენი - დიდად ჰკვიანი

ყველა ზემოთ დასახელებული ლექსიკური ერთეული აღნიშნავს ადამიანის მიერ რისამე ცოდნას არა ინტუიციურად, არამედ მყარ და შეუცვლელ ცოდნას, რომელიც მას მიღებული აქვს მიზანმიმართულად. ეს ერთეულები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუძისა და მწარმოებელი აფიქსების მიხედვით, თუმცა მათი მნიშვნელობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ზემოთ დასახელებული მაგალითები შეგვიძლია ერთგვარი ნომინაციის პრიციპით დავალაგოთ:

ბრძენი მოიაზრებს მცოდნე, მწიგნობარ, რიტორ და გონიერ ადამიანს. მისი მნიშვნელობა და სემანტიკური არეალი ძალიან ფართოა, ამ მხრივ იგი გამორჩეული ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი სიტყვაა.

ს. ს. ორბელიანი გვამღევეს სიტყვა **რიტორის** განმარტებას: „რიტორი-ელინთა ენაა, ქართულად ბასილიკონი და მჭევრი ჰქვია. რიტორი არის ძალი ხელოვნებითი დარწმუნებელისა სიტყვისაჲ საქმესა შინა სამოქალაქოსა დასასრულად მქონებელი კეთილად მეტყველებისა - ენამრავალი, მჭევრი“ (ორბელიანი 1993: 14).

რამდენადაც ლექსიკის მნიშვნელობა დიდადაა დამოკიდებული კონტექსტზე, საბა ითვალისწინებს ამ ფაქტორს და სიტყვის განმარტებაში ძირითადი, მნიშვნელობის გარდა, იმ მნიშვნელობასაც მიანიშნებს, რომელიც შესაძლოა მეორადია ან ეპიზოდური,

ან მეტაფორულიც კი. ამ მიდგომითაც ვხედავთ საბას გენიალურობას. მას ლექსიკაში შემჩნეული და ლექსიკონში აღბეჭდილი აქვს ისეთი ნიუანსები, რომელებზეც მხოლოდ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში გაამახვილეს ყურადღება ლექსიკოგრაფებმა. მაგალითისთვის მოვიხმობთ სიტყვა **გონების** საბასეულ განმარტებას:

„გონება არს სიტყვიერი, მხედველობითი, საცნაურისა და უკვდავისა სულისა. გონება არს ხედვა უხორცო და დაუშრომელი, მომვლელი ყოვლისა. სამ სახედ ითქმის გონება: გონება ღმერთი, გონება ანგელოზი და გონება ჩვენი. საცნაურ არს მოგონებისა მოსაგონებელისა“ (ორბელიანი 1991: 166).

ლექსიკონში ვხვდებით სიტყვებს, რომლებიც განეკუთვნებიან გონიერების ამსახველ ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკურ ჯგუფს და **აღნიშნავენ ცოდნის გადაცემის ფაქტს**, რომელიც შეიძლება იყოს მიზანმიმართული, დაგეგმილი ან წინასწარ დაუგეგმავი. მაგალითად:

„აუწყა - აცოდინა (ორბელიანი 1991: 71)

ასწავლა, დაასწავლა - ცოდნა მისცა“ (ორბელიანი 1991: 72).

„ვაცოდინე - ცოდნა მივეც“ (ორბელიანი 1991: 258).

საინტერესოა იმ სიტყვების გამოყოფა, რომელთა მნიშვნელობები გულისხმობს არა ცოდნის გადაცემას, არამედ **უბრალო საუბარს, მსჯელობას**. მაგ.:

„ესაუბრა - ესიტყვა

ესიტყვა - სიტყვა თქვა

ვზრახავ - ვლაპარაკობ, ზრახვას ვყოფ

ვიტყოდი - სიტყვას ვყოფდი

ვმეტყველებ - სიტყვას ვიტყვი

ვსიტყუე - სათქმელი ვთქუ

ვსიტყუევდი - სათქმელს ვიტყოდი

ითქვა - თქმა იქნა

შესიტყუა - სიტყვის თქმა“ (ორბელიანი 1991: 293).

როგორც ვხედავთ, სიტყვა, როგორც გონებითი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, გონიერების ველის პერიფერიულ რკალში მოხვდა. აქვე შეიძლება განვათავსოთ ისეთი ერთეულები, რომლებიც სიტყვის მოქმედების სხვადასხვა პლასტში თავსდებიან, მაგ., სიტყვები დაბეზღების მიზნით:

შესმენა - დაბეჭდება

შესმენითი - შესმენის ძიებით

ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში იძებნება გონიერების ლექსიკის ანტონიმური ლექსიკა, რომელიც უარყოფითი სემანტიკის მიუხედავად, თავისთავად, ჩვენი კვლევის სფეროში მოხვდა და აჩვენა, რომ ნეგატიური ლექსიკა რაოდენობრივად ისევე პროდუქტიულია, როგორც ე. წ. პოზიტიური შინაარსის სიტყვები.

გვხვდება პოლარულად უარყოფითი ფორმები იმ ლექსიკისა, რომელსაც ჩვენ ვიკვლევთ, ისინი სხვადასხვა მნიშვნელობისა და აგებულების სიტყვებია. ვხვდებით ისეთ სიტყვებსაც, რომელებიც დღეს აღარ გამოიყენება მეტყველებაში, მაგალითად, როგორიცაა: „**ბრჩული** - ჩლუნგი“ (ორბელიანი 1991: 116). საბა ასე უწოდებს ადამიანს, რომელსაც „გონებაგაფანტული“, „გულმავიწყი“ ჰქვია.

გონიერების ველის უარყოფითი ჯგუფებიც ექვემდებარება კლასიფიკაციას:

1. დაბადებით გონების არქონა;

2. სიბრძნის უქონლობა;

3. ჭკუის უქონლობა;

4. **სიშმაგე, სიგიჟე, სიშტერე** (შტერი: გიჟთან ნახე (ნ.ბიჩვერი, გამტერება, გამტერებული, დაამტერე), შდრ.სტერი (რომელ არს მოკლებული)).(ორბელიანი 1991: 308)

5. **აღლოს უქონლობა**: „მიუწდომელი ორად ითქმის: დასაბამი და დასასრული; დასაბამად ვითარ ზეშთა შევიდეს გონება ღუთისად მიუწდომელ არს, ხოლო დასასრულ ქუედ...“ (ორბელიანი 1991: 486).

6. **ცოდნის , სწავლის უქონლობა**:

უგულისყურო - დაუსწავლელი, გინა შეუსმინარი“(ორბელიანი 1993: 154).

უგუნური - გონებადაბნელებული, უგრძნობი. „ასე არს დაბრძობა სახედველთა გონები-სათა“(ორბელიანი 1993: 154).

უმეცარი - უცოდნელი“(ორბელიანი 1993: 161).

უმეცრება . „უმეცრებაჲ სამ სახე არს: პირველი-არცა სმენა და არცა სწავლა. მეორე იჭვით ცოდნა და არ მართლად და სხვის გამოკითხვამდე ქმნა. მესამედ-არცა მართლად ცოდნა და არცა სხვისა კითხვასა, რათა არა დაუშალოს და ვერლარა ქმნას. დიდი გარჩევა ხამს“(ორბელიანი 1993: 161).

უცები - უცოდინარი (ორბელიანი 1991: 176).

შეუგნებელი – ვერა გაიგო რა(ორბელიანი 1993: 294).

ასევე უარყოფითი ფორმებია: **უვიცი, უიცად, უსწავლელი**.

ზემოთ მოხმობილ მაგალითებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ უარყოფითი ფორმების მაწარმოებელი აფიქსები, რომლებიც სიტყვებს საპირისპირო მნიშვნელობას სძენენ. მაგ.:

გონ-იერ-ი - - უ-გუნ- ურ-ი

გულ-ის- ყურ-ი - უ-გულ-ის-ყურ-ო

შე-გნ-ებ-ულ-ი - შე-უ-გნ-ებ -ელ-ი

რაც შეეხება რთულ სიტყვებს, ს. ს. ორბელიანი მათ ასე განმარტავს:

გულის-ზრახვა - გონებით ლაპარაკი

გულის-თქმა - გონებით-ნდომა

გულის-სიტყვა - გონებით-მსიტყველობა

გულის-ტანჯვა - გონებით-შეჭირვება

გულის-ყური - მოსწავლეთგან სწრაფად სმენა, სწრაფად სწავლა, მიხდომა და ქმნა

გულის-ხმა - ესე არს გონებით ასხმა და გულთა შინა შეტანა

გულ-მავიწყი - მალ დამვიწყებელი

გულ-პყრობილი - გონება გაუბნეველი

გულმოდგინე - მომჭირნე(ორბელიანი 1991: 176-178).

3.2. ცოდნა-გონიერების ადმინიშენელი ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები

სულხან-საბას „სიტყვის კონაში“

„სიტყვის კონა“ მნიშვნელოვანი ლექსიკონია იმ თვალსაზრისით, რომ ავტორი აქ გვთავაზობს ფუძეთა სემანტიკურ ჯგუფებს. განსაკუთრებით საინტერესოა რამდენიმე ფუძე, რომელებიც ჩვენი კვლევის ობიექტია:

გონ- ძირის ლექსიკური სივრცე:

აგონა, გაგონება, გამგონებლობა, გგონია, გონება, გონიერი, ეგონა, გაგონე, ვგონებდი, იგონა, მაგონა, მამაგონა, მგონია, მიდმოგონება, მიმოგონება, მოგონება, საგონებელი, უგონო, უგნური, უგუნური, შეგონება, შეუგნებელი, წულილმოგონება.

აქედან რამდენიმე სიტყვა დღეს მეტყველებაში აღარ გამოიყენება. მაგ.: მიდმოგონება, მიმოგონება, წულილმოგონება.

ბრძენ- ძირის ლექსიკური სივრცე: ბრძენი, ებრძანა, იბრძანა, მბრძანებელი, საბრძანებელი, უბრძანე, ისიბრძნა, სიბრძნე, მბრძნობელი.

აზრ- ძირის ლექსიკური სივრცე: ვსაზრავ, ვსაზრევდი, სააზრებელი, მოსაზრე, მსაზრავი, ნასაზრი, შდრ. აზრი, ჰაზრი.

სწავლ- ძირის ლექსიკური სივრცე: ასწავლა, ასწავა, დაასწავლა, დღესასწაული, ესწავა, ესწავლა, ვსწავლი, ვსწავლიდი, ვსწავლო, ისწავა, მოასწავა, მოსასწავებელი, მოსწავება, შესწავება, შესწავებული, შესწავლა.

-ც- ძირის ლექსიკური სივრცე: ვიცი, იცი, იცის, იცოდა, მიცი, უეცი, უვიცი, უიცად(უცოდინლად), უმეცარი, უცბი, უცები, ცებნა, ცოდნა.

ცან- ძირის ლექსიკური სივრცე: აცნობა, გამოცანა, გიცნობს, ეცნობება, ვცან, იუცნობეს, იცნა, იცნო, მამცნედ, მიცნა, მცნაური, მცნობი, ნაცნობი, საცნაური, საცნობელი, სცნობ, სცნობდიან, სცნობენ, სცნობს, უცნაური, უცნოი, უცნოისა, ცნება, ცნობა, ცნობილი.

ჭკუა- ძირის ლექსიკური სივრცე: ჭკუა, ჭკვიანი, უჭკუო.

ფიქრ- ძირის ლექსიკური სივრცე: საგონებელი, განზრახვა, გულის-თქმა, წვლილ-მოგონება.

საბას ლექსიკონში სამიებული ლექსიკა ორგანიზებულია დონეებრივად. ენობრივი დონე - ეს არის ენობრივი სისტემის შრე, რომელსაც უკავია გარკვეული ადგილი შრეთა იერარქიაში და რომელიც წარმოდგენილია სპეციფიკური, ამ დონისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულებით. იერარქიის პრინციპი გულისხმობს, რომ არსებობს უფრო დაბალი და უფრო მაღალი დონის ერთეულები და რომ ყოველი უფრო დაბალი დონის ერთეული უფრო მაღალი დონის ერთეულის შემადგენელი ნაწილია. საინტერესოა, რომ ლექსიკის ფორმოზრივ-სემანტიკური დახასიათებისას სიტყვათა ფუძეებისა და შინაარსების კავშირის ეს იერარქიულობა ზოგადმა ენათმეცნიერებამ მხოლოდ მეოცე საუკუნეში შეამჩნია.(ლუბანიძე 1997: 23); სულხან-საბას ლექსიკონში კი ამგვარი პრინციპი არა მხოლოდ შემჩნეულია, არამედ პრაქტიკაშია გამოყენებული.

თავი IV

ადამიანის მენტალური მოღვაწეობის აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური სივრცე „ვეფხისტყაოსანში“

გარემომცველი სამყაროს აღქმას, შეფასებასა და შეგრძნობას ადამიანი სხვადასხვა გზით ახდენს. მისი გრძნობათა ორგანოები სწორედ ამ ნიშნის მიხედვითაა დახარისხებული: ხედვა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება. ყველა ეს გრძნობა მიმართულია გარემოსაგან გარკვეული ტიპის ინფორმაციის მიღებაზე. მეცნიერებისათვის უდავოა ის ფაქტი, რომ სწორედ ამ „არხებით“ მიდის სამყაროს შესახებ ინფორმაცია ცენტრალურ ნერვულ სისტემამდე, რომელიც შემდგომ ამ ინფორმაციას ახარისხებს და შეიმეცნებს სხვადასხვა სიღრმითა და ხარისხით. სწორედ ამიტომაც, რომ გონებას შეუძლია ესმოდეს, ხვდებოდეს, ჭკრეტდეს, ან განიცდიდეს და ა.შ. გარემოდან მიღებულ სხვადასხვა იმპულსს (მარტივსაც და რთულსაც). უკვე ანტიკურ სამყაროში იცნობდნენ ამ გრძნობათა ორგანოებს (არისტოტელე) და ამ დროიდან მოყოლებული მათი თავისებურებების შესწავლას ესწრაფოდნენ.

იოანე დამასკელი (675-749) აღნიშნავს: „გრძნობა არის სულის ძალა, ნივთთა აღქმელი ანუ მცნობი, ხოლო გრძნობის ორგანოები არის ის ორგანოები ანუ ნაწილები, რომელთა მიერაც შევიგრძნობთ. გრძნობადია ის, რაც გრძნობას ექვემდებარება, მგრძნობელი კი არის ცხოველი, რომელსაც აქვს გრძნობა. გრძნობა არის ხუთი. მსგავსადვე, გრძნობის ორგანოც ხუთია.“

თავად ის ფაქტი, რომ გრძნობა გონებისკენ მიმავალი შემეცნებითი გზაა, ქართულმა ენამაც ასახა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კულტურას ამ თვალსაზრისით საერთოც ბევრი აქვს და განმასხვავებელიც (მაგალითად, რუსულში „სუნი ესმით“ слышу запах).

ქართული ენის ლექსიკაში მკაფიოდ ჩნდება ადამიანის გრძნობათა ორგანოების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის მენტალური „გადამუშავების“ საშუალებათა და ფორმათა შესახებ არსებული უძველესი ცოდნა.

ჩვენ ამ საკითხს, შეძლებისდაგვარად, ქართული ლექსიკის (ლექსიკა-ფრაზეოლოგიის) განვითარების მთელ სივრცეზე ვაკვირდებით, მაგრამ ამჯერად

გვინდა შევჩერდეთ „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც ფილოსოფიური აზროვნების საუკეთესო ნიმუშზე, რომელშიც იმთავითვე იყო მოსალოდნელი შესამეცნებელი ობიექტის მიმართ მრავალფეროვანი მიდგომა. პოემაში გონიერებასთან დაკავშირებული ლექსიკის ფორმობრივი და სემანტიკური მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ამ ლექსიკის დიაპაზონი და ლექსიკოგრაფიული პოტენციალი: გონება, გგონია, მგონებელი, ვიგონებდი, გაგონებული, გაგონება, მეგონებოდის, საგონებლად, მომიგონებდე, არ მეგონე, გაგეგონების, გასაგონი, გაგონება, შეგონებითა, შემაგონანი, მგონიხარ, ჰგონია, უგუნურთა, სწავლებულსა, ესწავლნენ, ნასწავლებისა, სწავლა-თქმულსა, ვისწავლებით, უსწავლელნი, სწავლულება, სწავლა, გასწავლულსა, გაასწავლებს, სწავლა-სწვლად, ასწავლის, მასწავლელად(მასწავლებლად), გასწავლილისად, მოსწავლემან, საცოდნარია, საცოდნელად, გცოდნიან, ცოდნა, ცოდნასაცა, უცოდნელია, მცოდნელი, მცოდნელთა, ბრძენთა, ჭკუიანისა, შმაგსა, რეტსა, უჭკუოსა, ცნობანი, ცნობა-შმაგნი, ცან, ცნობა-სრული, ვერ იცნობა, საგონებელი, გონი, საზრახავი, ზრახვა, მოაზრენი, აზრად შეიქმნა, ზრობა, იაზრებდა.

N	ძირითადი ლექსიკური ერთეულები	ბუდის ლექსიკური მარაგი	სხვა ერთეულები და უარყოფითი ფორმები
1	გონება	მგონებელი, გგონია, ვიგონებდი, გაგონებული, გაგონება, მეგონებოდის, საგონებლად, მომიგონებდე, არ მეგონე, გაგეგონების, გასაგონი, გაგონება, შეგონებითა, შემაგონანი, მგონიხარ, ჰგონია.	უგუნურთა.
2	სწავლა	სწავლებულსა, ესწავლნენ, ნასწავლებისა, სწავლა-თქმულსა, ვისწავლებით.	უსწავლელნი.

		სწავლულება, სწავლა, გასწავლულსა, გაასწავლებს, ასწავლის, მასწავლელად, გასწავლილისად, მოსწავლემან.	
3	ცოდნა	საცოდნარია, საცოდნელად, გცოდნიან, ცოდნასაცა, მცოდნელი.	უცოდნელია.
4	ბრძენი	ბრძენთა	
5	ჭკუა	ჭკუიანისა.	შმაგსა, რეტსა, უჭკუოსა.
6	ცნობა	ცნობანი, ცნობა-შმაგნი, ცან, ცნობა-სრული.	ვერ იცნობა
7	ფიქრი-არ მოიძებნა	საგონებელი, საზრახავი, ზრახვა.	
8	აზრი	მოაზრენი, აზრად შეიქმნა, აზრობა, იაზრებდა.	

პირველი, რაც უნდა აღინიშნოს გონების სემანტიკური ველის ლექსიკის მიმართ ისაა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მკვეთრადაა გამოიჯნული ადამიანის შემეცნებითი აქტივობის სამი უძირითადესი წყარო: სული, გული და გონი, თუმცა ასევე მკვეთრადაა ხაზგასმული ამ სამი ფენომენის შინაგანი კავშირი:

„მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და სული...“ (33)

„ამას ეტყვის: შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა,..“ (902)

ამ სამი შემადგენლიდან ყველა მათგანს გარემოსთან ურთიერთობა და შესამეცნებლის შეცნობა ეკისრება, მაგრამ შეცნობის ფორმა, სიღრმე და შესაცნობი ობიექტის მასშტაბები მათ სხვადასხვა აქვთ. რუსთაველის მიხედვით, იდეალური შედეგის მისაღებად ეს სამი „შემეცნებელი“ ერთმანეთს განაპირობებს:

„ლექსთა მკითხველნო, თქვენიმცა თვალი ცრემლისა მღვრელია,
გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია?!“ (942)

„მოშორება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკლველია,
ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე როგორ ძნელია!“ (942)

თუმცა თუკი იმ სინტაგმებს დავაკვირდებით, რომელშიც ეს სამი ფუძე (გული, გონება და სული) დასტურდება, ვნახავთ, რომ ეს ლექსები უაღრესად მრავალმნიშვნელობიანია და თითოეული მათგანი დიდადაა დამოკიდებული კონტექსტზე.

საყურადღებოა ისეთი შემთხვევებიც, სადაც სხვა სამეულია მოხსენიებული: „გული, ცნობა და გონება“, როგორც ვხედავთ, ამ სამეულში **სულს**, როგორც უფრო მაღალსა და გაცილებით დამოუკიდებელ ფენომენს ჩაენაცვლა **ცნობა**, რომელზედაც შეიძლება გავლენას ახდენდნენ **გული** და **გონება**.

„გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდებიან:

რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან...“ (848)

4.1. ცან/ცნობა- ძირის სემანტიკისათვის

ლექსიკის სემანტიკური ველი შედგება ორი უმთავრესი ნაწილისაგან: ბირთვული (ცენტრალური) და პერიფერიული ზონისაგან. ცენტრისთვის დამახასიათებელია ტიპობრივი მოდელები, ფორმები და მნიშვნელობები, პერიფერიისთვის სხვა დაჯგუფებისა და კატეგორიის მომიჯნავე შუალედური ფორმები და მნიშვნელობები, ტიპობრივი მოდელებისაგან გადახრა. სწორედ ეს იერარქიული ურთიერთმიმართება გვაძლევს საშუალებას სისტემა ავაგოთ, რადგან სისტემას შეუძლებელია მხოლოდ თანაბარღირებულებიანი შემადგენლები ჰქონდეს. ამ თვალსაზრისით გვსურს ცოდნა- გონიერების ლექსიკის ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელ ძირს, **ცნობა**-ს დავაკვირდეთ.

ცნობა გონიერების ლექსიკის სემანტიკური ველის წევრია: **ცნობანი**, **ცნობა-შმაგნი**, **ცან**, **ცნობა-სრული**, **ვერ იცნობა**. ცხადია, არც ეს ლექსემაა ერთმნიშვნელობიანი „ვეფხისტყაოსანში“ და მისი ცოდნასთან დაკავშირებული ამოსავლის მიუხედავად, უფრო ერთჯერად, მარტივ, ვიწრო მენტალურ მოქმედებას უკავშირდება, რაც დასტურდება ქვემოთ მოყვანილი მაგალითებით:

„თუ არ შმაგი ხარ, დამეხსენ; შმაგი ხარ, მოდი **ცნობასა!**“ (234)

„ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა **ცნობასა** და გულსა.“ (344)

„ასმათმან წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა ტარია..“ (346)

„სამსა დღესა დარბაზს ვიყავ, არ ცოცხალი, არცა მკვდარი;
მერმე ცნობა მომივიდა, მივჰხვდი რასმე მიუმხვდარი;“ (353)

„ადგა, მითხრა: «თქვენს კრძალვასა ჩემგან ცნობა უბნევია...“ (375)

„პირველ გაჭრისა პირება, მერმე დაწყნარდეს ცნობანი;..“ (390)

„საწოლს შემოვე, შემექმნა ცნობა მართ ვითა რეტისა.“ (489)

„აწ კვლაცა ცნობა ამბისა მას ჩემგან უბრძანებია.“ (492)

„ავთანდილს უთხრა: “ისმენდი, ცნობა მიც თუცა ხელისა...“ (501)

„იაგუნდნი ქარვის-ფერნი, სიტყვა-ბრძენნი, ცნობა-შმაგნი;..“ (668)

„მე თვით კაცად აღარ ვარგ ვარ, აღარა მიც თავსა ცნობა;..“ (765)

„ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.“ (791)

„ბრძენი? ვინ ბრძენი? რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!
ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობასა;“ (886)

„ამა საქმისა ვერ-ცნობა, - თქვა, - ჩემი სიძუნწე არსა.“ (1109)

„ხელ-აღპყრობით ღმერთსა ჰმადლობს ცნობა-სრული, არა მთრვალი.“ (1312)

„უცხოურად ეუბნების, მათ ვერა ქმნეს მათი ცნობა,
არ ესმოდა ინდოური, არაბულად ყვეს უბნობა.“ (1581)

ჩვეულებრივ, სემანტიკური ველების მიხედვით ლექსიკის დახასიათება ხდება სხვადასხვა რაკურსით: ლექსიკური, ცნებითი, ენობრივი, სემანტიკური, სინტაქსური, ფუნქციურ-სემანტიკური და ლინგვისტურით; და ყველა შემთხვევაში ველი განიხილება, როგორც სხვადასხვა წარმომავლობის და ერთმანეთზე გავლენის მქონე ელემენტები, რომელთაც აქვთ საერთო სემანტიკური ნიშანი (ერთი ან რამდენიმე), ამიტომაც უფრო ხშირად იყენებენ ტერმინს „სემანტიკური ველი“.

ლექსიკური ველის თეორია მართალია ძირითადად ლ. ვაისგერბერის მიერ შემუშავებულ თეორიულ ბაზას ეფუძნება, ამ თეორიის ავტორად მაინც ი. ტრირი უნდა ჩაითვალოს (ტრირი 1931). ეს თეორია ეყრდნობა ტრირის წმინდა სტრუქტურალისტურ მიდგომას, რომლის მიხედვითაც განსახილველი სიტყვების ჰემმარიტ ღირებულებას მათი ურთიერთდემარკაცია განსაზღვრავს. ამ თეორიის მიხედვით, სიტყვები განხილული უნდა იქნეს არა იზოლირებულად, არამედ მათთან სემანტიკურად დაკავშირებულ სხვა სიტყვებთან მიმართებაში (მელაძე 2016).

დროთა განმავლობაში ყოველი ველი განიცდის ცვლილებებს, მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები კი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ველში შეიძლება შედიოდნენ. ეს ქსელი ძალიან რთულია, მაგრამ ამასთანავე, როგორც აღვნიშნეთ, თავისებურად მოწესრიგებულიცაა. ამიტომაცაა, რომ ენაში, მეტადრე ლექსიკურ ფონდში მიმდინარე ცვლილებები, ინტენსიურობის მიუხედავად, მთლიანი პარადიგმის მოშლას ვერ ახერხებენ. სწორედ ამ ლოგიკით ამტკიცებდა ტრირი, რომ სემანტიკური ველის გარეთ სიტყვას საერთოდ არ შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა.

„ვეფხისტყაოსნის“ ენა წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ძველ ქართულსა და ახალ ქართულ ენას შორის. მასში მოიპოვება როგორც ძველი, ისე ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ნიშნები, „ვეფხისტყაოსნის“ ენა განსხვავებულია, როგორც წინამორბედი, ისე მისი დროინდელი საეკლესიო მწიგნობრივი ქართული ენისაგან, იგი უფრო ახლოსაა ხალხის სამეტყველო ენასთან. ამ განსხვავების გამო მას პირობითად „ვეფხისტყაოსნის ქართულსაც“ უწოდებენ.

„ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ის, რომ აქ ერთმანეთის გვერდით გვხვდება ერთი და იმავე სიტყვის როგორც ახალი, ისე ძველი ფორმები. „ვეფხისტყაოსნის“ ქართულს ძველი ენისგან განსხვავებით ახასიათებს მიდრეკილება სინტაქსური სიახლისა და სისადავისადმი. მიუხედავად ამისა, რუსთველის ენა ინარჩუნებს ძველ წესებსაც, ძველი და ახალი ფორმები პოემაში პარალელური ფორმების სახით გვხვდება.

4.2. გონ- ძირის სემანტიკისათვის

გონ– ძირიანი ლექსემები სხვადასხვაგვარად შეიძლება დავაჯგუფოთ, თუმცა საერთო სემანტიკური ველიდან ისინი არასოდეს გამოვლენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთო ნიშანი, ანუ თუნდაც ერთი საერთო მახასიათებელი, მათ მუდმივად ერთ სივრცეში დატოვებს.

„ვეფხისტყაოსანში“ **გონ**- ძირის სემანტიკური ველი ასეთია:

გონება, გგონია, მგონებელი, ვიგონებდი, გაგონებული, გაგონება, მეგონებოდის, საგონებლად, მომიგონებდე, არ მეგონე, გაგეგონების, გასაგონი, გაგონება, შეგონებითა, შემაგონანი, მგონიხარ, ჰგონია, უგუნურთა.

კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ საერთო მახასიათებლად, ერთი მხრივ, ძირი გვაქვს, მეორე მხრივ კი - მენტალურ მოქმედებასთან მუდმივი კავშირი, თუმცა, ცხადია, ძირს ფორმანტები ხშირად უცვლიან ფორმალურ იერსახესა და გრამატიკულ ყალიბს, ხოლო სინტაგმატური ან ტექსტობრივი გარემო შინაარსობრივსა და კონოტაციურ ვარიაციულობას ანიჭებს ამ ერთსა და იმავე ძირზე დაფუძნებულ ფორმებს.

გონ- ძირით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულებიდან ჩვენ გამოვყავით ცხრა სემანტიკურ-კონოტაციური ჯგუფი:

1. დამოკიდებულება თვით გონების მიმართ; გონების მდგომარეობის შეფასება;
2. ფიქრის, აზროვნების მნიშვნელობით;
3. გახსენება, მოგონება, ხსოვნა;
4. ვარაუდი, წარმოსახვა, შეუმოწმებელი ფაქტის მიმართ დამოკიდებულება;
5. მოსმენილი, სხვისგან ინფორმაციით მიღებული (ან ვერმიღებული);
6. მოლოდინი;
7. შეგონებით, დამოძღვრით, დარიგებით ინფორმაციის მიწოდება;
8. შეტყობა, ამბის გაგება;
9. გონიერი ჭკვიანს ნიშნავს;

ჩვენი მოსაზრების გასამყარებლად წარმოგიდგენთ სათანადო ციტატებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან:

1. დამოკიდებულება თვით გონების მიმართ; გონების მდგომარეობის შეფასება:

„თავსა ვუთხარ: ნუ მოგიცავ, გონებაო მრავალ-გვარო!“ (535)

„ესე კაცნი გამეგზავნეს, გონებასა გავეშმაგე.“ (567)

„იგი ვნახე, დავებნივე, გონებანი გამიშმაგნა.“ (569)

„ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.“ (23)

„ამას იგონებს ტირილით გონება-შეიწრებული.“ (188)

„ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,

არ სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს.“ (215)

„ვინ უნახავ ქმნის გონება ყოველთა კაცთა მნახისა.“ (688)

„და დაბნეულნი მივეცნით გონებასა ჩვენსა მსჯელსა.“ (1135)

„როსტან მისთვის აატირა გონიერი გული, ლბილი.“ (146)

„ამას ეტყვის: შენთვის დავსდებ გონებასა, სულსა, გულსა.“ (902)

„ეტყვის: მზეო, ვითა გაქო, ნათელო და დარიანო!

შენთვის ხელნი გონებანი არა ცუდად არიანო.“(1537)

2. ფიქრის, აზროვნების მნიშვნელობით:

„თქვეს, თუ: მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა.“(58)"

„სხვაგან ქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!“ (89)

„მან მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და სული.“(1)

„ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება;“(6)

„ტკბილნი გონებანი ჩვენთვის მეტად გაამყიფნა.“(207)

„გგონია ჩემგან წინაშე მაგისტვის მომავალობა.“(374)

„ჩემნი ერთნი გონებანი მეტად შორად გამიკიდნა.“(520)

„იგი ვნახე, დავებნივე, გონებანი გამიშმაგნა.“(569)

„ვერად ვიცან, გონებასა გავეკვირვე ამაღ ორსა.“(624)

„მუნამდისცა მოიჭირვე, გონებამან არ დაგლია.“(638)

„რათგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკევე დაბრუნდეს.“(833)

„საბრალოა ასმათ მისად მგონებლად და ჩემად მჭვრეტად.“(900)

„ხვალ გაყრისა გონებამან სხვა მიჰმატა ჭირსა ჭირი.“(941)

„კვლა თინათინის გონება ავსებს უფრო-რე ჭირითა;“(953)

„ვა მე, მისსა მგონებელსა, ვა მას, ვინცა მისთვის კვდების!“ (1001)

„ყმა მიმავალი მიუბნობს, მსგავსი მთვარისა სრულისა.

არს თინათინის გონება მისად სალხენლად გულისა.“(1025)

„და სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი.“(1184)

„სახლი და შვილი მომძულდის, ვჯდი უგულოთა გულითა,

მას ვიგონებდი მღვიძარე, რა მიმეძინის ლულითა;“(1215)

„და დაბნეულნი მივეცენით გონებასა ჩვენსა მსჯელსა.“(1135)

„ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იდუმლითა ძრწოლითა,

და თუ ყვავი ვარდსა იმოვნის, თავი ბულბული ჰგონია.“(1252)

„მე მოვკალ ჩემი მოყვარე; რა მმართვეს გაწბილებულსა?

თავსა ვაბრალობ საქმესა, არ დასმით გაგონებულსა!“ (1344)

„ამას ოდენ მოვახსენებ მუდარით და შეპოვნებით,

რომე მოგცეს ქალი მისი მან მისითა მოგონებით.“(1490)

„ერთი ორთა **მოგონებელი** ვარ საქმესა წასაწყმედსა.“(861)

„ისმინე ჩემი თხოვნილი, შეჯე, წავიდეთ ნებასა,

ნუ მიჰყოლიხარ თავისსა თათბირსა, **გაგონებასა**.“(880)

3. **გახსენება, მოგონება, ხსოვნა:**

„თავის-წინა **იგონებდეს**, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა.“(28)

„**იგონებდეს**, მისგან კიდე ნურად ოდეს მოეცლები.“(32)

„მეფე ბრძანებს: რა შევიგნათ, გული ჩვენი რით იხსნების?

ამა ორთა კიდევანთა აზრი არა არ იქმნების:

ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი **ეგონების**.“(1183)

„შენ მარტოსა **გიგონებდე**, მემცა მიწა ვიაკვანე!“(161)

„**ვიგონებდი**, სევდა მკლვიდა მისისავე **გონებისა**,

და ვთქვი: კრულია ზენაარი ყოვლისა-მცა მამაცისა.“(1216)

„რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე,

გავგულისდი მოვიქნივე, ვჰკარ მიწასა, დავაწყვიდე;

მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე;“(912)

„ავთანდილსცა **მოეგონა** მისი მზე და საყვარელი;“(920)

„გამჟღავნებასა მექადდა არ მოყვარულად, მტერულად,

და აწ ისრე მკვდარსა **ვიგონებ**, იშ, თავი ვიხსენ მე რულად!“(1206)

„მას ვემებ და მას **ვიგონებ**, ვიარები ველთა ვლისად.“(855)

„დაკარგულსა **გიგონებდე**, რა ვიქმნები აქა ფლიდი?“(782)

„თავ-დადრეკით **იგონებდა**, გულსა ჰქონდა ჰმუნვა დიდი.“(819)

„მას დაკარგულსა **ვიგონებ** მე, სიცოცხლისა მთმენები.“ (658)

„ვჯე და მასვე **ვიგონებდი**, არ მიეცა თვალთა რული.“(391)

„**მეგონებოდის**, მალხენდის **გონება** მისგან ჰვრეტისა.“(489)

„ვჯდე და მასვე **ვიგონებდი**, არ მიეცა თვალთა რული.“(391)

„და მიწყვი მისად **საგონებლად** მისი მკლველი თინათინა.“(171)

„დაყრით დადგა, **იგონებდა** არ საქმეთა საომართა.“(752)

„**მომიგონებდე**, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად;“(1297)

„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;

მომეგონოს მოშორვება, მემატების წყლული წყლულსა.“(1306)

4. ვარაუდი, წარმოსახვა, შეუმოწმებელი ფაქტის მიმართ დამოკიდებულება:

„**ეგონა**, თუ: დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ-ბაკმული.“(230)

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა **გგონია?**“(377)

„ზანგმან უთხრა: ვინ **გგონივარ**, ანუ აგრე რად დაჰზნდები.“(1278)

„სიზმრად **მგონია**, დარჩომა ჩემი ვერ დამიჯერია.“(381)

„აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი **მეგონების**.“(126)

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა **გგონია?**“(377)

„ციხისა კარნი დახშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი,
შევიდა ზანგი პირ-შავი, თმა-გრძელი, ტან-ნაბდიანი;
იგი ზე დაჰკრთა, **ეგონა** სამისო რამე ზიანი.“(1278)

„ზანგმან უთხრა: ვინ **გგონივარ**, ანუ აგრე რად დაჰზნდები.“(1279)

„შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ **მეგონე**.“(1296)

„ვის გრძლად **ჰგონია**, მისთვისცა არის ერთისა წამისა.

და ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.“(1665)

5. მოსმენილი, სხვისგან ინფორმაციით მიღებული (ან ვერმიღებული):

„ესეცა ვუთხარ: ამბავი ჩემი არ **გაგეგონების**.“(610)

„საღმრთო, საღმრთოდ **გასაგონი**, მსმენელთათვის დიდი მარგი..“(12)

„არცა დააგდო ტირილი, არცა რა **გაიგონა** მან...“(89)

„მიჯნურისა შებრალება ხამს, ესეცა **გაიგონე**.“(247)

„ასი გმართებს **გაგონება**, არ გეყოფის, არ, ერთხელი;“(663)

„მესმა თქვენი ნაუბარი, **გავიგონე**, რაცა ჰბრძანე!“ (709)

„**გაიგონენ** ჭირნი ჩემნი, მკურნე, რაცა მეკურნების.“(732)

„ტარიელ სიტყვით ასწავლის მხარსა ფრიდონის გზისასა,

„მართ **გააგონა**, რაც ოდენ შეეძლო ძალსა თქმისასა.“(947)

„მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა,

შე-ცა-მღებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა,

მას უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას **გააგონენ** ენითა.“(960)

„მათ კაცთა დია ეამა ესე ამბავი მონისა.

მე **გავიგონე**, შე-რე-მშრა ნაკადი ცრემლთა ფონისა.“(1236)

„მოვიყვანე იგი მონა, ახლოს დავსვი ჩემსა წინა,

ვჰკითხე: მითხარ, რას იტყობდი? **გავიგონება** მეცა მინა.“(1237)

6. მოლოდინი:

„ხვალ გაყრისა **გონებამან** სხვა მიჰმატა ჭირსა ჭირი.“(241)

7. შეგონებით, დამოძღვრით, დარიგებით ინფორმაციის მიწოდება:

„ქალმან კვლა ჰკადრა: გაგსაჯე მეტითა **შეგონებითა**.“(278)

„და ამან წიგნმან **გაგავიგონოს**, ჩემთვის რაცა უქმნევია.“(375)

„ციხოვანთა გავუგზავნო, საუბარი **გამიგონე**,...“(457)

„ჩემნი გულისა მდებელნი და ჩემნი **შემაგონანი**.“(590)

„ასი გმართებს **გავიგონება**, არ გეყოფის, არ, ერთხელი;“(663)

„**გავიგონენ** ჭირნი ჩემნი, მკურნე, რაცა მეკურნების.“(732)

8. შეტყობა, ამბის გაგება:

„რა **გავიგონა**, შესთვალა პასუხი არ-ნაგრძელები:

შენ თუ უშმაგო მგონიხარ, ვარმცა ურია მე ლევი!“(816)

„მაგრა საქმე ქაჯეთისა **გამავიგონე** უფრო მრთელად...“(1245)

„ვუთხარ: დადეგ, **გამავიგონე**, შენი საქმე მეცა მინა.“(597)

„**გავიგონენ** ჭირნი ჩემნი, მკურნე, რაცა მეკურნების.“(732)

„მან **გაუვიგონოს**, რაცა თქვას, არ ცუდად წაუხდებოდეს...“(924)

„რა გათენდა, კვლა დაიწყეს საუბარნი სიტყვა-ხშირნი;

ერთმანერთსა **გაუვიგონნეს** ფიცნი პირველ დანაპირნი.“(925)

„თუ რა გესმის, **გავიგონე**, ესე კმარის სწავლა სწავლად;“(932)

„საღმრთო, საღმრთოდ **გასავიგონი**,მსმენელთათვის დიდი მარგი.“(12)

„თავი ყოლა ნუ **ჰვიგონია** მელექსეთა კარგთა სწორი.“(15)

„მიჯნურისა შებრალება ხამს, ესეცა **გავიგონე**;“(247)

„და ამან წიგნმან **გაგავიგონოს**, ჩემთვის რაცა უქმნევია.“(375)

„ვუთხარ: დადეგ, **გამავიგონე**, შენი საქმე მეცა მინა!“(595)

„რად არ მუნვე **გავიგონე**, რად ხარ შმაგი აგეთიო?!“(744)

9. „გონიერი“ ჭკვიანს ნიშნავს:

„ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.“(23)

„ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს.“(215)

„მიბრძანა, თუ: გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს;“(539)

„ენა, გონება მახმარე გამოსარჩევლად ამისად.“(635)

„რაცა ჰმართებს გონიერთა, ერთხელ ვიყავ მეცა მქმნელად.“(928)

„გონება და ანუ ენა გამოთქმიდა ვითა ვისი!“(1636)

„დაჰმორჩილდა, მოახსენა: ჭირთა ჟამი ერთხელია.
მოიყვანეს კარგი მოყმე, გონიერი, არ ხელია.“(1653)

„მოახსენა: ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს, -
გონიერთა მწვრთელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს.“(904)

„ტახტსა ზედა ერთგან მსხდომნი ტარიელ და ცოლი მისი
ერთმანერთსა შეჰფერობდეს, ქალი ყმისა შესატყვისი;
გონება და ანუ ენა გამოთქმიდა ვითა ვისი!“(1636)

„დაჰმორჩილდა, მოახსენა: ჭირთა ჟამი ერთხელია,
მოიყვანეს კარგი მოყმე, გონიერი, არ ხელია.“(1653)

4.3. სწავლ- ძირის სემანტიკისათვის

სწავლა- ძირის სემანტიკური ველი:

სწავლებულსა, ესწავლნენ, ნასწავლებისა, სწავლა-თქმულსა, ვისწავლებით,
უსწავლელნი, სწავლულება, სწავლა, გასწავლულსა, გაასწავლებს, სწავლა-სწავლად,
ასწავლის,მასწავლელად(მასწავლებლად) გასწავლილისად, მოსწავლემან.

„სწავლ“- ძირიან ლექსემათა სემანტიკური ჯგუფები:

ა) სწავლა - სწავლის, განათლების მიღების მნიშვნელობით :

„მერმე ბრძანა: ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა.“(51)

„რომე მას ჩემგან ესწავლნენ სამამაცონი ზნენია.“(62)

„რასაცა გვედრებ, ისმენდი, ვირე დრო გქონდეს ხლებისა;
შენ გაამაგრე დაჭირვა ჩემისა ნასწავლებისა.“(778)

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა.“(789)

„მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.“(790)

„შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ.“(791)

„არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა.“(902)
 „მოახსენა: ეგე სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს.“(904)
 „გასწავლულსა გააშმაგებს, უსწავლელსა გაასწავლებს.“(915)
 „შენვე თქვი, ეგეა სიტყვა კაცისა ბრძნად სწავლულისა.“(929)
 „აწ მე მუნ მივალ, მასწავლე გზა ძმად-ფიცისა შენისა.“(946)
 „ტარიელ სიტყვით ასწავლის მხარსა ფრიდონის გზისასა.“(947)
 „ყმამან უთხრა: ძმანო ჩემო, კარგთა კაცთა გარდგეკიდე;
 მე მეფესა თქვენსა ვეძებ, მასწავლეთ, თუ სით წავიდე.“(972)
 „იგი ვძებნე წელსა სამსა არ ვიამე არცა ძილი.
 მათ მასწავლეს, ხატაელნი ვნახენ მისგან დაკოდილი;“(997)
 „ფატმანს უთხრა: კაცი მომეც მასწავლელად, წინამძღვარად,
 გზასა მართლად წამიყვანოს, თვარა მეშვლად მინდა არად;“(1110)
 „იტყვის, თუ: ნაქმრად არ ვარგა კაცისა გასწავლილისად.“(1350)
 „ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,
 მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთიდიან;“(1394)
 „ბრძენთა ვინმე მოსწავლემან საკითხავი ესე ვპოვნე.“(1614)

ბ) სწავლა - დარიგების მნიშვნელობით:

„ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა.“(51)
 „თუ რა გესმის, გაიგონე, ესე კმარის სწავლა სწავლად;“(932)
 „მათ მასწავლეს, ძმა რომელთა სულ-მოზრდავი სამე, გლახა.“(291)

4.4. ცოდნა- ძირის სემანტიკისათვის

ცოდნა - საცოდნარია, საცოდნელად, გცოდნიან, ცოდნასაცა, უცოდნელია, მცოდნელი, მცოდნელთა.

გამოიკვეთა ცოდნა- ძირის ლექსემათა ორი სემანტიკური ჯგუფი:

ა) „ცოდნა“ - სწავლას, შესწავლას, გაგება ნიშნავს:

„მისი სახელი - თინათინ, არც ესე საცოდნარია.“(34)
 „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;“(24)
 „უბრძანა: აჰა, შერმადინ, ამად მე შენგან მრცხვენიან,
 ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან, გაგივლენიან.“(151)

„გითხრა, თუ ცოდნა გწადიან ჩვენისა შენ სახელისა.“(260)

ბ) ცოდნა უკვე მიღებული ცოდნის გამომხატველია

„რა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა!“ (790)

„ყოვლი მცოდნელი გრძნებისა მას თანა წაუტანია.“(1241)

„ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი

კაცნი, გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გახელოვნებულნი.“(1247)

„უცებნი მოსრნის მცოდნელთა ცოდნამან, ხელოვნებამან.“(1562)

4.5. ბრძენ- ძირის სემანტიკისათვის

სემანტიკური ბუდე: ბრძენი - ბრძანოთ:

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიტყვა **ბრძენი** „ვეფხისტყაოსანში“ არ გამოირჩევა სემანტიკური მრავალფეროვნებით. თითქმის ყველა მაგალითში იგი გვხვდება.

ა) განათლებული, გონიერი, ნასწავლი ადამიანის მნიშვნელობით:

„**ბრძენი** ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.“(33)

„ამ საქმესა მემოწმების დიონოსი **ბრძენი**, ეზროს.“(177)

„ქალმან უთხრა: მომეწონა, ყმაო, შენი ნაუბარი.

ხარ უცილოდ კარგი ვინმე, მოყმე, **ბრძენთა** საქებარი;“(258)

„ვაქებ ჰკუჟასა **ბრძენთასა**, რომელნი ეურჩებიან.

ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შე-ღა-მრჩებიან.“(347)

„ზეწართა მოუხურავს პირი, **ბრძენთა** საქებარი,

და ვარქვი: საწოლს წაიყვანე, ჩემგან არის ნახმოზარი.“(370)

„გვერდსა დავისხენ ვაზირნი, ვიუბნეთ, გავიზრახენით;

მითხრეს, თუ: ხარო ყმაწვილი, **ბრძენნი** მით გკადრებთ, გლახ ენით.“(424)

„მისსა ვერ იტყვის ქებასა ყოველი **ბრძენთა** ენები;“(658)

„რაცა გითხრა, მომისმინე, **ბრძენი** გეტყვი, არა ხელი.“(663)

„ამას ზედა შეიფიცნეს მოყვარენი, გულ-სადაგნი,

იაგუნდნი ქარვის-ფერნი, სიტყვა-**ბრძენნი**, ცნობა-შმაგნი;“(668)

„კვლა საწოლს დაჰხვდა მის მზისა მონა სიტყვითა **ბრძენითა**;“(692)

„მე ვინ ვაქებ? ათენს **ბრძენთა**, ხამს, აქებდეს ენა ბევრი!“ (694)

„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმოზ ამა ჩემსა განზრახულსა.

კაცი **ბრძენი** ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;“(789)

„დაო, მეტსა საუბარსა აღარ მომცემს ჟამი და დრო,
 არ ვინანი გარდასრულსა, **ბრძენთა** სიტყვა გავაადრო;“(859)

„თუ **ბრძენი** ხარ, ყოვლნი **ბრძენნი** აპირებენ ამა პირსა.“(875)

„**ბრძენი** ხარ და გამორჩევა არა იცი **ბრძენთა** თქმულებ.“(876)

„**ბრძენი?** ვინ **ბრძენი**, რა **ბრძენი?** ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?“(886)

„არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ **ბრძენთა** თქმულსა.“(902)

„რა წამეკიდა, ყველაი წვრილად გიამბო ენითა,
 მერმელა გაბრჭევ მართალი მაგა გულითა **ბრძენითა**;“(906)

„სადაცა გწადდეს, მუნ იყავ მითვე წესითა მაგითა,
 უსამ იყო ქარავნისა უხუცესი, კაცი **ბრძენი**.“(1030)

„მისი ჭვრეტა გააშმაგებს კაცსა **ბრძენსა**, ვითა ხელსა.“(1049)

„ხამს ყოვლისა დაჯერება, **ბრძენი** სჯერა მოწევნადსა.“(1050)

„ანუ არის **ბრძენი** ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი.“(1184)

„**ბრძენნი** იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან საწუნელია;“(1294)

„და „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“, ესე **ბრძენთაგან** თქმულია.“(1323)

„ავთანდილს მაღლი უბრძანა, ქმნა უყო საუბარისა:
 „მე შენი ქება ვითა ვთქვა, **ბრძენთაგან** საქებარისა!“(1353)

„ფრიდონ ლალი ამხნაგობს საუბართა ესოდენტა.
 ამას ზედა გაიცინნეს მათ წყლიანთა, **სიტყვა-ბრძენთა**.“(1407)

„დადუმდეს და მოახსენეს: რათგან **ბრძენთა** მზეებრ გასახეს.“(1457)

„ამ საქმესა დაფარულსა **ბრძენ** დიონოს გააცხადებს.“(1492)

„და **ბრძენთა** უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ-წახდომა.“(1544)

„მის ქორწილისა მაქები კაცი **ბრძენთაგან** იქები.“(1551)

„ინდოთ მეფე თაყვანსა სცემს ლალი, **ბრძენი**, არ მახმული.“(1559)

„და მას შიგან მყოფსა **ბრძენსაცა** ცნობა აქვს ვითა შეთისა.“(1582)

„თუ **ბრძენიცა** მაქებარი მისი იხმობს ვირებრ "ჩოსა.“(1589)

„**ბრძენთა** ვინმე მოსწავლემან საკითხავი ესე ვპოვნე.“(1614)

ბ) „ბრძენი“ ნიშნავს მშვიდს, წყნარს:

„გწადდეს - გულითა **ბრძენითა**, გწადდეს - ცნობითა შმაგითა.“(935)

„ვაზრობ, იგიცა დაშმაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ ისი სად;“ (985)

ბრძენ- ფუძიდან ასევე ნაწარმოებია „ჰბრძანოთ“ სიტყვა, რომელიც თავის მხრივ, არის მიმართვის თავაზიანი ფორმა და ნიშნავს თქმას, აზრის გადმოცემას:

„თვით რაცა ჰბრძანოთ, მართალ ხართ: სხვა სხვისა ომსა ბრძენია.“ (850)

4.6. ჭკუა- ძირის სემანტიკისათვის

სემანტიკური ბუდე: ჭკუა, ჭკუიანისა, უჭკუოსა, შმაგსა, რეტსა.

გონიერების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა შორისაა ლექსემა ჭკუა. პოემაში იგი რამდენიმე მაგალითში გვხვდება, თუმცა სემანტიკის თვალსაზრისით საინტერესო მასალას გვაწვდის.

ჭკუა- ძირის სემანტიკურ-კონოტაციური ჯგუფებია:

ა) ჭკუა-გონების მნიშვნელობით:

„მისი მძებნელი იყომცა ჭკუითა მეტის-მეტითა;

შენ კაცთა ნაცვლად ნადირთა ახლავ გულითა რეტითა;“ (276)

„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან.

ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შე-ღა-მრჩებიან.“ (347)

ბ) როცა ჭკუიანი, განათლებულ გონიერ ადამიანს აღნიშნავს:

„კვლა იტყვის: მიკვირს ნაღველი კაცისა ჭკუიანისა.

რა მჭმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა?“ (863)

გ) უარყოფითი ფორმები, სადაც გვხვდება, სხვა ძირებიდან ნაწარმოები ლექსემებიც:

„ესეგვარი დია მიჰხვდეს სიტყვა-მცთარსა, ენა-მეტსა,

ხვაშიადთა ვერ-მმაღავსა, უჭკუოსა, შმაგსა, რეტსა;“ (1106)

„უთხრა დიდმან ხელმწიფემან უჭკუოსა უსენს, მთრვალსა:

დია მიკვირს, სამღვნოდ ჩვენად სით მოიღებ ამა თვალსა.“ (1167)

„ფრიდონ მდაბლად თაყვანის-სცა, ჰკადრა მადლი მეტის-მეტი:

მე, მეფეო, რად გგონივარ უჭკუო და აგრე რეტი? “ (1501)

ფიქრი ადამიანის მენტალური თავისებურებების ამსახველი ერთ-ერთი ქმედებაა, ამიტომ **ფიქრ-** ფუძე უკავშირდება გონიერების ლექსიკის სემანტიკურ ველს, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ იგი არ იძებნება. როგორც ჩანს, ეს ლექსემა ქართული ენის ლექსიკურ სივრცეში გაცილებით გვიან შემოვიდა არაბული ენიდან, თუმცა, როგორც

უკვე დავინახეთ, სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში უკვე გვაწვდის ინფორმაციას ამ სიტყვის შესახებ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მის ადგილს პოემაში იკავებენ სიტყვები

საგონებელი, საზრახავი:

„საგონებელი შეექმნა დადგა საქმისა მრჩეველად,

თქვა: თუ დავბრუნდე, ეზომი ხანი რად დავყავ მე ველად?“ (186)

„ესეგვარი საზრახავი დაუზრახა გულსა შინა;

მერმე იტყვის: ჩემგან კიდე ჩემი შემწე არავინ-ა;“ (1091)

„კვლა ერთმანერთსა მიუგეს სიტყვები არ პირ-მკვახები,

დაასკვნეს იგი თათბირი, ტარიას განაზრახები.“ (1408)

4.7. აზრ- ძირის სემანტიკისათვის

სემანტიკური ბუდე: აზრი, მოაზრენი, აზრად შეიქმნა, აზრობა, იაზრებდა .

სემანტიკურ-კონოტაციური ჯგუფებია:

1. აზრი - ადამიანის მენტალური ქმედების შედეგი:

„აზრნი შენნი შენვე გგვანან, მტყუანსა და შენ აგეთსა!“ (527)

„მეფე ბრძანებს: რა შევიგნათ, გული ჩვენი რით იხსნების?

ამა ორთა კიდეგანთა აზრი არა არ იქმნების.“ (1183)

2. როცა აზრი მიხვედრას, შეგნებას ნიშნავს:

„აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების,

და თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნების.“ (126)

„ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნი მეაბჯარენია,

ლაშქართა წასლვა ვუბრძანეთ, მით არას მოაზრენია.“ (203)

„თუცა არ მიცნობ, გინახავ, თუ ვითა გააზრებია,

და გახსოვსცა, ოდეს დაჰხოცე მონები არ-საპყრებია?“ (288)

„აზრად შეიქმან, საქმესა ათასჯერ შეაწონებენ,

თუ შეიგებენ, მე მათთა არეთა არ მარონებენ“. (365)


„ვნახე, მოწსა მარგალიტი გარე ტურფად მოემაზრა.

მიბრძანა, თუ: "ეგე საქმე მემცა მართლად რად მეაზრა?!“ (536)

„მეცა ვიცოდი, რაცა ვქმენ, ცთომით არ წამკიდებია,
ვიაზრე, გამიწყრებოდა, ჭმუნვა მით გამდიდებია;“ (766)
 „სჯობს გამორჩევა, **აზრობა** საქმისა დასაგვანისა,
 აწ მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა ლერწამ-ტანისა.“ (863)
 „ვარდი ამას ვით **იაზრებს**: მზე მომშორდეს, არ დავჭკნეო,
 ანუ ჩვენ, გლახ, რა გვერგების, რა ჩასვენდეს გორსა მზეო?“ (921)
 „**ვაზრობ**, იგიცა დაშმაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ ისი სად;
 ვარ ძმაო ტარიელისი შეყრად ფრიდონის მქისისად.“ (985)
 „ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აღებდა,
 და მჭვრეტნი მისნი გააკვირვნა, რასა-მცა ვინ **იაზრებდა!**“ (1182).

მოცემულ მაგალითებზე დაკვირვებით გამოიკვეთა **გონ**-ძირის შემცველი ფუძეების მთავარი და მეორეხარისხოვანი სემანტიკური ველები. გამოვყავით სამი სემანტიკური ველი:

1. **გონება** - ფიქრის, **აზროვნების** მნიშვნელობით გვხვდება-52%.
2. როდესაც **გაგონება** მოსმენასთან არის დაკავშირებული და **შეგნება**, მიხვედრას აღნიშნავს- 34%.
3. **გონიერი** - **ჭკვიანის** მნიშვნელობით-14%



„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენა გამოირჩევა ე.წ. დარბაისლური, მონუმენტური სტილით, პოეტი ხშირად იყენებს ისეთ მხატვრულ ხერხებს, როგორცაა: მეტაფორა, შედარება, გამეორება, ალიტერაცია, ბუნების აღწერები და სხვ. რუსთველის

ენისათვის დამახასიათებელია „აფორიზმების“ სიმრავლე. როგორც დავრწმუნდით, ამ შემოქმედებით პროცესში გონ– ძირის შემცველი ლექსიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

როგორც კვლევა აჩვენებს, ყოველი ეს ფორმა ცალკე იკეთებს ამავე ძირისა და სხვა ძირის საფუძველზე აგებულ სემანტიკურ ქვეჯგუფებს, რომელთა კვლევა დიდად წაადგება არა მხოლოდ ქართული ლექსიკის შესწავლის, არამედ ელექტრონული ბაზებისათვის სიტყვათა ზედმიწევნითი განმარტებების მიწოდების აქტუალურ საქმეს.

თავი V

შემეცნების ლექსიკა სახარებაში

სახარების ენის ლინგვისტური შესწავლის მასშტაბებს ხშირად ამა თუ იმ ერისა და ენის კულტურული კოდის შესწავლას უტოლებენ, რადგან ყველა იმ ენაში, სადაც ქრისტიანობა დამკვიდრდა, ამ მომენტიდან ყველა მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობრივი კონცეფცია (და შესაბამისად, მასთან დაკავშირებული ლექსიკა-ფრაზეოლოგიაც) სწორედ ამ ჭრილში ჩამოყალიბდა და გადაფასდა.

ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ფილოლოგიური კვლევები ასე ღრმადაა გამსჭვალული სახარებისეული ენის (და მთლიანად სახისმეტყველებითი) საკითხებით.

ბიბლიამ მთლიანად, და სახარების წიგნებმა განსაკუთრებით, განსაზღვრა ლექსიკის ფუნდამენტურ მნიშვნელობათა მემკვიდრეობითობა, აზროვნების სტილის სიმყარე თაობიდან თაობაში და ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა საფუძველზე გამყარებული ენობრივი გემოვნება.

ქართული ენისათვის ეს მოვლენები უდავოდ გადამწყვეტი აღმოჩნდა ისტორიული მეხსიერების, ეთნიკურ-ენობრივი მთლიანობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ამიტომაცაა საფრთხილო სახარების ტექსტების თანამედროვე ქართულზე „გადამოწყობის“ ინიციატივები, პერიოდულად რომ აღმოცენდება ხოლმე ჩვენს საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიური წიგნები და სახარება ყველა ქრისტიანი ერისთვის საერთო ტექსტობრივ ამოსავალს ეფუძნება, მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ყველა ერს თავისი ტექსტი აქვს შემუშავებული მისი ენობრივი კომპეტენციის, ისტორიული გამოცდილების, სამყაროს ენობრივი სურათის ინდივიდუალური აღქმისა და მრავალი სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნის გავლენით.

5.1. სახარების თარგმნის ისტორიისათვის

ქართულ ენაზე ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმნა მეოთხე-მეხუთე საუკუნეებიდან იწყება და გრძელდება მეცხრე-მეთორმეტე საუკუნემდე. (ხანმეტი სახარება, ძველი აღთქმის წიგნები მეხუთე-მეშვიდე საუკუნეები, ადიშის ოთხთავი-897წ. გიორგი ათონელის კანონიკური თარგმანი მეთერთმეტე საუკუნე და გელათის ბიბლია- მეთორმეტე საუკუნე). ცხადია, კანონიკური თარგმანების გარდა სხვა მრავალი თარგმანიც არსებობს, მათ შორის ადაპტირებული თუ თანამედროვე ქართულზე გაწყობილი თარგმანებიცაა, რომელთა ენობრივი თავისებურებების შედარება კანონიკურ ვერსიებთან უდავოდ საინტერესოა.

ისტორიის მანძილზე წმინდა წერილის თარგმნის კონცეფცია და პრინციპები მნიშვნელოვნად არ იცვლებოდა. რასაც განაპირობებდა ჩვენი ეკლესიისათვის დამახასიათებელი სიმყარე საღმრთო სიტყვის პირვანდელი ძალის მიმართ დამოკიდებულებაში და რწმენა იმისა, რომ სამოციქულო ეკლესიას იმთავითვე ეუწყა უფლის ნება, და ამ სიტყვათა რევიზია საღმრთო სიტყვის დაკარგვის ან გამრუდების საფრთხეს შეიცავდა. ამიტომაც ერთგულობს საქართველოს ეკლესია სახარების უძველეს ვერსიებს ერის მოსაქცევად, დასამოდღვრად, მომავალი თაობების აღსაზრდელად, უფალთან ერთობისა და საუკუნო ცხოვრებისათვის; ამიტომაც მიიჩნევა, რომ „პირველი“ მთარგმნელი იყო გამორჩეული მცოდნე წმინდა წერილის, ენებისა და სარწმუნოებრივი ცხოვრების გამოცდილების მქონე, საღმრთო მადლითა და ძალით ცხებული.

თუმცა ხანგრძლივი და ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევა, რომ ბიბლიის წიგნთა ქართულ თარგმანებს, თუ ყველას არა, ცალკეულ მონაკვეთებს მაინც, თავ-თვისი ისტორია აქვს. ქართული თარგმანების ფილოლოგიურ-შედარებითმა ანალიზმა ფაქტობრივად დაადასტურა მანამდე ზოგადი დებულების სახით გამოთქმული მოსაზრება, რომ უძველესი ქართული თარგმანები შეიძლება დავახასიათოთ როგორც თავისუფალი თარგმანი, ხოლო გვიანდელი ხანისა-სიტყვასიტყვითი. თუ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები ერთგვარ ზომიერებას იცავდნენ და თავისებურ ხარკს უხდიდნენ ძველ თარგმანებს (მათ ნარედაქციებ ტექსტებში სარედაქციო დედნების გამოცნობა ჯერ კიდევ შესაძლებელია), სამაგიეროდ არსენ იყალთოელის, ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის მოღვაწეობას წარუშლელი

დადი დაუსვამს ძველი თარგმანებისათვის და მაქსიმალურად მიუჩქმალავს მათი წარმომავლობის კვალი.“(ქართული ბიბლიის ისტორია)

მეთორმეტე საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა „პეტრიწონის სკოლა“. ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის ნათარგმნ ბიბლიურ ტექსტებში გაბატონებული იყო სიტყვასიტყვითი თარგმნის პრინციპი. ბიბლიის ტექსტი განიცდის ბერძნული წყაროს დიდ გავლენას, რაც ძირითადად მორფოლოგია-სინტაქსისა და ლექსიკის სფეროში იჩენს თავს, მაგრამ გარკვეულწილად მოიცავს სტილისტიკურ მხარესაც. მომდევნო პერიოდში, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებამდე ბიბლიური ტექსტების თარგმნისათვის უკვე აღარავის ეცალა, ვიდრე ამ საქმეს სათავეში არ ჩუდგნენ სულხან-საბა ორბელიანი-საქართველოში, არჩილ და ბაქარ ბატონიშვილები-მოსკოვში.

ჩვენი ინტერესის სფეროა სახარების ტექსტში გონისა და გონიერების ამსახველი ლექსიკის კვლევა. ლექსიკის უძველესი ფენის მიმოხილვა, ჩვეულებრივ, სემანტიკურ ჯგუფებად ხდება. ეს სემანტიკური ჯგუფები წარმოაჩენენ იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც აუცილებელია ყველა საზოგადოების ყოფისათვის.

უნდა აღინიშნოს რომ ჩვენი მიზანი არ არის ფუძეთა ეტიმოლოგიური ანალიზი, განვიხილავთ მხოლოდ ძირითადად გაზიარებულ თვალსაზრისებს.

5.2. ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკური სივრცე სახარებაში

სახარების თარგმანებიდან ჩვენ შევარჩიეთ გიორგი მთაწმინდელის ვერსია და საკვლევი ლექსიკის კუთხით შევუდარეთ თანამედროვე თარგმანს, ამ მიზნით კი ავიღეთ ბაჩანა ბრეგვაძის რედაქციით გამოცემული ტექსტები.

ვფიქრობთ, საერთო ტენდენციის დასადგენად რამდენიმე, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულად აქტიური ფუძის განხილვაც საკმარისი უნდა იყოს. ესენია: **გონ**, **სწავლ**, **ცოდნ**, **ცნობა**, **ფიქრ**, **ბრძენ**, **ჭკუა**, **აზრი** - ფუძეები და წარმოვადგენთ სათანადო მასალას სახარებიდან, ამ მასალამ საშუალება მოგვცა, შეგვექმნა დასახელებული ფუძეების სემანტიკური ჯგუფები, ასევე წარმოვადგენთ ძველი და ახალი თარგმანების შედარება-შეპირისპირებით სურათს.

ა) **გონიერების სემანტიკური ველი გ.მთაწმინდელის სახარებაში: გონიერსა, უგონიერეს, მიუგო, ჰგონებთ, საგონებელ, გონებითა, იცოდა, მცნებად, ამცნო, მეცნიერი, მეცნიერებად,**

სჯულის-მეცნიერი, არ იცოდა, იცნეს, იცნოდა, ცნობად, გიცნა, საცნაურ იყო, არა გიცნი, უცნობელნო, ვერ იცნან, სიბრძნე, ბრძენი, ბრძანა, უბრძანა, სულელი, ასწავებდა, სწავლულ, სწავლად, ქადაგებდა, უსწავლელად, განიზრახვიდა, საგონებელ იყო, ვჭგონებ, გულის-სიტყვად, გგონიეს, ზრახვანი იგი გულისანი, გულის-ხმა-ყო, ზრახვენ გულსა შინა;

N	ძირითადი ლექსიკური ერთეულები	ბუდის ლექსიკური მარაგი	უარყოფითი ფორმები ან განსხვავებული ძირით გადმოცემული სემანტიკური ანალოგები
1	გონი	გონიერსა, უგონიერეს, მიუგო, ჰგონებთ, საგონებელ, გონებითა.	
2	ცოდნა	იცოდა, მცნებად, ამცნო, მეცნიერი, მეცნიერებად, სჯულის-მეცნიერი.	არ იცოდა.
3	ცნობა	იცნეს, იცნოდა, ცნობად, გიცნა, საცნაურ იყო.	არა გიცნი, უცნობელნო, ვერ იცნან.
4	ბრძენი	სიბრძნე, ბრძენი, ბრძანა, უბრძანა.	სულელი.
5	სწავლა	ასწავებდა, სწავლულ, სწავლად, ქადაგებდა.	უსწავლელად.
6	ფიქრი		განიზრახვიდა, საგონებელ იყო, ვჭგონებ, გულის-სიტყვად, გგონიეს, ზრახვანი იგი გულისანი, გულის- ხმა-ყო, ზრახვენ გულსა შინა.

7	ჭკუა	არ იძებნება.	
8	აზრი	არ იძებნება.	

ბ) გონიერების სემანტიკური ველი ბ.ბრეგვაძის თარგმნილ სახარებაში:

გონება, გაგონება, შეგონება, გამგონე, გაგონებისთანავე, გონიერი, გაგონილი, მოსაგონებლად, გონსმოგებული, შეაგონებდა, გონივრულად, გონსმოსული, შთაგონებული, მოიგონეს, გაგონილა, ეგონა, უგუნური, ცოდნა, მცოდნე, შეცნობა, შეიმეცნეთ, იცოდა, მცოდნემ, მცნება, არ იცოდნენ, ცნობა, გიცანი, ცნობილი, გამოცნობა, მცნებაზეა, ემცნოთ, ვერ გიცანო, არ ცნით, ბრძენთა, სიბრძნე, სწავლაგასრულებული, განისწავლება, ასწავლიდა, სწავლაგასრულებული, სწავლება, საქადაგებლად, ჭკუას ასწავლი, უსწავლელად, ჩაფიქრდა, შეფიქრიანდნენ, ფიქრი, ჭკუა, აზრი.

N	ძირითადი ლექსიკური ერთეულები	ბუდის ლექსიკური მარაგი	უარყოფითი ფორმები და სხვა ერთეულები
1	გონი	გონება, გაგონება, შეგონება, გამგონე, გაგონებისთანავე, გონიერი, გაგონილი, მოსაგონებლად, გონსმოგებული, შეაგონებდა, გონივრულად, გონსმოსული, შთაგონებული, მოიგონეს, გაგონილა, ეგონა.	უგუნური.
2	ცოდნა	ცოდნა, მცოდნე, შეცნობა, შეიმეცნეთ, იცოდა, მცოდნემ, მცნება.	არ იცოდნენ.
3	ცნობა	ცნობა, გიცანი, ცნობილი.	ვერ გიცანო, არ ცნით.


		გამოცნობა, მცნებაზეა, ემცნოთ.	
4	ბრძენი	ბრძენთა, სიბრძნე.	
5	სწავლა	სწავლაგასრულებული, განისწავლება, ასწავლიდა, სწავლება, საქადაგებლად, ჭკუას ასწავლი.	უსწავლელად.
6	ფიქრი	ჩაფიქრდა, შეფიქრიანდნენ ფიქრი.	
7	ჭკუა	ჭკუა.	
8	აზრი	აზრი.	

5.3. გონ- ძირის სემანტიკისათვის

ქვემოთ წარმოდგენილია მასალა, რომელიც მოძიებულია გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი სახარებიდან. ჩვენ ტექსტიდან ამოვკრიბეთ ყველა ის ფრაზა, სადაც გამოყენებულია **გონ-** ძირით ნაწარმოები სიტყვები, შევაჯამეთ და მივიღეთ ჩვენთვის საინტერესო სემანტიკური ჯგუფი.

მცირედი კომენტარი გვინდა გავაკეთოთ ჩვენს ამოცანასთან დაკავშირებით: ჩვენი ეკლესია საღვთისმსახურო პრაქტიკაში ხელმძღვანელობს გიორგი მთაწმინდლის რედაქციით. შესაბამისად, ჩვენც ამოსავლად საკვლევი ლექსიკისათვის სწორედ მთაწმინდლისეული რედაქცია მიგვაჩნია; რაც შეეხება თანამედროვე თარგმანებს (არსებობს ბაჩანა ბრეგვაძის, ზურაბ კიკნაძის, ზვიად გამსახურდიას... თარგმანები) ჩვენ გავეცანით ბაჩანა ბრეგვაძისეულ რედაქციას იმ იმედით, რომ ამ გზით უკეთ დავინახავთ საძიებელ ლექსიკაში დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს.

ა) შეგვიძლია გამოვყოთ **გონ-** ძირის **სემანტიკური ბუდე**, რომელიც **გიორგი მთაწმინდლის** რედაქციით გამოცემულ სახარებაში გვაქვს:



გამოიყოფა **გონ**- ძირით ნაწარმოებ **სიტყვათა სემანტიკურ-კონოტაციური** ჯგუფები. როგორც ვხედავთ, **გონ**- ძირით ნაწარმოები სიტყვა **ეგონა** სხვადასხვა ფორმით გვხვდება, თუმცა სემანტიკურად ყველა ეს ფორმა:

1. აღნიშნავს რაიმე ვარაუდს, თვალსაზრისს. ეს სიტყვა დომინირებს მოცემულ მაგალითებში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ორმოცდაათი** სიტყვიდან, რომელიც **გონ**- ძირით არის ნაწარმოები **ოცდაჩვიდმეტი** სიტყვა აღნიშნული მნიშვნელობით გვხვდება, მაგ.:

„გამოიძიებდით წიგნთა, რამეთუ თქუენ **ჰგონებთ**, ვითარმედ გაქუს ცხორებაჲ საუკუნოდ მათ შინა; და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთვის“ (იოანე 5: 39).

„ნუ **ჰგონებთ**, ვითარმედ მე შეგასმინნე თქუენ მამასა ჩემსა; არს შემასმენელი თქუენი მოსე, რომელსა თქუენ ესავთ“ (იოანე 5: 45).

„ნუ **ჰგონებთ**, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშვდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშვდობისა, არამედ მახვლისა“(იოანე 10: 34).

„კრებულისაგან განგასხნენ თქუენ. არამედ მოვალს ჟამი, რადთა ყოველმან რომელმან მოგწყვდნეს თქუენ, **ჰგონებდეს**, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა“(იოანე 16: 2).

„ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, რადსა სტირ? ვის ეძიებ? მას **ეგონა**, ვითარმედ მემტილე იგი არს, და ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუ შენ აღილე იგი, მითხარ მე, სადა დასდევ, და მე წარმოვილო იგი“(იოანე 20: 15).

„და არიან სხუანიცა მრავალ, რომელ ქმნნა იესუ, რომელნი თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არცაღა **ვჰგონებ**, ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები“ (იოანე 21: 25).

„ნუუკუე მადლ-იპყრასა მონისად მის, რამეთუ ყო ბრძანებაჲ მისი? არა **ვჰგონებ**“ (ლუკა 17: 9).

„და ვითარცა ესმოდა ესე ერსა მას, შესძინა და თქუა იგავი ამისთვის, რამეთუ მოახლებულ იყო იგი იერუსალჴმსა, და **ჰგონებდეს** იგინი, ვითარმედ მეყსეულად გამოჩნდეს სასუფეველი ღმრთისაჲ“ (ლუკა 19: 11).

„ხოლო იგინი შეძრწუნდეს და შეეშინა, **ეგონა**, ვითარმედ სული რადმე იხილეს“ (ლუკა 24: 37).

„**ჰგონებდეს** მისა, ვითარმედ მოგზაურთა თანა არს იგი. და მოვიდეს დღისა ერთისა გზასა და ეძიებდეს მას ნათესავთა შორის და მეცნიერთა“ (ლუკა 2: 44).

„ყავთ უკუე აწ ნაყოფი ღირსი სინანულისაჲ და ნუ **ჰგონებთ** და იტყვთ გულთა თქუენტა: მამა გვვის ჩუენ აბრაჴამი. გეტყვ თქუენ, რამეთუ ძალ-უც ღმერთსა აღდგინებად ქვათა ამათგან ნაშობად აბრაჴამისა“ (ლუკა 8: 8).

„მიუგო სიმონ და თქუა: მე ეგრე **ვჰგონებ**, ვითარმედ რომელსაცა-იგი უფროდსი მიუტევა. ხოლო თავადმან თქუა: სამართლად საჯე“ (ლუკა 7: 43).

„იხილეთ უკუე, ვითარ-ეგე ისმენთ: რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს და რომელსა-იგი **ჰგონიეს**, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ელოს მას“ (ლუკა 8: 18).

„და იყო ლოცვასა მას მისსა თვსაგან, მის თანა იყვნეს მოწაფენი. ჰკითხვიდა მათ და ჰრქუა: ვინ **ვჰგონიე** მე ერსა ამას და რად თქვან ჩემთვის ყოფად?“ (ლუკა 9: 18).

„ხოლო იესუ ჰრქუა მათ: თქვენ ვინ **გგონიე** მე? მიუგო პეტრე და ჰრქუა: ცხებული ღმრთისაჲ“ (ლუკა 9: 20).

„და ნუ **ჰგონებთ** და იტყვთ თავით თვისით: მამა გვვის ჩუენ აბრაჴამი. რამეთუ გეტყვ თქუენ, ვითარმედ: შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაჴამისა“ (მათე 3: 9).

„ნუ **ჰგონებთ** ვითარმედ მოვედ დაჯსნად სჯულისა გინა წინასწარმეტყველთა; არა მოვედ დაჯსნად, არამედ აღსრულებად“ (მათე 5: 17).

„და რაჴამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყვთ, ვითარცა-იგი წარმართთაგანი, რამეთუ **ჰგონებედ**, ვითარმედ მრავლის-მეტყუელებითა მათითა ისმინოს მათი“ (მათე 6: 7).

„ნუ **ჰგონებთ**, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშვდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშვდობისა, არამედ ძახლისა“ (მათე 10: 34).

„ხოლო მან ჰრქუა მათ: თქუენ ვინ **გგონიე** მე ყოფად?“ (მათე 16: 15). „ხოლო მას ჰრქუა: ჰე. და ვითარცა შევიდა იგი სახიდ, უსწრო მას იესუ და ჰრქუა: რასა **ჰგონებ** შენ, სიმონ:

მეფენი ქუეყანისანი ვიეთგან მიიღებენ ხარკსა ანუ ზუერსა: შვილთაგან ანუ უცხოთაგან?“ (მათე 17: 25).

„ვითარ **ჰგონებთ** თქუენ: კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შეცსთეს ერთი მათგანი, არამე დაუტევნესა და ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი მათთა ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი?“ (მათე 18: 12).

„მოვიდეს პირველისანიცა იგი და **ჰგონებდეს**, ვითარმედ უფროდსი მიიღონ, და მიიღეს მათცა თითოდ დრაჰკანი“ (მათე 20: 10).

„აწ ვითარ **ჰგონებთ** თქუენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე; მოვიდა პირველისა მის და ჰრქუა: შვილო, წარვედ დღეს და იქმოდე ვენაჯსა ჩემსა“ (მათე 21: 28).

„და ჰრქუა: ვითარ **ჰგონებთ** თქუენ ქრისტესთვს, ვისი ძე არს? ხოლო მათ ჰრქუეს: დავითისი“ (მათე 22: 42).

„ამისთვს თქუენცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ რომელსა ჟამსა არა **ჰგონებდეთ**, ძე კაცისად მოვიდეს“ (მათე 24: 44).

„ანუ **ჰგონებ**, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიღვინოს მე აწ აქა უმრავლესი ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთაჲ?“ (მათე 26: 53).

„ნუ **ჰგონებთ**, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშჯდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშჯდობისა, არამედ მახჯლისა“ (მათე 10: 34).

„ხოლო მათ ვითარცა იხილეს იგი, ვიდოდა რაჲ ზღუასა ზედა, **ჰგონებდეს**, ვითარმედ საოცარი რაჲმე არს, და ღაღად-ყვეს“ (მარკოზი 6: 49).

„ნუ **ჰგონებთ**, ვითარმედ მე შეგასმინნე თქუენ მამასა ჩემსა; არს შემასმენელი თქუენი მოსე, რომელსა თქუენ ესავთ“ (იოანე 5: 45).

„ხოლო მათ ვითარცა იხილეს იგი, ვიდოდა რაჲ ზღუასა ზედა, **ჰგონებდეს**, ვითარმედ საოცარი რაჲმე არს, და ღაღად-ყვეს“ (მარკოზი 6: 49).

„ხოლო იესუ მოუწოდა და ჰრქუა მათ: უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი **ჰგონებდ** მთავრად წარმართთა, უფლებედ მათ ზედა, და დიდ-დიდნი მათნი ჳელმწიფებედ მათ ზედა?“ (მარკოზი 10: 42).

„ვინ უკუე ამათ სამთაგანი **გგონიეს** შენ მოყუას მისა, რომელ იგი შევარდა ავაზაკთა მათ?“ (ლუკა 10: 36).

„და თქუენცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა **ჰგონებდეთ**, ძე კაცისად მოვიდეს“ (ლუკა 12: 40).

„ეგრე **ჰგონებთ**, ვითარმედ მშვდობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა? არა, გეტყვ თქუენ, არამედ განყოფად“ (ლუკა 12: 51).

„მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ეგრე **გგონიეს**, ვითარმედ გალილეველნი ესე უფროდს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესევითარი ევნო მათ“ (ლუკა 13: 2).

„ანუ იგი, რომელ ათრვამეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა და მოსწყვდნა იგინი, **ჰგონებთ**, ვითარმედ იგინი ხოლო თანა-მდებ იყვნეს უფროდს ყოველთა კაცთა, რომელნი მკვდრ არიან იერუსალჴმს?“ (ლუკა 13: 4).

2. სიტყვა გონიერი ნიშნავს ჴკვიან, ბრძენ ადამიანს. ამ სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა თანამედროვე ქართულში გაფართოვდა. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ **გონ-**ძირით ნაწარმოები ორმოცდაათი სიტყვიდან **გონიერი მხოლოდ შვიდ შემთხვევაში** გვხვდება. მაგ.:

„და მოვიდეს იესუმსა და იხილეს ეშმაკეული იგი მჯდომარე, შემოსილი და **გონიერი**, რომლისა თანა-იგი ყოფილ იყო ლეგეონი და შეეშინა“ (მარკოზი 5: 15).

„ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და ყვნეს იგინი, ვამსგავსო იგი კაცსა **გონიერსა**, რომელმან აღაშენა სახლი თვისი კლდესა ზედა“ (მათე 7: 24).

„და გამოვიდეს ხილვად, რომელი-იგი იქმნა, და მოვიდეს იესუმსა და იხილეს კაცი იგი მჯდომარე, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყვნეს, შემოსილი და **გონიერი**, ფერტთა თანა იესუმსთა, და შეეშინა“ (ლუკა 8: 35).

„და ჰრქუა იესუ: ვინ-მე არს მნე იგი სარწმუნოდ და **გონიერი**, რომელი დაადგინოს უფალმან მონათა თვისთა ზედა მიცემად იფქლი ჟამსა თვისსა?“ (ლუკა 12: 42).

„და აქო უფალმან მნე იგი სიცრუვისაჲ, რამეთუ **გონიერად** ყო. რამეთუ მენი ამის სოფლისანი **უგონიერეს** არიან უფროდს ძეთა ნათლისათა ნათესავსა შორის მათსა“ (ლუკა 16: 8).

„და იხილა იესუ, რამეთუ **გონიერად** მიუგო, ჰრქუა მას: არა შორს ხარ სასუფეველისაგან ღმრთისა და არღარავინ იკადრა კითხვად მისა“ (მარკოზი 12: 34).

3. გონება აღნიშნავს ადამიანის ჴკუას, შესაძლებლობას. ამ მნიშვნელობით იგი გვხვდება რამდენიმე მაგალითში. მაგ.:

„მაშინ განუხუნა **გონებანი** მათნი გულისკმის-ყოფად წიგნთ“ (ლუკა 24: 45).

„ხოლო მან ჰრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი–ვითარცა თავი თვისი“(ლუკა 10: 27).

„და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ესე არს პირველი მცნება“(მარკოზი 12: 30).

„ხოლო იესუ ჰრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“(მათე 22: 37).

„და იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისსა სულითა და ძალითა ელიადსითა მოქცევად გულნი მამათანი შვილთა მიმართ და ურჩნი გონებითა მართალთადათა განმზადებად უფლისა ერი მომზადებული“(ლუკა 1: 17).

„ჰყო სიმტკიცე მკლავითა თვისითა; განაზნინა ამპარტავანნი გონებითა გულთა მათთადათა“(ლუკა 1: 51).

4. „მიუგონ“ სიტყვა ნიშნავს - პასუხის გაცემას, გასაუბრებას. გონ- ძირით ნაწარმოები **ორმოცდაათი** სიტყვიდან იგი მხოლოდ **ორ** მაგალითში გვხვდება.მაგ.:

„მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშვიერი ანუ წყურთელი, ანუ უცხოებასა, ანუ შიშულოებასა, ანუ უძლურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გამსახურეთ შენ?“(მათე 25: 44).

„მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშვიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურთელი და გასუთ შენ?“(მათე 25: 37).

5. ყურადღებას იპყრობს სიტყვა საგონებელი, რომელიც ერთადერთ მაგალითშია გამოყენებული:

„და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ იყო ძედ იოსებისა, ელისა“(მათე 3: 23).

სიტყვა „საგონებელი“ გამოიყენება თანამედროვე მეტყელებშიც. მნიშვნელოვანია ის, რომ მისი სემანტიკა გაფართოვდა. „საგონებელი“ აღნიშნავს სადარდებელს, ჯავრს.

მაგალითებიდან ჩვენ ამოვკრიბეთ ყველა ფუძე, რომელიც გონ- ძირით იწარმოება და შევადგინეთ სკალა, რომელზედაც გამოსახულია გონ- ძირით ნაწარმოებ სიტყვათა გამოყენების სიხშირე გიორგი მათაწმინდელისეულ სახარების ტექსტში:

ჰგონებთ, ჰგონებთ, ჰგონებდ, გონიერსა, ჰგონებთ, გგონიე, ჰგონებ, ჰგონებთ, ჰგონებ-
 დეს, ჰგონებთ, გონებითა, ჰგონებთ, ჰგონებდეთ, მიუგონ, მიუგონ, ჰგონებ, გონიერი,
 ჰგონებდეს, , ჰგონებდ, გონებითა, გონიერად, გონებითა, გონებითა, ჰგონებდეს, ჰგონ-
 ებთ, საგონებელ, ვჰგონებ, გონიეს, გონიერი, ვჰგონიე, გგონიე, გონებითა, გგონიეს,
 ჰგონ-ებდეთ, გონიერი, ჰგონებთ, გგონიეს, ჰგონებთ, გონიერად, ვჰგონებ, ჰგონებდეს,
 ეგონა, გონებანი, ჰგონებთ, ჰგონებთ, ჰგონებთ, ჰგონებთ, ჰგონებდეს, ეგონა, ვგონებ.

სულ 50 ლექსიკური ერთეული იქნა მოძიებული, აქედან


ეგონა გამოიყენება - 35 მაგალითში

გონიერი - 4 მაგალითში

ჰგუნას აღნიშნავს - 4 მაგალითში

მიუგო - 2 მაგალითში


საგონებელი - 1 მაგალითში



ზაჩანა ბრეგვაძისეულ სახარების თარგმანში **გონ-** ძირით ნაწარმოებ სიტყვათა გამოყენების შემთხვევები შესამჩნევად გაზრდილია. ჩვენ ამოვკრიბეთ ყველა ეს მაგალითი, რათა გამოვყოთ ამ სიტყვის სემანტიკური ბუდე თანამედროვე თარგმანში და ასევე მოვახდინოთ შეპირისპირება მთაწმინდელისეულ თარგმანთან.

ბ) გონ- ძირის სემანტიკური დიაპაზონი ბ.ბრეგვაძის თარგმნილ სახარებაში .

სახარების ახალ თარგმანში გონ ძირის სემანტიკური ბუდე შემდეგნაირად გამოიყურება:



თუ შევაპირისპირებთ გონ- ძირის სემანტიკურ ჯგუფს მთაწმინდელის და ბრეგვაძის თარგმანებში, დავინახავთ, რომ ამ ფუძიდან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკური არეალი ძალიან გაზრდილია, თითქმის ოთხჯერ მეტი სიტყვაა დაფიქსირებული ახალ თარგმანში, ძველთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა საგონებელი ახალ თარგმანში აღარ გვხვდება, იგი ჩანაცვლებულია სიტყვით „ფიქრი“:

მთაწმინდელთან :

„და თავადას იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ იყო ძედ იოსებისა, ელისა“ (ლუკა 3: 23).

ბრეგვაძესთან :

„თვით იესო, როცა იწყებდა, იქნებოდა ოცდაათი წლისა და, როგორც ფიქრობდნენ, იყო ძე იოსებისა“ (ლუკა 3: 23).

ჩვენთვის საინტერესო იყო, დავკვირვებოდით სიტყვათა ჩანაცვლებას საანალიზო თარგმანებში. როგორც აღვნიშნეთ, გონ- ძირით ნაწარმოებ სიტყვათა გამოყენების შემთხვევები ახალ (იგულისხმება ბ.ბრეგვაძის) თარგმანში უფრო ხშირია.

მოცემულ მაგალითებში მთაწმინდელთან **ესმა** სიტყვა ბრეგვაძესთან თარგმნილია ასე - **გაგონებისას, გაიგონეს**. მაგ.:

მთაწმინდელთან:

„მრავალთა უკუე მოწაფეთა მისთაგანთა **ესმა** ესე და იტყოდეს: ფიცხელ არს სიტყუად ესე: ვის ჰელ-წიფების სმენად მისა?“ (იოანე 6: 60).

„და **ესმა** ფარისეველთა ერისა მის დრტუნვაჲ მისთჳს. და მიავლინნეს მღდელო-მომღუართა მათ და ფარისეველთა მსახურნი, რადთა შეიპყრან იგი“ (იოანე 7: 32).

ბრეგვაძესთან:

„ეს მითქმა-მოთქმა რომ **გაიგონეს** ხალხში, ფარისევლებმა და მღვდელმთავრებმა მსახურები გაგზავნეს მის შესაპყრობად“ (იოანე 7: 32).

„ბევრმა მისმა მოწაფემ ამის **გაგონებისას** თქვა: მკაცრია ეს სიტყვა; ვის შეუძლია მისი მოსმენა?“ (იოანე 6: 60).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **გონ-** ძირით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გვხვდება მთაწმინდელისეულ თარგმანში, სემანტიკურად უცვლელია ბრეგვაძესთანაც. მაგ.:

ბრეგვაძესთან:

„**ნუ გგონიათ**, რომ შეგიძლიათ უთხრათ თქვენს თავს: მამად გვივისო აბრაამი; რადგანაც გეუბნებით თქვენ: ღმერთს ხელეწიფება თვით ამ ქვათაგანაც აღუდგინოს მენი აბრაამს“ (მათე 3: 9).

„**ნუ გგონიათ**, თითქოს მოვედი რჯულის, გინდა წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად. გასაუქმებლად კი არ მოვედი, არამედ აღსასრულებლად“ (მათე 5: 17).

„და ის ივლის მის წინაშე ელიას სულით და ძალით, რომ მოაქციოს მამათა გულები შვილთა მიმართ, ხოლო ურჩნი **მართალთა გონებაზე** და წარუდგინოს უფალს მომზადებული ხალხი“ (ლუკა 1: 17).

„**ეგონათ**, რომ მგზავრთა შორის იყო და ერთი დღის გზა რომ გაიარეს, დაუწყეს ძებნა ნათესავებსა და ნაცნობებს შორის“ (ლუკა 2:44).

„გამოვიდნენ მომხდარის სანახავად. მოვიდნენ იესოსთან და ნახეს კაცი, რომლისგანაც გავიდნენ ეშმაკები. იგი შემოსილი და **გონსმოგებული** იჯდა იესოს ფერხთით, და შეეშინდათ“ (ლუკა 8: 35).

მთაწმინდელთან:

„და ნუ ჰგონებთ და იტყვით თავით თქსით: მამად გვვის ჩუენ აბრაჰამი. რამეთუ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაჰამისა“ (მათე 3: 9).

„ნუ ჰგონებთ ვითარმედ მოვედ დაქსნად სჯულისა გინა წინასწარმეტყველთა; არა მოვედ დაქსნად, არამედ აღსრულებად“ (მათე 5: 17).

„და იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისსა სულითა და ძალითა ელიადსითა მოქცევად გულნი მამათანი შვილთა მიმართ და ურჩნი გონებითა მართალთადათა განმზადებად უფლისა ერი მომზადებული“ (ლუკა 1: 17).

„ჰგონებდეს მისა, ვითარმედ მოგზაურთა თანა არს იგი. და მოვიდეს დღისა ერთისა გზასა და ეძიებდეს მას ნათესავთა შორის და მეცნიერთა“ (ლუკა 2: 44).

„და გამოვიდეს ხილვად, რომელი-იგი იქმნა, და მოვიდეს იესუმსა და იხილეს კაცი იგი მჯდომარე, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყვნეს, შემოსილი და გონიერი, ფერჯთა თანა იესუმსთა, და შეეშინა“ (ლუკა 8: 35).

გონ- ძირით ნაწარმოზ ლექსიკურ ერთეულებზე დაკვირვებამ ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მსჯელობისკენ წაგვიყვანა, თუმცა ასევე საინტერესოა სხვა „გონიერების“ აღმნიშვნელ სიტყვებზე დაკვირვებაც, რომელიც ჩვენი კვლევის საგანია.

ბრეგვაძისეულ თარგმანში **გონ-** ძირით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები მრავალფეროვან სემანტიკურ-კონოტაციურ ჯგუფს ქმნიან:

1. როცა გონება - რაიმე ვარაუდს აღნიშნავს:

„ნუ გგონიათ, რომ შეგიძლიათ უთხრათ თქვენს თავს: მამად გვივისო აბრაამი; რადგანაც გეუბნებით თქვენ: ღმერთს ხელეწიფება თვით ამ ქვათაგანაც აღუდგინოს ძენი აბრაამს“ (მათე 3: 9).

„ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი რჯულის, გინდა წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად. გასაუქმებლად კი არ მოვედი, არამედ აღსასრულებლად“ (მათე 5: 17).

„ხოლო ლოცვისას ნუ იტყვით ზედმეტს, წარმართთა მსგავსად, რომელთაც ჰგონიათ, რომ სიტყვამრავლობის გამო შესმენილ იქნებიან“ (მათე 6: 7) .

„ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი, რათა მშვიდობა მომეტანა ამ ქვეყნად; მშვიდობის მომეტანად კი არ მოვედი, არამედ მახვილისა“ (მათე 10: 34).

„მათ მიუგეს: ზოგს იოანე ნათლისმცემელი **ჰგონიხარ**, ზოგს-ელია, ზოგს - იერემია თუ ერთ-ერთი წინასწარმეტყველი“ (მათე 16:14).

„კვლავ ჰკითხა მათ: თქვენ თვითონ ვინღა **გგონივართ** მე?“ (მათე 16: 15).

„მან მიუგო: დიახ. და როდესაც შევიდა სახლში, იესომ დაასწრო და ჰკითხა: როგორ **გგონია**, სიმონ? ვისგან კრებენ მიწიერი მეფენი ხარკს და ბეგარას: თავიანთ შვილთაგან თუ უცხოთაგან?“ (მათე 17: 25).

„როგორ **გგონიათ**, კაცს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთი მათგანი დაეკარგოს, განა არ მიატოვებს მთაში ოთხმოცდაცხრამეტს, და არ წავა დაკარგულის საძებნად?“ (მათე 18: 12) „მოვიდნენ პირველნიც და **ეგონათ**, უფრო მეტი მოგვიწევსო, მაგრამ მათაც თითო დინარი მიიღეს“ (მათე 20: 10).

„მაშ, გვითხარი: როგორ **გგონია**, გვმართებს თუ არა ხარკი ვაძლიოთ კეისარს?“ (მათე 22: 17).

„ან იქნებ **გგონია**, რომ არ შემიძლია შევევედრო მამას ჩემსას, და წარმომიდგენს ანგელოზთა თორმეტ ლეგიონს და უფრო მეტსაც“ (მათე 26: 53).

„ხოლო მათ, ზღვაზე მომავალი რომ დაინახეს, მოჩვენება **ეგონათ** და ყვირილი მორთეს.“ (მარკოზი 6: 49).

„წავიდნენ იესო და მისი მოწაფეები ფილიპეს კესარიის სოფლებში, და გზაში ჰკითხა მათ: რას ამბობს ხალხი, ვინ **გგონივართ** მე?“ (მარკოზი 8: 27).

„კვლავ ჰკითხა მათ: თქვენ თვითონ ვინღა **გგონივართ**? მიუგო პეტრემ და უთხრა მას: შენა ხარ ქრისტე“ (მარკოზი 8: 29).

„ერთი საყვარელი ძეც ჰყავდა; ბოლოს ის გაგზავნა მათთან, რადგან **ეგონა**, ჩემი ძის მაინც მოერიდებათ“ (ლუკა 12: 6).

„**ეგონათ**, რომ მგზავრთა შორის იყო და ერთი დღის გზა რომ გაიარეს, დაუწყეს ძებნა ნათესავებსა და ნაცნობებს შორის“ (ლუკა 2: 44).

„ამიტომ დაუკვირდით, როგორ ისმენთ: ვისაც აქვს, მას მიეცემა. ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაც **ჰგონია**, რომ ექნება“ (ლუკა 8: 18).

„**გგონიათ**, ვითომ ქვეყნად მშვიდობის მოსაფენად მოვედი? არა, გეუბნებით თქვენ: გასაყოფად“ (ლუკა 12: 51).

„მიუგო იესომ და უთხრა მათ: „თქვენ **გგონიათ**, ვითომ ეს გალილეელები ყველა გალილეელზე უფრო ცოდვილები იყვნენ, ასე რომ ევნენ?“ (ლუკა 13: 2).

„ან რა გგონიათ, ის თვრამეტი კაცი, რომელთაც შილოახის კოშკი დაეცა ზედ და ამოწყვიტა, უფრო დამნაშავენი იყვნენ, ვიდრე ყველა ის ადამიანი, იერუსალიმში რომ ცხოვრობს?“ (ლუკა 13: 4).

„ნუთუ მადლობას ეტყვის მონას იმისათვის, რომ მისი ბრძანება შეასრულა? არა მგონია.“ (ლუკა 17: 9).

„როცა ისინი ისმენდნენ ამას, მან დაურთო იგავი, რადგან ახლოს იყო იერუსალიმთან და მათ ეგონათ, უცრივ გამოჩნდებოდა ღვთის სასუფეველი“ (ლუკა 19: 11).

„შეძრწუნებულებსა და შეშინებულებს ეგონათ, რომ სულს ხედავდნენ“ (ლუკა 24: 37).

„წერილთა სიღრმეს იკვლევთ, რადგან გგონიათ, რომ მათში გაქვთ საუკუნო სიცოცხლე. მაგრამ სწორედ ისინი მოწმობენ ჩემთვის“ (იოანე 5: 39).

„ნუ გგონიათ, რომ ბრალს დაგდებთ მამის წინაშე; თქვენი ბრალმდებელი არის მოსე, ვისი იმედიცა გაქვთ“ (იოანე 5: 45).

„ნუთუ შენ უფრო მეტი ხარ, ვიდრე მამაჩვენი აბრაამი, რომელიც მოკვდა? და წინასწარმეტყველნიც მოკვდნენ. ვინ გგონია შენი თავი?“ (იოანე 8: 53).

„მაგრამ იესო მის სიკვდილს გულისხმობდა, მათ კი ეგონათ, რომ ძილით მიძინებაზე იტყოდა ამას“ (იოანე 11: 13).

„ემებდნენ იესოს და ტაძარში მდგომნი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: როგორ გგონიათ, მოვა თუ არა დღესასწაულზე?“ (იოანე 11: 56).

„გამოგყრიან სინაგოგებიდან; აჰა, მოდის დრო, როცა თქვენს ყველა მკვლელს ეგონება, რომ ამით ემსახურება ღმერთს“ (იოანე 16: 2).

„უთხრა მას იესომ: ქალო, რად სტირი, ვის ემებ? მას მეზაღე ეგონა და უთხრა: ბატონო, თუ შენ წაიღე იგი, მითხარი, სად დაასვენე, და მე წამოვიღებ“ (იოანე 20: 15).

„ბევრი სხვა რამეც მოიმოქმედა იესომ, მაგრამ ყველაფერი სათითაოდ რომ დაწერილიყო, ვგონებ, ქვეყანაც ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს“ (იოანე 21: 25).

2. გაგონების, მოსმენის მნიშვნელობით:

„ეს რომ გაიგონა, გაუკვირდა იესოს და უთხრა უკან მომავალთ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისრაელშიც არ შევხვედრივარ ამნაირ რწმენას“ (მათე 7: 10).

„ეს რომ გაიგონა, გაუკვირდა იესოს და უთხრა უკან მომავალთ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ისრაელშიც არ შევხვედრივარ ამნაირ რწმენას“ (მათე 8: 10).

„ხოლო ამის **გამგონე** ფარისევლები ამბობდნენ: ეს თუ ეშმაკებს აძევენ, მხოლოდ ეშმაკთა მთავრის, ბელზებულის შეწევნითო“ (მათე 12: 24).

„და აჰა, ორი ბრმა იჯდა გზის პირას, და როდესაც **გაიგონეს**, იესო მოდისო, აყვირდნენ და თქვეს: შეგვიწყალე ჩვენ, უფალო, დავითის ძეო!“ (მათე 20: 30).

„ეს რომ **გაიგონეს**, განცვიფრდნენ ისინი, მიატოვეს ის და წავიდნენ“ (მათე 22: 22).

„ზოგიერთმა იქ მდგომმა **გაიგონა** ეს და თქვა, ელიას უხმობსო“ (მათე 27: 47).

„ეს რომ **გაიგონა**, იესომ უთხრა მათ: კარგად მყოფთ კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფთ: მართალთა სახმობლად კი არ მოვედი, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მარკოზი 2: 17).

„ხოლო იესომ ამ სიტყვების **გაგონებისთანავე** უთხრა სინაგოგის წინამძღვარს: ნუ გეშინია, შენ მხოლოდ გწამდეს“ (მარკოზი 5: 36).

„მაგრამ იესომ უთხრა: მაცალე, ჯერ დავაძლო შვილები; სად **გაგონილა**, შვილებს წაართვა და ძაღლებს მიუგდო პური“ (მარკოზი 7: 27).

„როცა **გაიგონა**, იესო ნაზარეველიაო, ყვირილი მორთო: იესო, დავითის ძეო, შემეწყალე მე!“ (მარკოზი 10: 47).

„და უთხრა მას: აღარავის ეგემოს შენი ნაყოფი უკუნისამდე! და **გაიგონეს** ეს მისმა მოწაფეებმა“ (მარკოზი 11: 14).

„**გაიგონეს** ეს მწიგნობრებმა და მღვდელმთავრებმა და ეძებდნენ ხერხს მის დასაღუპად, რადგანაც ეშინოდათ მისი, ვინაიდან მთელ ხალხს უკვირდა მისი მოძღვრება“ (მარკოზი 11: 18).

„მოვიდა ერთი მწიგნობართაგანი, რომელმაც **გაიგონა** მათი კამათი და მიხვდა, რომ კარგად მიუგო მათ, და ჰკითხა იესოს: რომელია უპირველესი მცნება?“ (მარკოზი 12: 28).

„ზოგიერთმა იქ მდგომმა **გაიგონა** ეს და თქვა: აჰა, ელიას უხმობსო“ (ლუკა 15: 35).

„ყველას **გასაგონად** კი ასე თქვა: „თუ ვინმეს სურს გამომყვეს, უარყოს თავისი თავი, ყოველდღე იტვირთავდეს თავის ჯვარს და მომყვებოდეს“ (ლუკა 9: 23).

„ეს რომ **გაიგონა** ერთმა მასთან მჯდომმა, უთხრა მას: „ნეტარია, ვინც ჭამს პურს ღვთის სასუფეველში“ (ლუკა 14: 15).

„თქვა უფალმა: „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენაც რომ გქონდეთ და უთხრათ ამ ლელვის ხეს: აღმოიფხვერი და ზღვაში გადაინერგეო, **გაგონებდათ**“ (ლუკა 17: 6).

„ამის **გაგონებაზე** იგი დაღონდა, რადგან ძალიან მდიდარი იყო“ (ლუკა 18: 23).

„გამვლელი ხალხის ხმა გაიგონა და იკითხა: „რა ამბავია?“ (ლუკა 18: 36).

„პილატემ ეს რომ გაიგონა, იკითხა: „განა გალილეელია ეს კაცი?“ (ლუკა 23: 6).

„ჰეროდემ, იესო რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა, რადგან დიდი ხნიდან სურდა მისი ხილვა, რაკი გაგონილი ჰქონდა მასზე და იმედი ჰქონდა, რაიმე სასწაულს ნახავდა მისგან“ (ლუკა 23: 8).

„ამის გაგონებაზე ორივე მოწაფე იესოს გაჰყვა“ (იოანე 1: 37).

„ხოლო ამ ორთაგან ერთი, იოანესგან რომ გაიგონა იესოს სახელი და გაჰყვა მას, ანდრია, სიმონ-პეტრეს ძმა იყო“ (იოანე 1: 40).

„ვისაც სასძლო ჰყავს, სიძეა; ხოლო სიძის მეგობარი, ვინც დგას და ესმის მისი, სიხარულით ხარობს სიძის ხმის გაგონებისას; სწორედ ეს სიხარული აღსრულდა ჩემი“ (იოანე 3: 29).

„ბევრმა მისმა მოწაფემ ამის გაგონებისას თქვა: მკაცრია ეს სიტყვა; ვის შეუძლია მისი მოსმენა?“ (იოანე 6: 60).

„ეს მითქმა-მითქმა რომ გაიგონეს ხალხში, ფარისევლებმა და მღვდელმთავრებმა მსახურები გაგზავნეს მის შესაპყრობად“ (იოანე 7: 32).

„ამის გაგონებაზე ბევრმა თქვა ხალხში: ჭეშმარიტად ეს არის წინასწარმეტყველი“ (იოანე 7: 40).

„ხოლო ისინი, ამ სიტყვების გაგონებისას, უხუცესებიდან მოყოლებული, სათითაოდ გაიკრიფნენ. დარჩა მარტო იესო და შუაში მდგომარე ქალი“ (იოანე 8:9).

„სად გაგონილა, რომ ვინმეს თვალი აეხილოს ბრმადშობილისთვის?“ (იოანე 9: 32).

„ეს რომ გაიგონეს, მასთან მყოფმა ფარისევლებმა უთხრეს: ნუთუ ჩვენც ბრმები ვართ?“ (იოანე 9: 40).

„ხოლო ის, ამის გაგონებისთანავე, ადგა და მისკენ გასწია“ (იოანე 11: 29).

„მე კი ვიცოდი, რომ ყოველთვის მისმენ, მაგრამ ეს ირგვლივ მდგომი ხალხის გასაგონად ვთქვი, რათა ირწმუნონ, რომ შენ მომავლინე“ (იოანე 11: 42).

„ხოლო გაიგონეთ, რაც გითხარით: მე მივდივარ და კვლავ მოვალ თქვენთან. რომ გიყვარდეთ, გაიხარებდით, რადგანაც ვთქვი: მამასთან მივდივარ-მეთქი. ვინაიდან მამა ჩემზე უმეტესია“ (იოანე 14: 28).

„ეს სიტყვა რომ გაიგონა პილატემ, უფრო შეშინდა“ (იოანე 19: 8).

„ეს სიტყვა რომ **გაიგონა**, პილატემ გარეთ გამოიყვანა იესო და სამსჯავრო ტახტზე დაჯდა იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია ქვაფენილი, ხოლო ებრაულად - გაბათა“ (იოანე 19: 13).

„ხოლო მოწაფემ, რომელიც უყვარდა იესოს, პეტრეს უთხრა: ეს უფალია! სიმონ-პეტრემ კი, როცა **გაიგონა**, უფალიაო, მოსასხამი შემოიხვია, რადგანაც შიშველი იყო, და ზღვაში გადახტა“ (იოანე 21: 7).

3. როცა „გონება“ გონიერ ადამიანს ნიშნავს:

„ვინ არის ერთგული და **გონიერი** მონა, რომელიც მისმა პატრონმა მიუჩინა თავის მსახურთ, რათა დროულად მისცეს საჭმელი მათ“ (მათე 24: 45).

„ხოლო ხუთი მათგანი **გონიერი** იყო, ხუთი კი-უგუნური“ (მათე 25: 2).

„**გონიერებმა** კი მიუგეს: რომ არ შემოგვაკლდეს ჩვენცა და თქვენც, გიჯობთ წახვიდეთ ვაჭრებთან და იყიდოთ თქვენთვის“ (მათე 25: 9).

„ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, მე გამსგავსებ **გონიერ** კაცს, რომელმაც კლდეზე დააშენა თავისი სახლი“ (მათე 7: 24).

„აჰა, მე გგზავნით თქვენ როგორც ცხვრებს მგლების ხროვაში; მაშ, იყავით **გონიერნი**, როგორც გველები, და უმანკონი, როგორც მტრედები“ (მათე 10: 16).

„იმ ხანად იესომ პასუხად თქვა: გადიდებ, მამაო, ცისა და მიწის უფალო, ვინაიდან ბრძენთა და **გონიერთ** დაუფარე ყოველივე ეს, და გაუცხადე ჩვილ ბალებს“ (მათე 11: 25).

„იმ დროს სულში გაიხარა იესომ და თქვა: „გადიდებ შენ, მამაო, უფალო ცისა და მიწისა, რადგან დაუფარე ეს ბრძენთა და **გონიერთ**, ჩვილებს კი განუცხადე. ჰეი, მამაო, ვინაიდან ასე იყო მოსაწონი შენს წინაშე“ (ლუკა 10: 21).

„უფალმა უთხრა: „ვინ არის ერთგული და **გონიერი** მნე, რომელსაც დააყენებს ბატონი თავის მსახურებზე, რათა დროულად მისცეს მათ ულუფა?“ (ლუკა 12: 42).

4. ჭკუის, გონების მნიშვნელობით:

„ხოლო იესომ მიუგო მას: გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი სულით და მთელი შენი გულით და მთელი შენი **გონებით**“ (მათე 22: 37).

„გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი **გონებით** და მთელი შენი ძალით, - აი, უპირველესი მცნება“ (მარკოზი 12: 30).

„და რომ უნდა გვიყვარდეს იგი მთელი გულით და მთელი სულით და მთელი გონებით და მთელი ძალით; და გვიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი - ეს ყოველგვარ მსხვერპლსა და შესაწირავზე უმეტესია“ (მარკოზი 12: 33).

„როცა იხილა იესომ, რომ **გონივრულად** უპასუხა, მიუგო მას: შორს როდი ხარ ღმრთის სასუფევლისგან. ამის შემდეგ ველარავინ ბედავდა რაიმე ეკითხა მისთვის“ (მარკოზი 12: 34).

„და ის ივლის მის წინაშე ელიას სულით და ძალით, რომ მოაქციოს მამათა გულები შვილთა მიმართ, ხოლო ურჩნი მართალთა **გონებაზე** და წარუდგინოს უფალს მომზადებული ხალხი“ (ლუკა 1: 17).

„და გაოცებული იყო ყველა მისი მსმენელი მისი **გონებითა** და პასუხებით“ (ლუკა 2: 47).

„მაშინ გაუხსნა მათ **გონება** წერილთა გასაგებად“ (ლუკა 2: 45).

5. გახსენების მნიშვნელობით:

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მთელს ქვეყანაზე, სადაც იქადაგება ეს სახარება, ყველგან ითქმება მისი საქმე მისსავე **მოსაგონებლად**“ (მათე 26: 13).

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მთელს ქვეყანაზე, სადაც იქადაგება ეს სახარება, ყველგან ითქმება მისი საქმე მისსავე **მოსაგონებლად**“ (მარკოზი 14: 9).

„ხოლო ნუგეშისმცემელი, სული წმიდა, რომელსაც მამა მოავლენს ჩემი სახელით, გასწავლით და **მოგაგონებთ** ყველაფერს, რაც მე გითხარი“ (იოანე 14: 26).

„მაგრამ ვერაფერი **მოიგონეს**, რა უნდა ექნათ, რადგან მთელი ხალხი მოუშორებლად უსმენდა მას“ (ლუკა 19: 48).

„აიღო პური, მადლი შესწირა, დატეხა, დაურიგა მათ და უთხრა: „ეს ჩემი სხეულია, რომელიც თქვენთვის მიეცემა. ეს გააკეთეთ ჩემს **მოსაგონებლად**“ (ლუკა 22: 19).

6. დარიგების მნიშვნელობით:

„კიდევ ბევრ სხვა რამესაც ახარებდა და **შეაგონებდა** ხალხს“ (ლუკა 3: 18).

„და როდესაც დაასრულა იესომ **შეგონება** თავისი თორმეტი მოწაფის მიმართ, წავიდა იქიდან მათს ქალაქებში სასწავლად და საქადაგებლად“ (მათე 11: 1).

აღსანიშნავია გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის უარყოფითი ფორმა:

„და **უგუნურებმა** უთხრეს გონიერთ: გვიწილადეთ თქვენი ზეთი, ვინაიდან ჩვენი ლამპრები ქრება“ (მათე 25: 8).

გონ- ძირით ნაწარმოები კომპოზიტები:

„მივიდნენ იესოსთან და დაინახეს, რომ ეშმაკეული, რომელსაც ჰყავდა ლეგიონი, ზის ჩაცმულ-დახურული და **გონს მოსული**; და შეძრწუნდნენ“ (მარკოზი 16: 15).

„გამოვიდნენ მომხდარის სანახავად. მოვიდნენ იესოსთან და ნახეს კაცი, რომლისგანაც გავიდნენ ეშმაკები. იგი შემოსილი და **გონსმოგებული** იჯდა იესოს ფერხთით, და შეეშინდათ“ (ლუკა 8: 35).

ცალკე შეიძლება გამოვყოთ **შთაგონებული**, რომელიც გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის არც ერთ სემანტიკურ-კონოტაციურ ჯგუფს არ განეკუთვნება და განსხვავებულია თავისი მნიშვნელობით:

„უთხრა მათ იესომ: კი მაგრამ როგორღა უწოდებს მას სულით **შთაგონებული** დავითი უფალს, როდესაც ამბობს...“ (მათე 22: 43).

5.4. ცან/ცოდნ- ძირის სემანტიკისათვის

გონიერების ამსახველი ლექსიკის კვლევისთვის ჩვენ გამოვყავით **ცან/ცოდნ-ძირები**, რომლებიც, როგორც კვლევამ გვიჩვენა, საკმაოდ ფართოდ გამოიყენება გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ სახარებაში. ჩვენი მიზანია საძიებელ სიტყვათა სამანტიკური ჯგუფების დადგენა, აღნიშნულ ფუძეთა მიხედვით ნაწარმოებ სიტყვათა მნიშვნელობაზე დაკვირვება და მათი შეპირისპირება თანამედროვე თარგმანთან.

ა) **გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ სახარებაში ცან/ცოდნ- ძირებით ნაწარმოები** ლექსიკური ერთეულები საკმაოდ ვრცელ სემანტიკურ ველს ქმნიან:

იცნეს, იცოდნა, იცნოდა, არა იცოდა, მცნებაჲ, მეცნიერთა, არა გიცნი, ცნობად, გიცნა, საცნაურ იყო, ამცნო, უცნობელნო, ვერ იცნან, მეცნიერებაჲ, სჯულის-მეცნიერი;

ცან/ცოდნ-ძირებით ნაწარმოები ლექსემები შეგვიძლია სხვადასხვაგვარად დავაჯგუფოთ, თუმცა საერთო ნიშანი მათ მუდმივად ერთ სემანტიკურ ველში დატოვებს. ჩვენს შემთხვევაში ეს საერთო მახასიათებელია ერთი მხრივ ძირი, მეორე მხრივ კი ადამიანის აზრობრივ ქმედებასთან მუდმივი კავშირი.

ცან/ცოდნ- ძირის სემანტიკურ- კონოტაციური ჯგუფები:

1. ცოდნა გვხვდება უკვე მიღებული ინფორმაციის, ცოდნის მნიშვნელობით :

გიორგი მთაწმინდელი:

„**იგოდნა** იესუ ზრახვანი იგი გულისა მათისანი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი განევლთის თავსა თვსსა, მოოჯრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევლთის თავსა თვსსა, ვერ დაემტკიცოს“ (იოანე 12: 25).

„და განკურნნა ყოველნი ბოროტთაგან სენთა და თითო-სახეთაგან სნეულებათა და ეშმაკნი მრავალნი განასხნა და არა უტევებდა სიტყუად ეშმაკთა მათ, რამეთუ **იგოდეს** იგი, ვითარმედ ქრისტე არს“ (მარკოზი 1: 34).

„რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა და **იგოდა** იგი, რამეთუ კაცი მართალი და წმიდაჲ არს, და სცვიდა მას და ისმინის მისი და მრავალსა პატივსა უყოფდა და ჯეროვნად ისმენდა მისსა“ (მარკოზი 6: 20).

„რამეთუ **იგოდა**, ვითარმედ შურითა მისცეს იგი მღდელთა-მომღუართა მათ“ (მარკოზი 15: 10).

„ხოლო იესუ **იგნოდა** გულის ზრახვანი მათნი და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი წინაშე მათსა“ (ლუკა 9: 47).

„ხოლო თავადმან **იგნოდა** ზრახვანი მათნი და ჰრქუა კაცსა მას, რომელსა კელი განჰმელ ედგა: აღდეგ და წარმოდეგ შორის! ხოლო იგი აღდგა და დადგა შორის“ (ლუკა 6: 8).

„ხოლო იესუ **იგნოდა** გულის ზრახვანი მათნი და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი წინაშე მათსა“ (ლუკა 9: 47).

„ხოლო თავადმან **იგნოდა** ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი თავსა თვსსა განევლთის, მოოჯრდის, და სახლი სახლსა ზედა დაეცის“ (ლუკა 11: 17).

„რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოვანესა და **იგოდა** იგი, რამეთუ კაცი მართალი და წმიდაჲ არს, და სცვიდა მას და ისმინის მისი და მრავალსა პატივსა უყოფდა და ჯეროვნად ისმენდა მისსა“ (მარკოზი 6: 20).

„და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა ამის, რამეთუ ყოველთა **იგოდეს** იოვანე, ვითარმედ ჭემმარიტად წინაღსწარმეტყუელი იყო“ (მარკოზი 11: 32).

„ხოლო თავადმან **იგოდა** ორგულეებაჲ მათი და ჰრქუა მათ: რაჲსა გამომცდით მე? მომართვთ მე დრაჰკანი, რაჲთა ვიხილო“ (მარკოზი 12: 15).

„და მოვიდა მისა ერთი მწიგნობართაგანი, ესმოდა რაჲ მათი, ვითარ-იგი გამოეძიებდეს მის თანა, **იგოდა**, რამეთუ კეთილად მიუგო მათ, ჰკითხა მას მანცა, ვითარმედ: რომელი არს ყოველთა პირველი მცნებაჲ?“ (მარკოზი 12: 28).

„და მოიქცა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ, და არარაჲ იცოდეს, რადმცა მიუგეს მას“ (მარკოზი 14: 40)

„მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა ამისთვის სცთებითა, რამეთუ არა იცნით წიგნნი, არცა ძალი ღმრთისაჲ?“ (მარკოზი 12: 24)

2. არცოდნის მნიშვნელობით:

„რამეთუ არა იცოდა, რადმცა მიუგო, რამეთუ იყვნეს შეშინებულ“ (მარკოზი 9: 6)

„და მოიქცა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ, და არარაჲ იცოდეს, რადმცა მიუგეს მას“ (მარკოზი 14: 40).

„მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა ამისთვის სცთებითა, რამეთუ არა იცნით წიგნნი, არცა ძალი ღმრთისაჲ?“ (მარკოზი 12: 24)

გონიერების ამსახველი ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდება სიტყვა **ცნობა**. თანამედროვე ლექსიკაში ამ ცნების მნიშვნელობა დავიწროვდა და იგი აღნიშნავს რაიმე საგნის ან ადამიანის ცნობას დანახვის შემდეგ. გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ სახარებისეულ ტექსტში **ცნობა** გამოიყენება შეცნობის, გაგების, გააზრების, ახალი ინფორმაციის აღქმის მნიშვნელობით. შესაბამისად, ეს ცნება საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს გონიერების ამსახველი ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფში.

3. ცნობა - გაგების, შეცნობის, გააზრების მნიშვნელობით:

„ხოლო მან ჰრქუა მათ: **ჰ უცნობელნო** და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათვის ყოველსა ზედა, რომელსა იტყოდეს წინაწარმეტყუელნი!“ (ლუკა 24: 25).

„რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმლოჲ, რომელი არა **საცნაურ იყოს** და ცხადად მოვიდეს“ (ლუკა 8: 17).

„ხოლო არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა **საცნაურ იყოს**“ (ლუკა 12: 2).

„და იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუმცა გელუკა **ცნა** შენ დღესა ამას მშჯდობად შენდა! ხოლო აწ დაეფარა თუალთაგან შენთა“ (ლუკა 19: 42).

„ხოლო იესუ ჰრქუა: შე-ვინმე-მნახო მე, რამეთუ მე **ვცან** ძალი, განსრული ჩემგან“ (ლუკა 8: 46).

„მიუგო ერთმან მათგანმან, რომლისა სახელი კლეოპა, და ჰრქუა მას: შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალჴმს და არა **სცანა**, რად-ესე იქმნა მას შინა ამათ დღეთა?“ (ლუკა 24: 18).

„რადთა **სცნა**, რომელთათვის-იგი ისწავე სიტყუათა მათ კრძალულებად“ (ლუკა 1: 4).

„და ამცნო მათ, რადთა არავის უთხრან. და რაოდენ იგი ამცნებდა მათ, იგინი უფროდს მიმოდასდებდეს“ (მარკოზი 7: 36)

„და გარდამო-რად-ვიდოდეს მიერ მთით, ამცნო მათ, რადთა არავის უთხრან, რად-იგი იხილეს, გარნა ოდეს ძე კაცისად მკუდრეთით აღდგეს“ (მარკოზი 9: 9).

„ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ვითარ გამცნო თქუენ მოსე?“ (მარკოზი 10: 3).

„და გულისჴმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ: რადსა ჰზრახავთ გულთა თქუენთა, მცირედ-მორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს? არა გიცნობიეს, არცა მოიჴსენეთ, რამეთუ დაბრმობილნი გულნი გქონან თქუენ?“ (მარკოზი 7: 17).

„მამაო მართალო, და სოფელმან შენ არა გიცნა, ხოლო მე გიცან შენ, და მათცა ცნეს, რამეთუ შენ მომავლინე მე“ (იოანე 17: 25).

„ხოლო იგი ეტყოდა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოდ იგი სასუფეველისა ღმრთისად, ხოლო გარეშეთა მათ – ყოველივე იგავით სიტყუად“ (მარკოზი 4: 11).

„და ვითარცა შეეხო, მეყსეულად განჴმა წყაროდ იგი სისხლისად მის, და ცნა ჴორცთაგან, რამეთუ განიკურნა გუემულეებისაგან“ (მარკოზი 5: 29).

„და ამცნო მათ, რადთა არავის უთხრან. და რაოდენ იგი ამცნებდა მათ, იგინი უფროდს მიმოდასდებდეს“ (მარკოზი 7: 36).

„და ეძიებდეს მას შეჴყოზად და ეშინოდა ერისა მისგან, რამეთუ ცნეს, ვითარმედ მათთჴს თქუა იგავი იგი და დაუტევეს“ (მარკოზი 12: 12).

„ხოლო ოდეს იხილოთ სამაგელი იგი მოოჯრებისად, თქუმული დანიელ წინაწარმეტყუელისად, მდგომარე, სადა-იგი არა ჯერ-არს, რომელი-იგი აღმოიკითხვი-დეს, სცნობდინ, მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, ივლტოდედ მთად“

(მარკოზი 13: 14).

„ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოდ სასუფეველისა ღმრთისად, ხოლო სხუათა – იგავით, რადთა ხედვიდენ და ვერ იხილონ და ესმოდის და ვერ გულისჴმა-ყონ“ (ლუკა 8: 10).

„ვითარცა-იგი კაცმან გზად წარმავალმან დაუტევის სახლი თჴსი და მისცის მონათა თჴსთა ჴელმწიფებად და კაცად-კაცადსა საქმე თჴსი და მეკარესა ამცნის, რადთა მღჴმარე იყოს“ (მარკოზი 13: 34).

„ხოლო იესუ ჰრქუა: შე-ვინმე-მახო მე, რამეთუ მე ვცან ძალი, განსრული ჩემგან“

(ლუკა 8: 46).

„რადთა **სცნა**, რომელთათვის-იგი ისწავე სიტყუათა მათ კრძალულება“ (ლუკა 1: 4).

„და ჰრქუა ზაქარია ანგელოზსა მას: რადთა **ვცნა** ესე, რამეთუ მე მოხუცებულ ვარ, და ცოლი ჩემი გარდასრულ არს დღეთა მისთა?“ (ლუკა 1: 18).

„და გამო-რად-ვიდა, ვერ ეძლო სიტყუად მათდა, და **ცნეს**, რამეთუ ჩუენებად რადმე იხილა ტაძარსა მას შინა; და იგი წამ-უყოფდა მათ და დაადგრა უტყუად“ (ლუკა 1: 22).

„და თავადმან **ამცნო** მას, რადთა არავის უთხრას, არამედ: წარვედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე განწმედისა შენისათვის, ვითარცა უბრძანა მოსე, საწამებლად მათ“ (ლუკა 5: 14).

„ხოლო იგი ეტყოდა მათ: თქუენდა მოცემულ არს **ცნობად** საიდუმლოდ იგი სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო გარეშეთა მათ – ყოველივე იგავით სიტყუად“ (მარკოზი 4: 11).

„ვითარცა-იგი კაცმან გზად წარმავალმან დაუტევის სახლი თვისი და მისცის მონათა თვისთა კელმწიფებად და კაცად-კაცადსა საქმე თვისი და მეკარესა **ამცნის**, რადთა მღვდარე იყოს“ (მარკოზი 13: 34).

„და განუკვრდებოდა მამა-დედათა მისთა. ხოლო თავადმან **ამცნო** მათ, რადთა არავის უთხრან საქმე იგი“ (ლუკა 8: 56).

„ხოლო თავადმან შეჰრისხნა მათ და **ამცნო**, რადთა არავის უთხრან ესე“ (ლუკა 9: 21).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს. სიტყვის მრავალმნიშვნელობა დამოკიდებულია სინტაგმატურ და ტექსტობრივ გარემოზე, რაც შინაარსობრივ და კონოტაციურ ვარიაციულობას ანიჭებს მას.

4. ცნობა - რაიმე საგნის ან ადამიანის ცნობის მნიშვნელობით :

„და ჰრქუა მათ: ეგრეთვე თქუენცა უგულისჯმოვე ხართა და არა **გიცნობიეს**, რამეთუ ყოველი გარეშე შემავალი კაცსა არა შეაგინებს?“ (მარკოზი 7: 18).

„მამაო მართალო, და სოფელმან შენ არა **გიცნა**, ხოლო მე გიცან შენ..“ (იოანე 17: 25).

„და ვითარ გამო-ოდენ-ვიდეს მიერ ნავით, მეყსეულად **იცნეს** იგი კაცთა მათ მის ადგილისათა“ (მარკოზი 6: 54).

„ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რადთა **ვერ იცნან** იგი“ (მარკოზი 24: 16).

„ხოლო ოდეს იხილოთ სამაგელი იგი მოოჯრებისად, თქუმული დანიელ წინაწარმეტყუე-ლისად, მდგომარე, სადა-იგი არა ჯერ-არს, რომელი-იგი აღმოიკითხვიდეს, **სცნობდინ**, მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, ივლტოდედ მთად“ (მარკოზი 13: 14).

„და გრქუას: **არა გიცნი**, ვინანი ხართ; განმეშორენით ჩემგან ყოვლნი მოქმედნი უსჯულოებისანი“ (ლუკა 13: 27).

„რამეთუ თითოეული ხც თვისისაგან ნაყოფისა **საცნაურ** არნ; რამეთუ არა ეკალთაგან შეკრიბიან ლედჷ, არცა მაყუალთაგან მოისთულიან ყურძენი“ (ლუკა 6:44).

„ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რადთა **ვერ იცნან** იგი“ (ლუკა 24: 16).

ცან/ცოდნა- ძირით ნაწარმოებ სიტყვათა შორისაა ლექსიკური ერთეულები - **მცნება** და **მეცნიერი**.

5. მცნება სახარების მთაწმინდელისეულ ტექსტში **გვხვდება წესის, დარიგების, რჩევის მნიშვნელობით:**

„და წარვიდეს და მოჰმზადეს საკუმეველი სულნელი და ნელსაცხებელი და შაბათი იგი და-და-იდუმეს **მცნებისა** მისთჷს“ (ლუკა 23: 56).

„და იყვნეს ორნივე ესე წინაშე ღმრთისა მართალ და ვიდოდეს ყოველთა **მცნებათა** სიმართლისა უფლისათა უბიწონი“ (ლუკა 1: 6).

„და დაგიტევებიეს **მცნებად** ღმრთისად და გიპყრიეს მოძღურებად კაცთად: განრცხად სასუმლებისად და სტამნებისად და სხუასა ესევეითარსა მრავალსა ჰყოფთ“ (მარკოზი 7: 8).

„და **ამცნებდა** მათ ფრიად, რადთა არავინ აგრძნას ესე, და უბრძანა მათ, რადთა სცენ მას ჭამადი“ (მარკოზი 5: 43).

„და **ამცნებდა** მათ, რადთა არარად მიიღონ გზასა ზედა, გარნა კუერთხი ხოლო: ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა სარტყელსა რვალი“ (მარკოზი 6: 8).

„მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გულფიცხელობისა თქუენისათჷს დაწერა მოსე **მცნებად** ეგე“ (მარკოზი 10: 5).

„**მცნებანი იცნი**: ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ დააკლებ კეთილის ყოფად, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“ (მარკოზი 10: 19).

„ხოლო იესუ ჰრქუა მას: პირველი ყოველთა **მცნებათად** ესე არს: ისმინე, ისრაჴლ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს“ (მარკოზი 12: 29).

„და იყვნეს ორნივე ესე წინაშე ღმრთისა მართალ და ვიდოდეს ყოველთა მცნებათა სიმართლისა უფლისათა უბიწონი“ (ლუკა 1: 6).

„**მცნებანი იცნი:** ნუ იმრუშებ, ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“ (ლუკა 18: 20).

„და წარვიდეს და მოჰმზადდეს საკუმეველი სულნელი და ნელსაცხებელი და შაბათი იგი და-ღა-იდუმეს **მცნებისა** მისთჳს“ (ლუკა 23: 56).

რაც შეეხება სიტყვა **მეცნიერს**, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მისი მნიშვნელობა არ შეცვლილა. განსახილველ ტექსტში ხშირად გვხვდება „**სჯულის-მეცნიერი**“, რაც ნიშნავს **რჯულის კარგად მცოდნეს**, სწავლულ ადამიანს.

1. ასევე ვიცით, რომ ძველ ქართულში „**მეცნიერი**“ **ნაცნობის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა. მაგ.:**

„ჰგონებდეს მისა, ვითარმედ მოგზაურთა თანა არს იგი. და მოვიდეს დღისა ერთისა გზასა და ეძიებდეს მას ნათესავთა შორის და **მეცნიერთა**“ (ლუკა 2: 44).

„და დგეს ყოველნი **მეცნიერნი** მისნი შორით; და დედანი, რომელნი შეუდგეს მას გალილეადთ, ხედვიდეს მას“ (ლუკა 23: 49).

თუმცა დღეს, თანამედროვე მეტყველებაში ეს მნიშვნელობა მას აღარ აქვს.

2. მეცნიერი - განათლებული, სწავლული ადამიანის, სწავლების მნიშვნელობით:

„მას ჟამსა შინა იხარებდა იესუ სულითა და თქუა: აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და **მეცნიერთა** და გამოუცხადე ესე ჩჩვლთა. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე“ (ლუკა 10: 21).

„და აჰა ესერა **სჯულის-მეცნიერი** ვინმე აღდგა და გამოსცდიდა იესუს და ეტყოდა: მოძღუარ, რად ვქმნე, რადთა ცხორებად საუკუნომ დავიმკვდრო?“ (ლუკა 10: 25).

„მიუგო **სჯულის-მეცნიერმან** ვინმე და ჰრქუა მას: მოძღუარ, მაგას რად იტყჳ, ჩუენცა გუაგინებ“ (ლუკა 11: 45).

„ვად თქუენდა, **სჯულის-მოძღუარნო**, რამეთუ დაჰმალენით **კლიტენი მეცნიერებისანი**; თქუენ არა შე-ხუალთ და შემავალთა აყენებთ“ (ლუკა 11: 52).

„და დღეს ყოველნი **მეცნიერნი** მისნი შორით; და დედანი, რომელნი შეუდგეს მას გალილეადთ, ხედვიდეს მას“ (ლუკა 23: 49).

გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ სახარებაში **გონ**- ძირთან შედარებით **ცან/ცოდნა**- ძირები გაცილებით დიდ ადგილს იკავებენ და მათი გამოყენების არეალიც,


შეიძლება ითქვას, დიდია. **ცნობა** გონიერების ლექსიკის სემანტიკურ ველს განეკუთვნება, თუმცა იგი არ არის ერთმნიშვნელობიანი ცნება სახარების ტექსტში. ჩვენ ვხვდებით სხვა მცნებებსაც: ცოდნა,მეცნიერი, შეცნობა , მცნება... ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან ამოვიწერეთ ყველა ის სიტყვა, რომელიც **ცან/ცოდნა-** ძირების შემცველია:

იცოდნა, ცნეს, გიცნა, მცნებად, იცოდეს, ცნობად, იცნეს, მცნებად, იცოდა, ცნა, გიცნობიეს, მცნებანი, იცნი, ცნა, გიცნობიეს, მცნებანი, იცნი, არა იცოდა, ამცნებდა, ცნობდინ, იცოდეს, ამცნებდა, იცოდა, ამცნო, მცნებათად, მცნებათა, იცოდა, გამცნო, ცნობად, მეცნიერებად, იცოდეს, არა გიცნი, იცოდა, ცნეს, მცნებისა, იცნით, ვცან, ვერ იცნან, ოცნოდა, სცნა, იცნეს, იცნოდა, ცნეს, იცნოდა, ამცნა, მცნებანი, იცნი, არა საცნაურ იყოს, ამცნო, ამცნო, საცნაურ არს, საცნაურ იყოს, უცნობელნო, მეცნიერთა, მეცნიერთა, სჯულის მეცნიერნი, სჯულის მეცნიერმან, სჯულის მოძღვარნო, კლიტენი მეცნიერებისანი.

დავადგინეთ **ცან/ცოდნა-** ძირით ნაწარმოებ სიტყვათა გამოყენების სავარაუდო სიხშირე გიორგი მთაწმინდელისეულ სახარების ტექსტში. დაკვირვებამ გვიჩვენა , რომ 59 ლექსიკური ერთეულიდან რომლებიც **ცან/ცოდნ-** ფუძეებით არიან ნაწარმოები, სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება შემდეგი სიხშირით :

ცოდნა - 16 მაგალითი, **შეცნობა** - 20 მაგალითი, **ცნობა** - 7 მაგალითი,
მცნება - 11 მაგალითი, **მეცნიერი** - 5 მაგალითი.

ეს თანაფარდობა სკალაზე შემდეგნაირად გამოისახა:



ბ) ბ. ბრეგვადის თარგმანში ცან/ცოდნა- ძირით ნაწარმოები ფორმები საკმაოდ დიდ ლექსიკურ სივრცეს ქმნის. გონიერების ამსახველი ლექსიკის ჯგუფში შედის ამ ფუძეებით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები. ბრეგვადისეული თარგმანიდან ამოვკრიბეთ ყველა ციტატა, რომელიც მოიცავდა საძიებელ ლექსიკას, მიღებული მასალის წარმოდგენა აუცილებლად მივიჩნიეთ, რათა შევძლოთ შედარება-შეპირისპირება ძველი და ახალი თარგმანისა და ასევე მასალაზე დაკვირვებით დასკვნების გამოტანა.

გონიერების ამსახველი **ლექსიკის სემანტიკური ბუდე**, რომელსაც **ცან/ცოდნ-** ძირით ნაწარმოები სიტყვები ქმნიან, **ბრეგვადისეულ** თარგმანში გაცილებით ვრცელია და შემდეგნაირად გამოიყურება:

შეცნობა, ცნობა, შეიმეცნეთ, ცნობილი, გამოცნობა, გიცანი, ვერ გიცნო, იცოდა, არ იცოდნენ, მცნება, მცნებაზეა, მცოდნე, ცოდნა, მცოდნემ, ცნეს, არ ცნით, ემცნოთ.

საინტერესო იქნება აღნიშნოს ის ფაქტი, რომ სიტყვა „**მეცნიერი**“ ბრეგვადისეულ თარგმანში აღარ გვხვდება. ჩვენ დავინტერესდით რომელი სიტყვით იქნა ჩანაცვლებული აღნიშნული ლექსიკური ერთეული და გაირკვა, რომ ბრეგვადისეულ თარგმანში იგი **ჩანაცვლებულია** სიტყვით „**გონიერი**“, „**მცოდნე**“.

მთაწმინდელთან:

„მას ჟამსა შინა იტყოდა იესუ და თქუა: ადგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და **მეცნიერთა** და გამოუცხადე ესე ჩჳლთა“ (ლუკა 10: 21).

„და აჰა ესერა **სჯულის-მეცნიერი** ვინმე აღდგა და გამოსცდიდა იესუს და ეტყოდა: მოძღუარ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკვიდრო?“ (ლუკა 10: 25).

„მიუგო **სჯულის-მეცნიერმან** ვინმე და ჰრქუა მას: მოძღუარ, მაგას რაჲ იტყჳ, ჩუენცა გუაგინებ“ (ლუკა 11: 45).

ბრეგვადესთან:

„იმ ხანად იესომ პასუხად თქვა: გადიდებ, მამაო, ცისა და მიწის უფალო, ვინაიდან ბრძენთა და **გონიერთ** დაუფარე ყოველივე ეს, და გაუცხადე ჩვილ ბალებს“ (ლუკა 10: 21).

„აჰა, ერთი **რჯულის მცოდნე**, წამოდგა და გამოსაცდელად თქვა: „რა უნდა გავაკეთო, მოძღვარო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“ (ლუკა 10: 25).

„ამაზე ერთ-ერთმა რჯულის მცოდნემ უთხრა: „მოდდვარო, ამას რომ ამბობ, ამით ჩვენც გვაყენებ შეურაცხყოფას“ (ლუკა 11: 45).

ცან/ცოდნა- ძირით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები, ბრეგვამისეულ თარგმანში სემანტიკურ-კონოტაციური თვალსაზრისით რამდენიმე ჯგუფს ქმნიან:

1. ცოდნის მნიშვნელობით:

„როცა თამადამ გემო გაუსინჯა ღვინოდ ქცეულ წყალს (თუმცა მან არ იცოდა, როგორ მოხდა ეს: იცოდნენ მხოლოდ მსახურებმა, რომლებმაც ამოიღეს წყალი), მოუხმო სიძეს“ (იოანე 8: 9).

„რადგან ჯერ კიდევ არ იცოდნენ წერილი, რომ მკვდრეთით უნდა აღმდგარიყო“ (იოანე 20: 9).

„უთხრა მათ იესომ: მოდით, ისაუზმეთ. ხოლო მოწაფეთაგან ვერავინ გაბედა ეკითხა მისთვის, ვინ ხარო, რადგან იცოდნენ, რომ უფალი იყო“ (იოანე 21: 12).

„ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: იმიტომ, რომ თქვენ მოგეცათ ცათა სასუფეველის საიდუმლოთა ცოდნა, ხოლო ამათ არ მისცემია“ (მათე 13: 11).

„და უთხრა მათ: თქვენ მოგეცათ ღმრთის სასუფეველის საიდუმლოთა ცოდნა, ხოლო გარეშეთათვის ყველაფერი იგავში ხდება“ (მარკოზი 4: 11).

„როცა დაბრუნდა, კვლავინდებურად მძინარენი ნახა ისინი, ვინაიდან თვალები დამძიმებოდათ, და არ იცოდნენ, რა მიეგოთ მისთვის“ (მარკოზი 14: 40).

„რომ მისცე მის ხალხს ხსნის ცოდნა მათი ცოდვების მიტევებით“ (ლუკა 1: 77).

„ხოლო დღესასწაულის დამთავრების შემდეგ, უკან რომ დაბრუნდნენ, ყრმა იესო დარჩა იერუსალიმში, და არ იცოდნენ იოსებმა და მისმა დედამ“ (ლუკა 2: 43).

„ბევრისგან ეშმაკებიც გამოდიოდნენ, ყვიროდნენ და ამბობდნენ: „შენ ხარ ქრისტე, ძე ღვთისა!“ ის კი რისხავდა და უკრძალავდა ლაპარაკს, რადგან იცოდნენ მათ, რომ ქრისტეა იგი“ (ლუკა 4: 41).

„ისინი კი დასცინოდნენ მას, ვინაიდან იცოდნენ, რომ მკვდარი იყო. ხელი ხელში ჩასჭიდა, შესძახა და თქვა: „გოგონავ, ადექ!“ (ლუკა 8: 53).

„და თქვა: „ნეტავ ამ დღეს მაინც გცოდნოდა, რაც სამშვიდობოა შენთვის, მაგრამ ახლა ეს დაფარულია შენს თვალთაგან“ (ლუკა 19: 42).

2. შეცნობის, გაგების, გააზრების მნიშვნელობით:

„ხოლო იესომ მყისვე **შეიცნო** სულით, რასაც ფიქრობდნენ, და უთხრა მათ: რად ფიქრობთ მაგას თქვენს გულში?“ (მარკოზი 2: 8).

„მოუხმო ხალხს და უთხრა: მისმინეთ ყველამ და **შეიმეცნეთ**“ (მარკოზი 7: 14).

„მოუხმო ხალხს და უთხრა: ისმინეთ და **შეიმეცნეთ**“ (მათე 15: 10).

„თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ასრულებთ იმას, რაც **გამცნეთ**?“ (იოანე 15: 14)

„მაგრამ რათა გაიგოს ქვეყანამ, რომ მიყვარს მამა, და როგორც მამამ **მამცნო**, ისე ვაკეთებ: ადექით, წავიდეთ“ (იოანე 14: 31).

„იმ დღეს **შეიცნობთ**, რომ მე მამაში ვარ, თქვენ კი - ჩემში, ხოლო მე - თქვენში“ (იოანე 14: 20).

„ჩვენ ვიწამეთ და **შევიცანით**, რომ შენა ხარ ქრისტე, მე ცოცხალი ღმრთისა.“ (იოანე 6: 69).

„ვისაც სურს აღასრულოს მისი ნება, **შეიცნობს**, ვისია ეს მოძღვრება: ღმრთისაგან არის თუ ჩემით ვლაპარაკობ.“ (იოანე 6: 17)

(იოანე 8: 5).

„**შეიცნობთ** ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“ (იოანე 8: 32).

„და თუ ვაკეთებ, მე რომ არ მერწმუნოთ, საქმეებს მაინც რწმუნეთ, რათა **შეიცნოთ** და ირწმუნოთ, რომ მამა ჩემშია, ხოლო მე-მასში“ (იოანე 10: 38).

„ახლა **შეიცნეს**, რომ ყველაფერი, რაც მომეცი, შენგანაა“ (იოანე 17: 7).

„მიუხვდა იესო და უთხრა მათ: რასა ბჭობთ, პური რომ არა გვაქვსო? ვერც რასა **სცნობთ** და არც რა გესმით? ნუთუ გაქვავდა თქვენი გული?“ (მარკოზი 8: 17).

„ხოლო იესომ **შეიცნო** მათი თვალთმაქცობა და უთხრა მათ: რატომ მაცდუნებთ? მომიტანეთ დინარი, რათა ჩემი თვალით ვიხილო“ (მარკოზი 12: 15).

„რომ **შეიცნო** იმ მოძღვრების ჭეშმარიტება, რომელიც გისწავლია“ (ლუკა 1: 4).

3. გაგებინების, ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობით:

„დაბრუნდი შინ და უამბე, რაც გიყო ღმერთმა. ისიც წავიდა და მთელ ქალაქს **ამცნობდა**, რა გაუკეთა იესომ“ (ლუკა 8: 39).

„და **ამცნო** მათ, არაფერი წაეღოთ გზაში, გარდა არგნისა; არცა აბგა, არც პური, არც რვალი სარტყლით“ (მარკოზი 6: 8).

„როცა დაინახეს, მოუთხრეს ამბავი, რაც **ემცნოთ** მათ ამ ყრმაზე“ (ლუკა 2: 17).

„და დაბრუნდნენ მწყემსები და ადიდებდნენ და აქებდნენ ღმერთს ყოველივე იმის გამო, რაც ესმათ და იხილეს, როგორც **ემცნოთ** მათ“ (ლუკა 2: 20).

„მოსემ კი რჯულში **გვამცნო** ამნაირების ჩაქოლვა; შენ რაღას იტყვი?“

„აჰა, აშკარად ლაპარაკობს და არაფერს ეუბნებიან. ნუთუ მართლა **ცნეს** მთავრებმა, რომ ეს არის ჭეშმარიტი ქრისტი?“ (იოანე 7: 26).

„ვინაიდან მღვდელმთავრებსა და ფარისევლებს ბრძანება გაეცათ, რომ თუ ვინმე გაიგებდა, სად იყო, მათთვის უნდა **ეცნობებინა**, რათა შეეპყროთ.“ (იოანე 11: 57)

„მე მათში, ხოლო შენ - ჩემში, რათა სრულნი იყვნენ ერთობით, და **შეიცნოს** ქვეყანამ, რომ შენ მომავლინე და ისე შეიყვარე ისინი, როგორც მე შემეყვარე“ (იოანე 17: 23).

„წარგზავნა ისინი ბეთლემს და უთხრა: წადით და გამოწვლილვით გამოიძიეთ ყრმის ამბავი, და როდესაც ჰპოვებთ, **მაცნობეთ** მე, რათა თავადაც მივიდე და თაყვანი ვცე მას“ (მათე 2: 8).

„ხოლო მან პასუხად თქვა: რა **გამცნოთ** მოსემ?“ (მარკოზი 10: 3).

4. ადამიანის ან ნივთის ცნობის მნიშვნელობით:

„მამაო მართალო! ქვეყანამ **ვერ გიცნო**, მე კი **გიცანი**, და მათაც **სცნეს**, რომ შენ მომავლინე“ (იოანე 17: 25).

„ჰკითხეს: სად არის მამაშენი? ხოლო იესომ მიუგო: არც მე **მიცნობთ** და არც მამაჩემს; მე რომ **მიცნობდეთ**, მამასაც **იცნობდით** ჩემსას“ (იოანე 8: 9).

„ხოლო ის მოჰყვა წყევლას და ფიცს: არ **ვიცნობ** იმ კაცს, ვისზედაც მელაპარაკებითო; და მეორედ იყივლა მამალმა“ (მარკოზი 14: 71).

„იესომ პასუხად მიუგო მათ: იმიტომ ხომ არ სცდებით, რომ არც წერილს **იცნობთ** და არც ღმერთის ძალას?“ (მარკოზი 12: 24).

„ხოლო ის მოჰყვა წყევლას და ფიცს: არ **ვიცნობ** იმ კაცს, ვისზედაც მელაპარაკებითო; და მეორედ იყივლა მამალმა“ (მარკოზი 14: 71).

„და **ვერ გიცვნიათ** იგი, მე კი **ვიცნობ** მას. ხოლო თუ ვიტყვი, არ **ვიცნობ**-მეთქი, თქვენსავით ცრუ ვიქნები. მაგრამ მე **ვიცნობ** და ვიმარხავ მის სიტყვას“ (იოანე 8:55).

„ან სცანით ხე ვარგისად და მისი ნაყოფიც ვარგისად; ან **სცანით** ხე უვარგისად და მისი ნაყოფიც უვარგისად; ვინაიდან ნაყოფით **იცნობა** ხე“ (მათე 12: 33).

„ასე რომ, თავიანთი ნაყოფით **იცნობთ** მათ“ (მათე 17: 20).

„და იცნეს იგი იქაურებმა, ხალხი დაგზავნეს მთელს მხარეში და მიჰგვარეს ყველა სნეული“ (მათე 14: 35).

„მაგრამ გეუბნებით თქვენ: ელია უკვე მოვიდა, და ვერ იცნეს იგი, არამედ როგორც უნდოდათ, ისე მოექცნენ. იგივე ტანჯვა ელის მათგან კაცის მესაც“ (მათე 17: 12).

„იესომ პასუხად მიუგო მათ: სცდებით, რადგან არც წერილს იცნობთ და არც ღმრთის ძალას“ (მათე 22: 29).

„ხოლო მან პასუხად მიუგო: ჭეშმარიტად გეუბნებით: არ გიცნობთ თქვენ“ (მათე 25:12).

„ისევ უარყო პეტრემ ფიცით: არ ვიცნობ იმ კაცსო“ (მათე 26: 72).

„რა ხელი გაქვს ჩვენთან, იესო ნაზარეველო? ჩვენს დასალუპად მოსულხარ! გიცნობ, ვინცა ხარ, ღმერთის წმიდანო“ (მარკოზი 1: 24).

„მაგრამ ხალხმა დაინახა მიმავალნი, ბევრმა იცნო იგი და ქალაქებიდან ფეხდაფეხ მიჰყვნენ სირბილით, დაწინაურდნენ და მათზე ადრე მივიდნენ იქ“ (მარკოზი 6:33).

„ნავიდან გადმოსვლისთანავე იცნეს იგი იქაურებმა“ (მარკოზი 2: 54).

„რა გინდა ჩვენგან, იესო ნაზარეველო? ჩვენს დასალუპავად მოხვედი? გიცნობ, ვინცა ხარ, ღვთის წმიდაო“ (ლუკა 3: 34).

„ვინაიდან ყოველი ხე თავისი ნაყოფით შეიცნობა: ეკალზე ხომ ვერ მოკრეფენ ლეღვს და არც მაცვლის ბუჩქებზე იკრიფება ყურძენი“ (ლუკა 6: 44).

„და გეტყვით: „გეუბნებით, არ გიცნობთ, სადაურები ხართ. გამშორდით ყველანი, უსამართლობის მოქმედნო“ (ლუკა 13: 27).

„ხოლო მან თქვა: „შენ გეუბნები, პეტრე, მამალი არ იყივლებს დღეს, სანამ სამჯერ არ უარყოფ, რომ მიცნობ“ (ლუკა 22: 34).

„მაგრამ მან უარყო და თქვა: „დედაკაცო, არ ვიცნობ იმას“ (ლუკა 22: 57).

„ყველა, ვინც მას იცნობდა, და დედაკაცები, გალილეიდან რომ მოჰყვნენ, მოშორებით იდგნენ და უყურებდნენ ამას“ (ლუკა 23: 49).

„თვალთმაქცნო! ცისა და მიწის პირის გამოცნობა შეგიძლიათ, ეს ჟამი კი როგორ ვერ გამოგიცვნიათ?“ (ლუკა 12 : 56).

5. მცნების მიცემის, დარიგების, რჩევის მნიშვნელობით:

„მოვიდა ერთი მწიგნობართაგანი, რომელმაც გაიგონა მათი კამათი და მიხვდა, რომ კარგად მიუგო მათ, და ჰკითხა იესოს: რომელია უპირველესი მცნება?“ (მარკოზი 12: 28).

„ხოლო იესომ მიუგო მას: აი, უპირველესი **მცნება**: ისმინე, ისრაელ! უფალი ღმერთი ჩვენი ერთი უფალია!“ (მარკოზი 12: 29).

„და: გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით,-აი, უპირველესი **მცნება**“ (მარკოზი 12: 30).

„და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. არ არსებობს ამათზე დიადი **მცნება**“ (მარკოზი 12: 31).

„იცი **მცნებანი**: არ იმრუშო, არ მოკლა, არ მოიპარო, არ იყო ცრუმოწმე, პატივი ეცი შენს მამას და დედას“ (ლუკა 18: 20).

„ამას გიდებთ **მცნებად**, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი“ (იოანე 15: 17).

„ამრიგად, ვინც დაარღვევს თუნდაც ერთს ამ უმცირეს **მცნებათაგანს** და ასე ასწავლის კაცთაც, უმცირესად იწოდება ცათა სასუფეველში; ხოლო ვინც აღასრულებს და ასწავლის, უდიდესად იწოდება ცათა სასუფეველში“ (მათე 5: 19).

„ხოლო იესომ პასუხად მიუგო მათ: კი მაგრამ, თქვენ რატომღა არღვევთ ღმერთის **მცნებას** თქვენი ჩვეულებით?“ (მათე 15: 3).

„ამოდ მადიდებენ, რადგან ასწავლიან ადამიანურ მოძღვრებებსა და **მცნებებს**“ (მათე 15: 9).

„ეს არის პირველი და მთავარი **მცნება**“ (მათე 22: 38).

„ამ ორ **მცნებაზეა** დამოკიდებული მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი“ (მათე 22: 40).

„თუ დაიცავთ ჩემს **მცნებებს**, დარჩებით ჩემს სიყვარულში; როგორც მე დავიცავი მამაჩემის **მცნებანი** და ვრჩები მის სიყვარულში“ (იოანე 15: 10).

„ეს არის ჩემი **მცნება**, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (იოანე 15: 12).

„ვერავინ წამართმევს მას, არამედ დავდებ მას ჩემით. შემიძლია მისი დადება და შემიძლია კვლავ დაბრუნება მისი. ეს **მცნება** მიმიღია მამაჩემისგან“ (იოანე 10: 18).

„მე ვიცი, რომ მისი **მცნება** საუკუნო სიცოცხლეა, და რასაც ვიტყვი, როგორც მამამ მაუწყა, ისე ვიტყვი“ (იოანე 12: 50).

„თუ გიყვარვართ, დაიცავით ჩემი **მცნებანი**“ (იოანე 14: 15).

„ამოდ მადიდებენ, რადგან ასწავლიან ადამიანთა მოძღვრებებსა და მცნებებს“ (მარკოზი 7: 7).

„ვინაიდან მიგიტოვებიათ ღმერთის მცნება და იცავთ კაცთა გადმოცემას, ჯამ-ჭურჭლის რეცხვას და სხვა მისთანათ“ (მარკოზი 7: 8).

„და უთხრა მათ: მერედა, კარგია, რომ აუქმებთ ღმერთის მცნებას, რათა დაიცვათ თქვენი გადმოცემა?“ (მარკოზი 7: 9).

„იესომ პასუხად უთხრა მათ: თქვენი გულქვაობის გამო მოგცათ ეს მცნება“ (მარკოზი 10: 5).

„იცი მცნებანი: არა იმრუშო; არა კაც-ჰკლა; არა იპარო; არა ცილი სწამო; არა შეურაცხყო; „პატივი ეცი მამას შენსას და დედას?“ (მარკოზი 10: 19).

„ისინი ორივენი მართლები იყვნენ ღვთის წინაშე, უმწიკვლოდ იქცეოდნენ უფლის ყოველი მცნებითა და წესდებით“ (ლუკა 1: 6).

6. აღნიშნავს განათლებულ ადამიანს:

„და ერთმა მათგანმა, რჯულის მცოდნემ, საცდუნებლად ჰკითხა.“ (მათე 22: 35)

„ხოლო ფარისევლებმა და რჯულის მცოდნეებმა უარყვეს ღვთის რჩევა მათ მიმართ და არ ინათლებოდნენ მისგან“ (ლუკა 7: 30).

„აჰა, ერთი რჯულის მცოდნე, წამოდგა და გამოსაცდელად თქვა: „რა უნდა გავაკეთო, მოძღვარო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“ (ლუკა 10: 25).

„ამაზე ერთ-ერთმა რჯულის მცოდნემ უთხრა: „მოძღვარო, ამას რომ ამბობ, ამით ჩვენც გვაყენებ შეურაცხყოფას“ (ლუკა 11: 45).

„მან კი უთხრა: „ვაი თქვენც, რჯულის მცოდნენო, რომ აჰკიდებთ ადამიანებს მძიმე ტვირთს, თვითონ კი იმ ტვირთს თითსაც არ აკარებთ“ (ლუკა 11: 46).

„ვაი თქვენ, რჯულის მცოდნენო, რომ წარიტაცეთ ცოდნის გასაღები! არც თქვენ შეხვედით და შემსვლელელებიც დააბრკოლეთ“ (ლუკა 11: 52).

„მიუგო იესომ და უთხრა რჯულის მცოდნეებსა და ფარისევლებს: „შეიძლება თუ არა განკურნება შაბათს?“ (ლუკა 14: 3).

„მღვდელმთავარნი და მწიგნობარნი სწორედ ამ დროს შეეცადნენ, რომ ხელი დაედოთ მისთვის, მაგრამ ხალხისა ეშინოდათ, რადგან იცოდნენ, რომ მათზე თქვა ეს იგავი“ (ლუკა 20: 19).

7. აღიარებას ნიშნავს:

„ხომ მოისმინეთ ღვთის გმობა? რას იტყვით? მაშინ ყველამ სიკვდილის ღირსად **სცნო** იგი“ (მარკოზი 14: 64).

„იმხანად ჰყავდათ ერთი **ცნობილი** პატიმარი, რომელსაც ერქვა ბარაბა.“ (მათე 27: 16)

ცან/ცოდნ- ძირებით ნაწარმოები ლექსემები, შეგვიძლია სხვადასხვაგვარად დავაჯგუფოთ, თუმცა საერთო ნიშანი მათ მუდმივად ერთ სემანტიკურ ველში დატოვებს. ჩვენს შემთხვევაში ეს საერთო მახასიათებელია ერთი მხრივ ძირი, მეორე მხრივ კი ადამიანის აზრობრივ ქმედებასთან მუდმივი კავშირი.

5.5. ბრძენ/ბრძ- ძირის სემანტიკისათვის

ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკის კვლევისათვის ჩვენ უკვე განვიხილეთ **გონ/ცოდნ/ცან**- ძირები. შემდეგი ძირი, რომლისგან ნაწარმოები სიტყვები ასევე უკავშირდება ჩვენს საკვლევ თემას არის **ბრძენ**- ძირი. აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებზე დაკვირვება გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ სახარებაში საინტერესო მასალას გვაწვდის.

ბრძენ/ბრძ- ძირი, **გონიერების** ამსახველი ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფს ავსებს შემდეგი ფორმებით: **სიბრძნე, ბრძენი, ბრძანა, უბრძანა, სულელი**.

გიორგი მთაწმინდელის თარგმანში ჩვენთვის საინტერესო ფუძეთა გამოყენების შემთხვევები გაცილებით ხშირია.

შეიძლება ვთქვათ, რომ აღნიშნული ფუძეებით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულების გამოყენების შემთხვევები ოთხჯერ არის შემცირებული, საინტერესოა რომელი ფუძეებით არის ჩანაცვლებული ბრეგვაძისეულ თარგმანში **ბრძ/ბრძენ**- ძირით ნაწარმოები სიტყვები. ჩვენ დავინტერესდით და გავარკვიეთ რომ:

ბრძანა ჩანაცვლებულია სიტყვით **გვამცნო**

უბრძანა ჩანაცვლებულია სიტყვით **ნება დართო**

ბრძენი ჩანაცვლებულია სიტყვით **გონიერი**

სულელი ჩანაცვლებულია სიტყვით **უგუნური**

მთაწმინდელთან:

„და ჰრქუა მას იესუ: იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ წარვედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე შესაწირავი შენი, რომელი **ბრძანა** მოსე საწამებელად მათა.“

(იოანე 8: 4)

„ამისა შემდგომად ჰკითხა პილატეს იოსებ, რომელი იყო არიმათიადთ, რამეთუ იყო იგი მოწაფე იესუდსი ფარულად, შიშისათვის ჰურიათადას რადთა აღიღოს გუამი იესუდსი. და **უბრძანა** მას პილატე, მოვიდა და აღიღო გუამი მისი.“ (იოანე 19: 38)

ბრეგვაძესთან:

„და უთხრეს იესოს: მოძღვარო, ეს ქალი მრუმობისას შევიპყარით; მოსემ კი რჯულში **გვამცნო** ამნაირების ჩაქოლვა; შენ რაღას იტყვი?“ (იოანე 8: 4)

„ამის შემდეგ იოსებ არიმათიელმა (რომელიც იესოს მოწაფე იყო, მაგრამ ფარულად, ვინაიდან იუდეველებისა ეშინოდა) სთხოვა პილატეს, რათა ჩამოეხსნა იესოს გვამი. პილატემ **ნება დართო**; ისიც მივიდა და ჩამოხსნა იესოს გვამი.“ (იოანე 19: 38)

მთაწმინდელთან:

„ვინ-მე არს სარწმუნოდ იგი მონად და **ბრძენი**, რომელი დაადგინოს უფალმან თვსმან მონათა თვსთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თვსსა.“ (მათე 24: 45)

„ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს **ბრძენნი** და ხუთნი–**სულელნი**.“ (მათე 25: 2)

„ხოლო **ბრძენთა** მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა.“ (მათე 25: 4).

„ხოლო **სულელნი** იგი ეტყოდეს **ბრძენთა** მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან.“ (მათე 25: 8)

„მიუგეს **ბრძენთა** მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ კმა-გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ უფროდსდა წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა.“ (მათე 25: 9)

ბრეგვაძესთან:

„ვინ არის ერთგული და **გონიერი** მონა, რომელიც მისმა პატრონმა მიუჩინა თავის მსახურთ, რათა დროულად მისცეს საჭმელი მათ?“ (მათე 24: 45)

„ხოლო ხუთი მათგანი **გონიერი** იყო, ხუთი კი–**უგუნური**.“ (მათე 25: 2)

„**გონიერებმა** კი თავიანთ ლამპრებთან ერთად თან წაიღეს ზეთიც თავიანთი ჭურჭლებით.“ (მათე 25: 4)

„და **უგუნურებმა** უთხრეს **გონიერთ**: გვიწილადეთ თქვენი ზეთი, ვინაიდან ჩვენი ლამპრები ქრება.“ (მათე 25: 8)

„**გონიერებმა** კი მიუგეს: რომ არ შემოგვაკლდეს ჩვენცა და თქვენც, გიჯობთ წახვიდეთ ვაჭრებთან და იყიდოთ თქვენთვის.“ (მათე 25: 9)

როგორც ვხედავთ, მათეს სახარების მოცემულ მაგალითებში სიტყვა „ბრძენი“ ჩანაცვლებულია სიტყვით „გონიერი“. აღსანიშნავია უარყოფითი ფორმები: მთაწმინდელთან სიტყვა „სულელნი“, ბრეგვაძესთან სიტყვა „უფუნურმა“ შეცვალა.

ა) **ბრძენ/ბრძ-** ფუძით ნაწარმოები სიტყვები **მთაწმინდელისეულ** სახარებაში რამდენიმე **სემანტიკურ-კონოტაციურ ჯგუფს** ქმნის:

1. როცა სიბრძნე გონიერებას, ჭკუას აღნიშნავს. მაგ.:

„მოვიდა მე კაცისად, ჭამს და სუამს, და იტყვან: აჰა კაცი მჭამელი და ღვინის-მსუმელი, მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთად. და განმართლდა **სიბრძნე** შვილთაგან თვსთა.“
(იოანე 11: 19)

„დედოფალი იგი სამხრისად აღდგეს სასჯელსა მას ნათესავსა ამას თანა და დასაჯოს იგი, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისადთ სმენად ამის თანა და დასაჯოს იგი, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისადთ სმენად **სიბრძნესა** სოლომონისსა; და აჰა ესერა უფროდს სოლომონისსა არს აქა.“ (იოანე 12: 42)

2. ბრძენი - როგორც განათლებული, ნაკითხი ადამიანი. მაგ.:

„მას ჟამსა შინა იტყოდა იესუ და თქუა: აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე **ბრძენთაგან** და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩვლთა.“

(მათე 11: 25)

„ვინ-მე არს სარწმუნოდ იგი მონად და **ბრძენი**, რომელი დაადგინოს უფალმან თვსმან მონათა თვსთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თვსსა.“ (მათე 24: 45)

„ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს **ბრძენნი** და ხუთნი-სულელნი.“ (მათე 25: 2)

„ხოლო **ბრძენთა** მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა.“
(მათე 25: 4)

„ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს **ბრძენთა** მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან.“ (მათე 25: 8)

„მიუგეს **ბრძენთა** მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ კმა-გუეყოს ჩუენ და თქუენ, არამედ უფროდსდა წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა.“ (მათე 25: 9)

„მას ჟამსა შინა იტყოდა იესუ და თქუა: აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე **ბრძენთაგან** და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩვლთა.“ (იოანე 11: 25)

„ამისთვის აჰა ესერა მე მოვავლინე თქვენდა წინაწარმეტყუელნი, **ბრძენნი** და მწიგნობარნი, და მათგანნი მოსწყვიდნეთ, და მათგანნი მოსწყვიდნეთ და ჯუარს-აცუნეთ, და მათგანნი სტანჯეთ შესაკრებელთა შორის თქვენთა და სდევნიდეთ ქალაქითი ქალაქად.“ (მათე 23: 34)

„მას ჟამსა შინა იხარებდა იესუ სულითა და თქუა: აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისო, რამეთუ დაჰფარე ესე **ბრძენთაგან** და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩვლთა. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე.“ (ლუკა 10: 21)

3. ბრძანება - ბრძანების გაცემის, თქმის, დავალების მიცემის მნიშვნელობით

„და ჰრქუა მას იესუ: იხილე, ნუვის უთხრობ, არამედ წარვედ და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე შესაწირავი შენი, რომელი **ბრძანა** მოსე საწამებელად მათა.“

(იოანე 8: 4)

„ვითარცა იხილა იესუ ერი მრავალი გარემო მისა, **უბრძანა** წიაღსლვად მიერ კერძო.“

(იოანე 8: 18)

„და სხუამან მოწაფეთა მისთაგანმან ჰრქუა მას: უფალო, **მიბრძანე** მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა.“ (იოანე 8: 21)

„ხოლო ეშმაკნი იგი ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ განგუასხამ ჩუენ, **მიბრძანე** ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორთასა.“ (იოანე 8: 31)

„და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ **ბრძანებანი** ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა მისთა, წარვიდა მიერ ქადაგებად და სწავლად ქალაქებსა მათსა.“ (იოანე 11: 1)

„აცადეთ იგი თანა-აღორძინებად ურთიერთას, ვიდრე ჟამადმდე მკისა, და ჟამსა მკისასა **უბრძანო** მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რადთა დაიწუას იგი, ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა.“ (იოანე 13: 32)

„და შე-ღავე-წუხნა მეფე იგი, არამედ ფიცისა მისთვის და მის თანა მეინაჯეთა **ბრძანა** მიცემად იგი მას.“ (იოანე 14: 9)

„და **უბრძანა** ერსა მას დასხდომად თივასა ზედა. და მოილო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხა და განტეხა და მისცნა პურნი იგი მოწაფეთა თვსთა, და მოწაფეთა მათ მისცეს ერსა მას.“ (იოანე 14: 19)

„მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: უფალო, უკეთუ შენ ხარ, **მიბრძანე** მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა.“ (იოანე 14: 28)

„ამისა შემდგომად ჰკითხა პილატეს იოსებ, რომელი იყო არიმათიადთ, რამეთუ იყო იგი მოწაფე იესუდსი ფარულად, შიშისათვის ჰურიათადასა რადთა აღიღოს გუამი იესუდსი. და უბრძანა მას პილატე, მოვიდა და აღიღო გუამი მისი.“ (იოანე 19: 38)

მარკოზის სახარებაში ბრძენ- ფუძე არ იძებნება.


ბრძენ/ბრძ- ძირით ნაწარმოები ფორმებია: **ბრძანა, უბრძანა, მიბრძანე, მიბრძანე, ბრძანებანი, სიბრძნე, ბრძენთაგან, სიბრძნესა, უბრძანო, ბრძანა, უბრძანა, მიბრძანე, მიბრძანე, უბრძანა, ბრძენთაგან, ბრძენნი, ბრძენი, ბრძენნი, ბრძენთა, ბრძენთა, ბრძენთა, ბრძენთაგან.** ამოვკრიბეთ ყველა ფორმა რათა დაგვედგინა სხადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვათა გამოყენების სიხშირე, დაკვირვებამ გვიჩვენა რომ **ბრძენ/ბრძ-** ძირით ნაწარმოები სიტყვების რაოდენობა მთაწმინდელისეულ სახარებაში 22 ლექსიკურ ერთეულს შეადგენს, აქედან :

ბრძანება-ს აღნიშნავს 11 შემთხვევაში;

ბრძენს-აღნიშნავს 9 შემთხვევაში;

სიბრძნე-ს აღნიშნავს 2 შემთხვევაში;

გრაფიკზე მიღებული მონაცემები ასე გადანაწილდა:



ბ) გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ სახარებისეულ ტექსტში **ბრძ/ბრძენ-** ძირით ნაწარმოები სიტყვები გაცილებით მეტი გვხვდება, **ბრეგვადისეულ** თარგმანთან შედარებით.

ბაჩანა ბრეგვადესთან მარკოზისა და იოანეს სახარების თანამედროვე თარგმანში არ გვხვდება არც ერთი ჩვენთვის საინტერესო ფუძე. ლუკას სახარებაში ვხვდებით რვა ლექსიკურ ერთეულს, მათეს სახარებაში ორს, შესაბამისად, ამ ძირის სემანტიკური მრავალფეროვნება ამ შემთხვევაში არ იკვეთება და სულ ორი სიტყვით შემოიფარგლება: **ბრძენთა, სიბრძნე.**

სემანტიკურ-კონოტაციური ჯგუფებიც ასევე ორი გვაქვს:

1. როცა ბრძენი განათლებულ ადამიანს აღნიშნავს:

„იმ ხანად იესომ პასუხად თქვა: გადიდებ, მამაო, ცისა და მიწის უფალო, ვინაიდან **ბრძენთა** და გონიერთ დაუფარე ყოველივე ეს, და გაუცხადე ჩვილ ბალებს.“ (მათე 11: 25)

„ამიტომ, აჰა, გიგზავნით წინასწარმეტყველოთ, **ბრძენთა** და მწიგნობართ; და ზოგს მოჰკლავთ და ჯვარს აცვამთ, ზოგს მათრახით სცემთ სინაგოგებში და ზოგსაც ქალაქიდან ქალაქად დაუწყებთ დევნას.“ (მათე 23: 34)

„იმ დროს სულში გაიხარა იესომ და თქვა: „გადიდებ შენ, მამაო, უფალო ცისა და მიწისა, რადგან დაუფარე ეს **ბრძენთა** და გონიერთ, ჩვილებს კი განუცხადე. ჰეი, მამაო, ვინაიდან ასე იყო მოსაწონი შენს წინაშე.“ (ლუკა 10: 21)

2. როცა ბრძენი ჭკუა-გონებას ნიშნავს:

„ხოლო ყრმა იზრდებოდა, მტკიცდებოდა სულით და ივსებოდა **სიბრძნით** და ღვთის მადლი იყო მასზე.“ (ლუკა 2: 40)

„ხოლო იესოს ემატებოდა **სიბრძნე** და ტანი, და მადლი ღვთისა და ადამიანთა წინაშე.“ (ლუკა 2: 52)

„გამართლებულია **სიბრძნე** მისი ყველა შვილის მიერ.“ (ლუკა 7: 35)

„სამხრეთის დედოფალი წამოდგება სამსჯავროზე ამ მოდგმის ადამიანებთან ერთად და მსჯავრს დასდებს მათ, ვინაიდან იგი დედამიწის კიდიდან მოვიდა სოლომონის **სიბრძნის** მოსასმენად და აჰა, აქ არის სოლომონზე დიდი.“ (ლუკა 11: 31)

„ამიტომ თქვა ღვთის **სიბრძნემ**: „მივუვლენ მათ წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს, და მათგან ზოგს დახოცავენ, ზოგს განდევნიან.“ (ლუკა 11: 49)

„ვინაიდან მე მოგცემთ თქვენ პირსა და **სიბრძნეს**, რომელთაც ვერ დაუპირისპირდებიან და ვერც შეეპასუხებიან თქვენი მოწინააღმდეგენი.“ (ლუკა 21:15)

5.6. სწავლ- ძირის სემანტიკისათვის

სწავლის პროცესი ერთ-ერთი საინტერესო ფსიქოლოგიური პროცესია, რომელშიც მონაწილეობს აზროვნება, აღქმა, შეგრძნება, ყურადღება, ემოცია, სურვილი, მეხსიერება, მოტივაცია, მეტყველება. ეს ასპექტები განსაზღვრავს ადამიანის მენტალური ქმედების მთელ ჯაჭვს. **გონიერების** ამსახველი ლექსიკის კვლევაში საინტერესოა **სწავლ-** ძირით მიღებული ლექსიკური ერთეულების გამოყოფა სახარების ტექსტში და სიტყვათა სემანტიკური ჯგუფის შემოსაზღვრა.

ა) **გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ სახარებაში სწავლ-** ძირით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულების მოძიებით **გონიერების** აღმნიშვნელი ლექსიკის **სემანტიკურ სივრცეს** შემდეგი ლექსიკური ერთეულები ემატება: **ასწავებდა, სწავლულ, უსწავლელად, ქადაგებად, სწავლაჲ.**

სემანტიკის თვალსაზრისით საინტერესო სიტყვაა **სწავლაგასრულებული**. იგი კომპოზიტიური სახელია და აღნიშნავს ადამიანს, რომელმაც შესწავლის პროცესი უკვე დაასრულა, განათლება მიიღო. ასეთივე მნიშვნელობითაა იგი გამოყენებული ბრეგვაძისეულ სახარების თარგმანში. მაგ.:

„მოწაფე მასწავლებელზე მეტი არ არის, ხოლო ყველა **სწავლაგასრულებული**, ისეთივე იქნება, როგორც მისი მასწავლებელი.“ (ლუკა 6: 40)(ბრეგვაძესთან)

სწავლ- ძირით ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულთა შორის მოხვდა სიტყვათშეთანხმება - **ჭკუას ასწავლი**, რაც ნიშნავს დარიგებას, რჩევას. მაგ.:

„მესამედ უთხრა მათ: „რა ბოროტება აქვს ჩადენილი? მე ვერაფერი სასიკვდილო ბრალი ვერ ვპოვე მასში. ამიტომ **ჭკუას ვასწავლი** და გავუშვებ.“(ლუკა 2: 22) (ბრეგვაძესთან)

ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი ლექსიკური ერთეული - **განისწავლება**, რომელიც „სწავლის მიღების პროცესს“ აღნიშნავს, თუმცა მისი სემანტიკა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის მიღებისა და დასწავლის გარდა, ვფიქრობ უფრო ფართო ცნებაა და გულისხმობს „ყოვლისმომცველი“ ცოდნის მიღებას. მაგ.:

„წინასწარმეტყველთა მიერ დაწერილია: ყველა ღმერთის მიერ **განისწავლება**. ყველა, ვინც უსმენს მამას და **სწავლობს**, ჩემთან მოვა.“(იოანე 6:45)(ბრეგვაძესთან)

ბრეგვაძისეული სახარების თარგმანში გვხვდება სიტყვა - **ქადაგება**. ეს ლექსიკური ერთეული არ იწარმოება **სწავლ**- ძირისაგან, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით **გონიერების** ამსახველი ლექსიკის სემანტიკური სივრცის წევრი გახლავთ, რადგან ნიშნავს სწავლებას, რჩევას, დარიგებას.

გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ სახარებაში **სწავლ**- ძირით წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულები შემდეგ სემანტიკურ-კონოტაციურ ჯგუფს ქმნის - **სწავლა, როგორც ადამიანის მენტალური ქმედება:**

„წერილ არს წინაწარმეტყუელთა შინა, ვითარმედ: იყვნენ ყოველნი ღმრთივ **სწავლულ**. ყოველსა რომელსა ესმეს მამისა ჩემისაგან და **ისწავოს**, მოვიდეს ჩემდა.“ (იოანე 6: 45)

„ესე თქუა შესაკრებელსა შორის და **ასწავებდა** კაპერნაუმს.“ (იოანე 6: 59)

„და ვითარცა დღესასწაული იგი გან-ოდენ-ზოგებულ იყო, აღვიდა იესუ ტაძრად და **ასწავებდა**.“ (იოანე 7: 14)

„უკვრდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვითარ უკუე ამან წიგნი იცის **უსწავლელად?**“ (იოანე 7: 15)

„დაღად-ყო იესუ ტაძარსა მას შინა, **ასწავებდა** და ეტყოდა: მეცა მიცით და იცით, ვინაჲ ვარ; და თავით ჩემით არა მოსრულ ვარ, და არს ჭემმარიტ, რომელმან-იგი მომავლინა მე, რომელი თქუენ არა იცით.“ (იოანე 8: 28)

„იტყოდეს ურთიერთას ჰურიანი იგი: ვიდრე-მე ეგულების ამას წარსლვად, და ჩუენ არა ვპოთ იგი? ნუუკუე განთესულთა მათ წარმართთასა ეგულების მისლვად და **სწავლად** მუნ წარმართთა?“ (იოანე 8: 35)

„ხოლო თქუენ წარვედით და **ისწავეთ**, რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი. რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა.“ (იოანე 9: 13)

„და მოჰვლიდა იესუ ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და **ასწავებდა** შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველთა სენტა და ყოველთა უძლურებათა ერსა შორის.“ (იოანე 9: 35)

„და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ ბრძანებანი ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა მისთა, წარვიდა მიერ ქადაგებად და **სწავლად** ქალაქებსა მათსა.“ (იოანე 11: 1)

„აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და **ისწავეთ** ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოთ განსუენებად სულთა თქვენთაჲ.“ (იოანე 11: 29)

„და მოვიდა მამულად თვსად და **ასწავებდა** მათ შესაკრებელთა შორის მათთა, ვიდრემდის განუკვრდებოდა მათ და იტყოდეს: ვინაჲ არს ამისა სიბრძნე ესე და ძალი?“ (იოანე 13: 54)

„მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მე განცხადებულად ვეტყოდე სოფელსა და მე მარადის **ვასწავებდ** შესაკრებელსა და ტაძარსა შინა, სადა-იგი ყოვლადვე ჰურიანი შეკრბიან, ხოლო ფარულად არარას ვეტყოდე.“ (იოანე 18: 20)

„რამსა მკითხავ მე? ჰკითხე მათ, რომელთა ესმოდა, რასა **ვასწავებდ** მათ. აჰა ამათ იციან, რასა-იგი ვეტყოდე მათ.“ (იოანე 18: 21)

„რამეთუ იყო **სწავლაჲ** იგი მისი მათა მიმართ, ვითარცა-იგი ვის ჰელმწიფებაჲ აქუნ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი და ფარისეველნი.“ (მათე 7: 29)

„და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ ბრძანებანი ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა მისთა, წარვიდა მიერ **ქადაგებად** და **სწავლად** ქალაქებსა მათსა.“ (იოანე 11: 1)

„მერმე კუალად **იწყო სწავლად** ზღვს-კიდესა; და შეკრბა მისა ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე მისა ნავად, და დაჯდა იგი ნავსა მას ზღუასა შინა; და ყოველი იგი ერი ზღვს-კიდესა ქუეყანასა ზედა დგა.“ (მარკოზი 4: 1)

„ასწავებდა მათ იგავით ფრიად და ეტყოდა მათ **სწავლასა** მას მისსა.“ (მარკოზი 4: 2)

„და იყო შაბათი, და იწყო შესაკრებელსა მათსა **სწავლად** მათა.“ (მარკოზი 6: 2)

„და გამოვიდა იესუ და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. და იწყო **სწავლად** მათდა ფრიად.“ (მარკოზი 6: 34)

„და იწყო **სწავლად** მათა, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისაჲ ფრიად ვნებაჲ და შეურაცხ-ყოფად მოხუცებულთაგან და მღდელთ-მოძღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.“ (მარკოზი 8: 31)

„და ეტყოდა მათ **სწავლასა** მას შინა მისსა: ეკრძალენით მწიგნობართა მათგან, რომელთა ჰნებავს სამკაულითა სლვად და მოკითხვად უბანთა ზედა.“ (მარკოზი 12: 38)

„**ვსწავლო** იგი და განუტევო.“ (ლუკა 23: 16)

ბ) საინტერესოა, რა ინფორმაციას მოგვაწვდის სახარების **ბრეგვაძისეული თარგმანი სწავლ-** ძირთან დაკავშირებით. გიორგი მთაწმინდელის თარგმანი **სწავლ-** ძირის **სემანტიკურ-კონოტაციური ჯგუფების მრავალფეროვნებას არ გვთავაზობს.** შესაძლოა თანამედროვე თარგმანში ეს მაჩვენებელი შეცვლილიყო. შედარება-

შეპირისპირებისათვის დავამუშავეთ სახარების ბრეგვადისეული თარგმანი, რომელზე დაკვირვებითაც შეიძლება ვთქვათ, რომ **სწავლ-** ძირით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები ბრეგვადისეულ თარგმანშიც ვიწრო სემანტიკურ-კონოტაციური არეალით არის წარმოდგენილი.

სწავლ- ძირის სემანტიკური სივრცეა: **სწავლაგასრულებული, ჭკუას ასწავლი, განისწავლება, ასწავლიდა, საქადაგებლად, სწავლება, უსწავლელად.**

თითქმის ყველა შემთხვევაში **სწავლა** წარმოდგენილია როგორც ადამიანის მენტალური ქმედება:

„წინასწარმეტყველთა მიერ დაწერილია: ყველა ღმერთის მიერ **განისწავლება**. ყველა, ვინც უსმენს მამას და **სწავლობს**, ჩემთან მოვა.“ (იოანე 6: 45)

„ესა თქვა სინაგოგაში, როცა კაპერნაუმში **ასწავლიდა**.“ (იოანე 6: 59)

„მაგრამ შუა დღესასწაულზე შევიდა იესო ტაძარში და **ასწავლიდა**.“ (იოანე 7: 14)

„უკვირდათ იუდეველებს და ამბობდნენ: ნუთუ **უსწავლელად** იცის წერილი?“ (იოანე 7: 15)

„მაშინ იესომ, ტაძარში რომ **ასწავლიდა**, შელადა და თქვა: მეც მიცნობთ და ისიც იცით, სადაური ვარ; მაგრამ ჩემით კი არ მოვსულვარ, არამედ ჭემმარიტია ჩემი მომავლინებელი, რომელსაც თქვენ არ იცნობთ.“ (იოანე 7: 28)

„ხოლო იუდეველები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: სად უნდა წავიდეს, რომ ვერ ვიპოვოთ? იქნებ ბერძენთა შორის განთესილებში აპირებს წასვლას, რათა **ასწავლოს** ბერძენებს?“ (იოანე 7: 35)

„დილით კი კვლავ მიბრუნდა ტაძარში და მთელი ხალხი მივიდა მასთან. დაჯდა და **ასწავლიდა** მათ.“ (იოანე 8: 2)

„და უთხრა მათ იესომ: როცა კაცის ძეს აამაღლებთ, მაშინ გაიგებთ, რომ მე ვარ, და არაფერს ვაკეთებ ჩემით, არამედ რაც **მასწავლა** მამამ, იმას ვამბობ.“ (იოანე 8:28)

„მიუგეს მათ და უთხრეს: მთლიანად ცოდვებში შობილი ხარ და ჩვენ **გვასწავლი**? და გამოაგდეს იგი.“ (იოანე 9: 34)

„ხოლო ნუგეშისმცემელი, სული წმიდა, რომელსაც მამა მოავლენს ჩემი სახელით, **გასწავლით** და მოგაგონებთ ყველაფერს, რაც მე გითხარი.“ (იოანე 14: 26)

„ხოლო მღვდელმთავარმა ჰკითხა იესოს, ვინ იყვნენ მისი მოწაფეები, ან რას **ასწავლიდა** იგი.“ (იოანე 18: 19)

„იესომ მიუგო: მე აშკარად ველაპარაკებოდი ქვეყანას; გამუდმებით **ვასწავლიდი** სინაგოგასა და ტაძარში, სადაც ყოველი მხრიდან იკრიბებიან იუდეველნი, და ფარულად არა მითქვამს რა.“ (იოანე 18: 20)

„როდესაც დაინახა მისკენ მოსანათლად მომავალი ფარისეველნი და სადუკეველნი, უთხრა მათ: იქედნეს ნაშიერნო, ვინ **გასწავლათ** გაექეციოთ მომავალ რისხვას.“ (მათე 3: 7)

„მიმოდოდა იესო მთელს გალილეაში, **ასწავლიდა** მათ სინაგოგებში, ქადაგებდა სახარებას სასუფევლისას და კურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძლურებას ხალხში.“ (მათე 4: 23)

„განახვნა ბაგენი, **ასწავლიდა** მათ და ამბობდა.“ (მათე 5: 2)

„ამრიგად, ვინც დაარღვევს თუნდაც ერთს ამ უმცირეს მცნებათაგანს და ასე **ასწავლის** კაცთაც, უმცირესად იწოდება ცათა სასუფეველში; ხოლო ვინც აღასრულებს და **ასწავლის**, უდიდესად იწოდება ცათა სასუფეველში.“ (მათე 5: 19)

„ვინაიდან ის **ასწავლიდა** მათ როგორც ძალმოსილი და არა როგორც მათი მწიგნობარნი.“ (მათე 7: 29)

„თქვენ კი წადით და **ისწავლეთ**, რას ნიშნავს ეს: წყალობა მნებავს და არა მსხვერპლი; ვინაიდან მართალთა სახმობლად კი არ მოვსულვარ, არამედ ცოდვილთა სინანულად.“ (მათე 9: 13)

„და მოივლიდა იესო ყველა ქალაქსა და დაბას, **ასწავლიდა** მათ სინაგოგებში და ქადაგებდა სახარებას სასუფევლისას, და კურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძლურებას ხალხში.“ (მათე 9: 35)

„და როდესაც დაასრულა იესომ შეგონება თავისი თორმეტი მოწაფის მიმართ, წავიდა იქიდან მათს ქალაქებში **სასწავლად და საქადაგებლად**.“ (მათე 11: 1)

„დაიდგით ქედზე ჩემი უღელი და **ისწავლეთ** ჩემგან, ვინაიდან მშვიდი ვარ და გულით მდაბალი, და მოიპოვებთ სულის სიმშვიდეს.“ (მათე 11: 29)

„ბევრ რასმე **ასწავლიდა** მათ იგავებით და ამბობდა: აჰა, გამოვიდა მთესავი თესვად.“ (მათე 13: 3)

„მივიდა თავის მამულში და **ასწავლიდა** მათ სინაგოგაში, ისე რომ, უკვირდათ და ამბობდნენ: ვინ მისცა ესოდენი სიბრძნე და ძალა.“ (მათე 13: 54)

„ამოდ მადიდებენ, რადგან **ასწავლიან** ადამიანურ მოძღვრებებსა და მცნებებს.“ (მათე 15: 9)

„ჰეროდელებთან ერთად მიუგზავნეს თავიანთი მოწაფეები და უთხრეს: მოძღვარო, ვიცით, რომ მართალი ხარ, სიმართლით **გვასწავლი** ღმრთის გზასაც და არც არავის არჩევ, ვინაიდან არ უყურებ სახეს კაცისა.“ (მათე 22: 16)

„ლელვის ხისაგან **ისწავლეთ** იგავი: როცა მისი ტოტები რბილდება და ფოთლები გამოაქვს, იცით, რომ ახლოა ზაფხული.“ (მათე 24: 32)

„მაშინ იესომ უთხრა ხალხს: როგორც ავაზაკს, მახვილებითა და წათებით მომიხტით შესაპყრობად; დღენიადაგ ტაძარში მჯდომი **გასწავლიდით** და არ შეგიპყრივართ მე.“ (მათე 26: 55)

„**ასწავლეთ** მათ დაიცვან ყველაფერი, რაც გამცნეთ; და, აჰა, მე თქვენთანა ვარ დღემუდამ ვიღრე ქვეყნის დასასრულამდე. ამინ.“ (მათე 28: 20)

„მივიდნენ კაპერნაუმს და მაშინვე, შაბათ დღეს, შევიდა სინაგოგაში და **ასწავლიდა** მათ.“ (მარკოზი 1: 21)

„უკვირდათ მისი მოძღვრება, ვინაიდან ის **ასწავლიდა** მათ, როგორც ძალმოსილი, და არა როგორც მწიგნობარნი.“ (მარკოზი 1: 22)

„და კვლავ გამოვიდა იესო ზღვის პირას: მთელი ხალხი დაიდრა მისკენ, და **ასწავლიდა** მათ.“ (მარკოზი 2: 13)

„კვლავ დაიწყო **სწავლება** ზღვის პირას და შეგროვდა მის ირგვლივ იმდენი ხალხი, რომ ნავში ჩაჯდა და ზღვაში შევიდა, ხოლო მთელი ხალხი ზღვის პირას, ხმელეთზე იყო.“ (მარკოზი 4: 1)

„ბევრ რასმე **ასწავლიდა** იგავებით და თავისი **სწავლით** ამბობდა.“ (მარკოზი 4: 2)

„შაბათ დღეს დაიწყო **სწავლება** სინაგოგაში და მრავალი მსმენელი გაოცებული ამბობდა: ვინ მისცა ყოველივე ეს, ან რა სიბრძნე აქვს ბოძებული, რომ ამნაირი სასწაულები ხდება მისი ხელით?“ (მარკოზი 6: 2)

„უკვირდა მათი ურწმუნოება, ახლომახლო სოფლებში დადიოდა და **ასწავლიდა** მათ.“ (მარკოზი 6: 6)

„შეიკრიბნენ მოციქულები იესოსთან და უამბეს ყველაფერი, რაც ექმნათ და **ესწავლებინათ**.“ (მარკოზი 6: 30)

„გამოვიდა იესო, დაინახა დიდძალი ხალხი და შეებრალა ისინი, რადგანაც იყვნენ, როგორც უმწყემსო ცხვრები; და დაიწყო მათთვის მრავალი რამის **სწავლება**.“

(მარკოზი 6: 34)

„და დაუწყო მათ **სწავლება**, რომ ძეს კაცისას ელოდა მრავალი ტანჯვის დათმენა, შეურაცხყოფა უხუცესთაგან, მღვდელმთავართა და მწიგნობართაგან, სიკვდილით დასჯა და მესამე დღეს აღდგომა.“ (მარკოზი 8: 31)

„ვინაიდან **ასწავლიდა** თავის მიწაფეებს და ეუბნებოდა მათ, რომ ძე კაცისა მიეცემა კაცთა ხელში, მოკლავენ მას და, სიკვდილის შემდეგ, მესამე დღეს აღდგება მკვდრეთით.“ (მარკოზი 9: 31)

„**ასწავლიდა** მათ და ამბობდა: განა დაწერილი არ არის, რომ ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება ყველა ხალხისთვის? თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი.“

(მარკოზი 11: 17)

„მივიდნენ ისინი და უთხრეს: მოძღვარო, ვიცით, რომ მართალი ხარ, და არავის არჩევ, ვინაიდან არ უყურებ სახეს კაცისას, არამედ სამართლით **გვასწავლი** ღმრთის გზას. გვმართებს თუ არა ხარკი ვაძლიოთ კეისარს? ვაძლიოთ თუ არ ვაძლიოთ?“

(მარკოზი 12: 14)

„**კვლავ ასწავლიდა** იესო ტაძარში და თქვა: როგორ ამბობენ მწიგნობრები, რომ ქრისტე დავითის ძეა?“ (მარკოზი 12: 35)

„და თავისი **სწავლით** ამბობდა: ეკრძალებოდა მწიგნობრებს, რომლებსაც უყვართ გრძელი სამოსით მოკაზმვა და საკრებულოებში - საღმისი ძღვნა.“ (მარკოზი 12: 38)

„ლელვის ხისაგან **ისწავლეთ** იგავი: როცა მისი ტოტები რბილდება და ფოთლები გამოაქვს, იცით, რომ ახლოა ზაფხული.“ (მარკოზი 13: 28)

„დღენიადაგ თქვენთან ვიჯექი და **გასწავლიდით** ტაძარში, და არ შეგიპყრივართ. მაგრამ აღსრულდეს წერილი.“ (მარკოზი 14: 49)

„რომ შეიცნო იმ მოძღვრების ჭეშმარიტება, რომელიც **გისწავლია**.“ (ლუკა 1: 4)

„**ასწავლიდა** მათ სინაგოგებში და განდიდებულ იყო ყველას მიერ.“ (ლუკა 4: 15)

„და ჩავიდა გალილეის ქალაქ კაპერნაუმში და იქ **ასწავლიდა** მათ შაბათობით.“

(ლუკა 4: 31)

„ავიდა ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო. სთხოვა ნაპირს ცოტა გამორებოდა, ჩაჯდა და ნავიდან **ასწავლიდა** ხალხს.“ (ლუკა 5: 3)

„ერთ დღეს, როცა ის **ასწავლიდა**, ისხდნენ იქ ფარისეველნი და რჯულის მოძღვარნი, რომელნიც მოსულიყვნენ გალილეისა და იუდეის ყოველი კუთხიდან და იერუსალიმიდან, და უფლის ძალა იყო მასთან განსაკურნავად.“ (ლუკა 5: 17)

„და მოხდა, რომ ერთ სხვა შაბათსაც შევიდა სინაგოგაში და **ასწავლიდა** მათ. იქ იყო კაცი, რომელსაც მარჯვენა ხელი გამხმარი ჰქონდა.“ (ლუკა 6: 6)

„მოწაფე მასწავლებელზე მეტი არ არის, ხოლო ყველა **სწავლაგასრულებული**, ისეთივე იქნება, როგორც მისი მასწავლებელი.“ (ლუკა 6: 40)

„ერთხელ, როცა იგი ერთ ადგილას ლოცულობდა, და დაასრულა ლოცვა, ერთმა მოწაფეთაგანმა მიმართა: უფალო, **გვასწავლე** ლოცვა, როგორც იოანე ასწავლიდა თავის მოწაფეებს.“ (ლუკა 11: 1)

„ვინაიდან სულიწმიდა **გასწავლით** მაშინ, რაც უნდა ილაპარაკოთ.“ (ლუკა 22: 1)

„**ასწავლიდა** მათ ერთ სინაგოგაში შაბათს.“ (ლუკა 13: 12)

„მიმოდიოდა ქალაქებსა და სოფლებში, **ასწავლიდა** და თან იერუსალიმის გზას ადგა.“ (ლუკა 13: 22)

„მაშინ დაუწყებთ ლაპარაკს: „შენს წინაშე ვკამდით და ვსვამდით, და ჩვენს ქუჩებში **ასწავლიდი**.“ (ლუკამ 13: 26)

„და **ასწავლიდა** ყოველდღე ტაძარში. ხოლო მღვდელმთავარნი, მწიგნობარნი და ერისმთავარნი ცდილობდნენ მის დაღუპვას.“ (ლუკა 19: 47)

„ერთ დღეს, როცა ის ხალხს **ასწავლიდა** ტაძარში და ახარებდა, მიუცვივდნენ მღვდელმთავარნი და მწიგნობარნი უხუცესებთან ერთად.“ (ლუკა 20: 1)

„ჰკითხეს მას და უთხრეს: მოძღვარო, ვიცით, რომ სიმართლეს ლაპარაკობ და **ასწავლი**, არავის მიჰკერძებ, არამედ ჭეშმარიტებით **ასწავლი** ღვთის გზას.“ (ლუკა 20: 21)

„დღისით იესო ტაძარში იმყოფებოდა და **ასწავლიდა**. ღამ-ღამობით კი ადიოდა მთაზე, რომელსაც ზეთისხილისა ეწოდება.“ (ლუკა 21: 37)

„მაგრამ ისინი დაჟინებით ამბობდნენ: ეგ აშფოთებს ხალხს, **ასწავლის** მთელ იუდეაში, გალილეიდან მოყოლებული აქამდე.“ (ლუკა 23: 5)

„ამიტომ ჰკუთხას **ვასწავლი** და გავუშვებ.“ (ლუკა 23: 16)

„მესამედ უთხრა მათ: რა ბოროტება აქვს ჩადენილი? მე ვერაფერი სასიკვდილო ბრალი ვერ ვპოვე მასში. ამიტომ **ჰკუთხას ვასწავლი** და გავუშვებ.“ (ლუკა 23: 22)

სწავლ- ძირით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულების რაოდენობა მთაწმინდელი-სეულ სახარების ტექსტში შეადგენს 24 ერთეულს. მივიღეთ შემდეგი ფორმები: სწავლულ, ასწავებდა, უსწავლელად, ასწავებდა, ისწავოს, სწავლად, ისწავეთ, ასწავებდა, ასწავლედ, ისწავეთ, ასწავებდა, ვასწავებდ, ვასწავებდ, სწავლაჲ, სწავლად, ქადაგებად, იწყო სწავლად, იწყო სწავლასა, იწყო სწავლად, იწყო სწავლად, იწყო სწავლად, სწავლასა, ვსწავლო.

ბრეგვაძისეულ სახარების თარგმანში სწავლ- ძირის გამოყენების შემთხვევები თითქმის სამჯერ უფრო ხშირია, ძველ ქართულ თარგმანთან შედარებით სულ მოიძებნა 69 ლექსიკური ერთეული: განისწავლება, სწავლობს, ასწავლიდა, ასწავლიდა, უსწავლელად, ასწავლიდა, ასწავლოს, ასწავლიდა, მასწავლა, გვასწავლი, გვასწავლით, ასწავლიდა, ვასწავლიდი, გასწავლათ, ასწავლიდა, ასწავლიდა, ასწავლის , ასწავლის, ასწავლიდა, ისწავლეთ, ასწავლიდა სასწავლად, ისწავლეთ, ასწავლიდა, ასწავლიდა, ასწავლიან, გვასწავლი, ისწავლეთ, გასწავლიდით, ასწავლეთ, ასწავლიდა, ასწავლიდა, ასწავლიდა, სწავლება, სწავლით, სწავლება, ასწავლიდა, ესწავლებინათ, სწავლება, ასწავლიან, სწავლება, ასწავლიდა, ასწავლიდა, ასწავლიდა, გვასწავლი, ასწავლიდა, სწავლით, ისწავლეთ, გასწავლიდით, გისწავლია, ასწავლიდა, ასწავლიდა, ასწავლიდა, ასწავლიდა, ასწავლიდა, სწავლაგასრულებული, გვასწავლე, გასწავლით, ასწავლიდა, ასწავლიდა, ასწავლიდი, ასწავლიდა, ასწავლიდა, ასწავლი, ასწავლი, ასწავლიდა, ასწავლის, ჭკუას ასწავლი, ვასწავლი.

5.7. ფიქრ- ძირის სემანტიკისათვის

ფიქრი, როგორც ადამიანის მენტალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესი, გონიერების ამსახველი ლექსიკის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიეთ და ჩავთვალეთ, რომ ფიქრ- ფუძით ნაწარმოები სიტყვები უნდა შესულიყო ჩვენთვის საკვლევ სემანტიკურ ბადეში. მთაწმინდელისეული სახარების თარგმანში არ ფიქსირდება არც ერთი ფიქრ- ძირით ნაწარმოები სიტყვა, მაგრამ ბრეგვაძისეული თარგმანი იყენებს ფიქრ- ძირით ნაწარმოებ ფუძეებს. ჩვენ ამოვიწერეთ სახარების ბრეგვაძისეული თარგმანიდან ყველა ეს მაგალითი და მოვძებნეთ მათი შესატყვისობები მთაწმინდელისეულ სახარებაში:

ლუკას სახარება

მთაწმინდელი:

„ხოლო მან რაჲ იხილა, შეძრწუნდა სიტყუასა მას მისსა ზედა და განიზრახვიდა: ვითარ-
მე არს მოკითხვაჲ ესე?“ (ლუკა 1: 29)

ბრეგვაძე:

„ის შეშფოთდა ამ სიტყვებზე და ჩაფიქრდა: რას უნდა ნიშნავდესო ეს მისალმება?“
(ლუკა 1: 29)

მთაწმინდელი:

„და ვითარცა მოელოდა ერი იგი, და განიზრახვიდეს ყოველნი გულთა მათთა
იოვანესთვის, ნუუკუე იგი არს ქრისტე.“ (ლუკა 39: 15)

ბრეგვაძე:

„როცა ხალხი მოლოდინში იყო და ყველა თავის გულში ფიქრობდა იოანეზე, ქრისტე
ხომ არ არისო.“ (ლუკა 3: 15)

მთაწმინდელი:

„და თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ იყო
მედ იოსებისა, ელისა.“ (ლუკა 3: 23)

ბრეგვაძე:

„თვით იესო, როცა იწყებდა, იქნებოდა ოცდაათი წლისა და, როგორც ფიქრობდნენ, იყო
მე იოსებისა, ყელისა.“ (ლუკა 3: 23)

მთაწმინდელი:

„მიუგო სიმონ და თქუა: მე ეგრე ვჰგონებ, ვითარმედ რომელსაცა-იგი უფროდსი
მიუტევა. ხოლო თავადმან თქუა: სამართლად საჯე.“ (ლუკა 7: 43)

ბრეგვაძე:

„მიუგო სიმონმა და თქვა: „მე ვფიქრობ, რომელსაც უფრო მეტი მიუტევა“. ხოლო მან
უთხრა მას: „სწორად განსაჯე.“ (ლუკა 7: 43)

მთაწმინდელი:

„შევიდა მათდა გულის-სიტყუაჲცა: ვინ-ძი უდიდეს იყოს შორის მათსა?“ (ლუკა 9: 46)

ბრეგვაძე:

„ერთი ფიქრი კი დაეზადათ: ვინ უფრო დიდი იყო მათ შორის?“ (ლუკა 9: 46)

მთაწმინდელი:

„ვინ უკუე ამათ სამთაგანი გგონიეს შენ მოყუას მისა, რომელ იგი შევარდა ავაზაკთა მათ?“ (ლუკა 10: 36)

ბრეგვაძე:

„რას ფიქრობ, იმ სამიდან რომელი უფრო იყო ყაჩაღების ხელში ჩავარდნილის მოყვასი?“ (ლუკა 10: 36)

მთაწმინდელი:

„და განიზრახვიდა გულსა შინა თვსსა და თქუა: რაა-მე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა შევიკრიბო ნაყოფი ჩემი?“ (ლუკა 12: 17)

ბრეგვაძე:

„იფიქრა თავისთვის: „რა ვქნა, არაფერი მაზადია, რომ სადმე დავაბინავო ჩემი მოსავალი?“ (ლუკა 12: 17)

მთაწმინდელი:

„და თქუენცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰგონებდით, მე კაცისაჲ მოვიდეს.“ (ლუკა 12: 40)

ბრეგვაძე:

„ამიტომ თქვენც მზად იყავით, ვინაიდან, რომელ ჟამზეც არ ფიქრობთ, სწორედ მაშინ მოვა მე კაცისა.“ (ლუკა 12: 40)

მთაწმინდელი:

„და იყო განზრახვასა მას მათსა ამისთვის, და აჰა ესერა ორ კაც ზედა მოადგეს მათ სამოსლითა ელვარითა.“ (ლუკა 24: 4)

ბრეგვაძე:

„ამის გამო შეფიქრიანდნენ და, აჰა, მათ წინაშე წარსდგა ორი მამაკაცი, ბრწყინვალე სამოსლით მოსილი.“ (ლუკა 24: 4)

მთაწმინდელი:

„და თავადმან ჰრქუა მათ: რაჲსა შეძრწუნებულ ხართ, და რაჲსათვს გულის-სიტყუანი მრავალნი მოვლენან გულთა თქუენტა?“ (ლუკა 24: 38)

ბრეგვაძე:

„მაგრამ მან უთხრა: რატომ შეძრწუნდით და რატომ გეზადებათ გულში ასეთი ფიქრები?“ (ლუკა 24: 38)

მათეს სახარება

მთაწმინდელი:

„იცოდნა იესუ **ზრახვანი იგი გულისა** მათისანი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი განევლთის თავსა თვისსა, მოჰკრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევლთის თავსა თვისსა, ვერ დაემტკიცოს.“ (მათე 12: 25)

ბრეგვაძე:

„მაგრამ იცოდა იესომ, რასაც **ფიქრობდნენ** ისინი, და უთხრა მათ: ყოველი სამეფო, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, გაპარტახდება: და ყოველი ქალაქი, გინდა სახლი, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, დაიქცევა.“ (მათე 12: 25)

მთაწმინდელი

„ხოლო იგინი **განიზრახვიდეს** გულსა თვისსა და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა მოვიღეთ.“ (მათე 16: 7)

„**გულისკმა-ყო** იესუ და ჰრქუა მათ: რადსა **ჰზრახავთ** გულთა შინა თქუენთა, მცირედ-მორწმუნენო, რამეთუ პური არა მოიხუენით?“ (მათე 16: 8)

„ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან, სატანა, საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა **ჰზრახავ** ღმერთისასა, არამედ კაცთასა.“ (მათე 16: 23)

ბრეგვაძე:

„ისინი კი **გულში ფიქრობდნენ**: ალბათ, იმიტომ გვეუბნება, პურის წამოღება რომ დაგვავიწყდოდ.“ (მათე 16: 7)

„**მიუხვდა** იესო და უთხრა მათ: რას **ფიქრობთ**, მცირედ მორწმუნენო: პურის წამოღება დაგვავიწყდოდ?“ (მათე 16: 8)

„ხოლო ის მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: გამშორდი, სატანა! ჩემი საცთური ხარ! რადგან ღმერთისას კი არ **ფიქრობ**, არამედ კაცისას.“ (მათე 16: 23)

მარკოზის სახარება

მთაწმინდელი:

„ხოლო იესუ მეყსეულად **გულისკმა-ყო** სულითა, რამეთუ ესრეთ **ზრახვენ გულთა შინა** მათთა, და ჰრქუა მათ: რასა მაგას **ჰზრახავთ** გულთა შინა თქუენთა?“ (მარკოზი 2: 8)

ბრეგვაძე:

„ხოლო იესომ მყისვე შეიცნო სულით, რასაც **ფიქრობდნენ**, და უთხრა მათ: რად **ფიქრობთ** მაგას თქვენს გულში?“ (მარკოზი 2: 8)

მთაწმინდელი:

„ხოლო თავადი მიექცა და იხილნა მოწაფენი თჳსნი, შეჰრისხნა პეტრეს და ჰრქუა მას: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო, რამეთუ არა ჰზრახავ ღმერთისასა, არამედ კაცთასა.“ (მარკოზი 8: 33).

ბრეგვაძე:

„ხოლო ის მობრუნდა, გადახედა თავის მოწაფეებს, შერისხა პეტრე და უთხრა: გამშორდი, სატანა; ვინაიდან ღმერთისას კი არ ფიქრობ, არამედ კაცისას.“ (მარკოზი 8: 33)

მასალაზე დაკვირვებით დავადგინეთ, რომელი ლექსიკური ერთეულები ენაცვლება სამწიგნობრო ენაში სიტყვას - ფიქრი. ეს სიტყვებია: **ზრახვა, გულის-ხმა, გულის სიტყვა, გგონიეს, საგონებელ-იყო.** ცხრილში მოცემულია ჩანაცვლების მაგალითები:

N	მთაწმინდელთან	ბრეგვაძესთან
1	განიზრახვიდა	ჩაფიქრდა
2	განიზრახვიდეს	ფიქრობდა
3	საგონებელ იყო	ფიქრობდნენ
4	ვჰგონებ	ვფიქრობ
5	გულის-სიტყვაჲცა	ფიქრი
6	გგონიეს	ფიქრობ
7	განიზრახვიდა	იფიქრა
8	ჰგონებთ	ფიქრობთ
9	იყო განზრახვასა	შეფიქრიანდნენ
10	გულის-სიტყუანი	ფიქრები
11	ზრახვანი იგი გულისანი	ფიქრობდნენ
12	განიზრახვიდეს	გულში ფიქრობდნენ
13	გულისჰმა-ყო	ფიქრობდნენ
14	ზრახვენ გულსა შინა	ფიქრობთ
15	არა ზრახავ	არ ფიქრობ

ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფს განეკუთვნება ჩვენს მიერ მოძიებული ლექსიკური ერთეულები - ზრახვა, გულის-ხმა, გულის სიტყვა, გგონიეს, საგონებელ-იყო.

5.8. ჭკუა- ძირის სემანტიკისათვის

გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების კვლევა-ძიებისათვის **ჭკუა-**ძირის გამოყოფაც დაგვჭირდა. აღმოჩნდა, რომ გიორგი მთაწმინდელის სახარება ამ ფუძეს არ შეიცავს. იგი სხვა სიტყვით არის ჩანაცვლებული: **ვსწავლო** (მთაწმინდელი)-**ჭკუას ვასწავლი** (ბრეგვაძე). ბრეგვაძის თარგმანში კი ეს ფუძე მხოლოდ შესიტყვების სახით გვხვდება - **ჭკუას ვასწავლი**.

მთაწმინდელთან:

„**ვსწავლო** იგი და განუტევო.“(ლუკა 23: 16)

„ხოლო მან მესამედ ჰრქუა მათ: რად ბოროტი უქმნიეს ამას? არარად ბრალი სიკუდილისად ვპოე ამის თანა. **ვსწავლო** ეგე და განუტევო.“ (ლუკა 23: 22)

ბრეგვაძესთან :

„ამიტომ **ჭკუას ვასწავლი** და გავუშვებ.“(ლუკა 23: 16)

„მესამედ უთხრა მათ: რა ბოროტება აქვს ჩადენილი? მე ვერაფერი სასიკვდილო ბრალი ვერ ვპოვე მასში. ამიტომ **ჭკუას ვასწავლი** და გავუშვებ.“ (ლუკა 23: 22)

თავი VI

მენტალურ დეფექტებზე მიმანიშნებელი ლექსიკის ფორმობრივ-სემანტიკური დახასიათება

მენტალურ დეფექტებზე მიმანიშნებელი ლექსიკის ფორმობრივი და სემანტიკური მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ამ ლექსიკის დიაპაზონი და ლექსიკოგრაფიული პოტენციალი.

სიტყვა შეიძლება შეიცვალოს მიმოხრის (ბრუნების) ან წარმოქმნის, იმავე დერივაციის დროს. როგორც აკაკი შანიძე აღნიშნავს, სახელის წარმოქმნით მიღებული ფორმები ერთია გრამატიკულად და განსხვავდება ლექსიკურად. შეიძლება ვთქვათ, რომ დერივაციის გზით სახელის ფუძისაგან მიღებული ფორმა ისევე ფუძეა, მაგრამ სხვა სახელისა, რომელსაც შინაარსი სხვა ახლავს (შანიძე, 1995: 70).

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ჩვენთვის საინტერესო ლექსიკური ერთეულები ფორმობრივად ასე ნაწილდება:

საწყისი: გა-გონ-ებ-ა, გონ-ება, შე-გონ-ებ ა, გონ-ი, ცოდნ-ა, ხსოვნ-ებ ა..

მიმღობა: ცნობ-ილ-ი, მ-ცნ-ობ-ი, მ-ცოდ-ი-ნარ-ე, მა-ხსოვ-არ-ი..

ზმნა: ა-გონ-ა, ი-გონ-ა, მა-მა-გონ-ა, ვ-სწავლ-ი, ვ-სწავლ-იდ-ი, ვ-მწიგნ-ობ-რ-ობ...

წარმოებული: სა-გონ-ებ-ელ-ი, მო-საზრ-ებ-ა, სა-ცნაურ-ი, შე-ს-წავებ-ულ-ი..

კომპოზიტები: გულ-ის-ზრახვ-ა, გულ-ის-ყურ-ი, გულ-ის-ხმ-ა, გულ-ის-სიტყვ-ა, გულ-პერობილი, გულ-მოდგინე, გულ-მავიწყი...

გონიერების აღმნიშვნელ ლექსიკაზე დაკვირვებამ გვიჩვენა მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსები.

„ელ“ სუფიქსი , როგორც აკ.შანიძე აღნიშნავს აწარმოებს წარმომავლობის სახელებს (შანიძე, 1995: 74). გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებიც ასევე იყენებენ ამ სუფიქსს: მბრძანებ-ელ-ი; მბრძნობ-ელ-ი;

გვხვდება აბსტრაქტული სახელის მაწარმოებელი სუფიქსები:

„სი-ე“ - „სი-ბრძნ-ე“;

„-ობა“ - „გამგონებლ-ობა“;

„-ება“ - „უ-გუნერ-ება; გაგონ-ება“;

ქონების აღმნიშვნელი „-იან-, -იერ-“ სუფიქსები აწარმოებს შემდეგ სიტყვებს: გონ-იერ-ი; ჭკვ-იან-ი;

„-ელ-“ წარმომავლობის სუფიქსით იწარმოება- მცოდნ-ელ-ი;

თანამედროვე ქართულ ლექსიკონში გვხვდება სიტყვა „ნააზრევი“, რომელიც მიღებულია სიტყვისაგან „აზრი“, წინა ვითარების პრეფიქს-სუფიქსის „ნა-ევ-“ დართვით. თანამედროვე ლექსიკონში გონიერების ლექსიკის მიმანიშნებელი ლექსიკური ერთეულები ფორმობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. მაგ.:

საწყისი: აზროვნ-ებ-ა, ნა-აზრ-ევ-ი, გონ-ი.

მიმღეობა: სწავლ-ულ-ი, ცნობ-ილ-ი.

ზმნა: შე-ცნ-ობ-ა, ა-ცნობ-ს.

წარმოებული: აზრ-იან-ი, მო-სა-ზრ-ებ-ულ-ი, ფიქრ-იან-ი.

კომპოზიტი: გონება-მახვილ-ურ-ი, გონება-გახსნ-ილ-ი, აზრ-დაკარგ-ულ-ი, ფიქრ-ებ-აშლილ-ი, ჭკუა-დამჯდარ-ი, ჭკუა-გონება, გონება-დაბნე-ულ-ი.

ჩვენ დავადგინეთ „ვეფხისტყაოსანში“ გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკის შემდეგი ფორმობრივი ჯგუფები:

საწყისი: გონ-ება, გონ-ებ-ის-ა, შე-გონ-ება, სწავლ-ა-ს-ა, სწავლ-ა; ცოდნ-ა, ცოდნ-ა-ს-ა, ცოდნ-ამ;

მიმღეობა: სა-გონ-ებ-ლ-ად, გა-მ-გონ-ი, გა-სა-გონ-ი, მ-გონ-ებ-ელ-ი, სწავლ-ებ-ულ-ი, გან-სწავლ-ულ-სა, ნა-სწავლ-ებ-ის-ა, მა-სწავლ-ებ-ლ-ად;

ზმნა: იგონებდეს, მეგონა, მომეგონა, გ-ი-გონ-ებ-დ-ე, გ-გონ-ი-ა, გა-მ-ი-გონ-ე, ე-სწავლ-ნენ, მა-სწავლ-ეს, ვ-ი-სწავლ-ებ-ი-თ, გა-ა-სწავლ-ებ-ს, ა-სწავლ-ი-ს, მ-ა-სწავლ-ე-თ; გ-ცოდნ-ი-ან;

წარმოებული: უ-გ-უნ-ურ-თ-ა; უ-გნ-ურ-ებ-ს, გონ-იერ-თ-ა, გონ-იერ-ებ-ს, უ-სწავლ-ელ-ს-ა; უ-ცოდნ-ელ-ია

კომპოზიტი: სწავლა-თქმულსა;

ფორმობრივი ჯგუფები სახარებაში:

საწყისი : გონ-ებ-ა, შე-გონ-ებ- ა, გა-გონ-ებ-ა; მ-ცნ-ებ-მ, ცნ-ობ-ა-დ.

მიმღეობა : გა-მგონ-ე, გა-გონ-ილ-ი;

ზმნა : ე-გონ-ა, გა-გონ-ილ-ა, მო-ი-გონ-ეს, შე-ა-გონ-ებ-და; ი-ცოდნ-ა, ი-ცნო-დ-ა, ა-მ-ცნ-ო, გ-ი-ცნ-ა, ცნ-ობ-დინ....

წარმოებული: შთა-გონ-ებ-ულ-ი, უ-გუნ-ურ-ი, გონ-იერ-ი; უ-ცნობ-ელ-ნ-ო..

კომპოზიტები: გონ-ს მოსული, გონ-ს მოგებული; სჯულის-მე-ცნ-იერ-თ-ა,
სჯულის- მო-ძღვარ-ნ-ი..

მემველზმნიანი ფორმები: ს-ა-ცნ-ა-ურ არს, ს-ა-ცნ-ა-ურ იყოს..

თავი VII

მენტალური შეზღუდულობის, სიბრძნე-გონიერების არქონის, ინტელექტუალური კნინობისა და სხვა უარყოფითი კონოტაციის გამოხატვის საშუალებები

ნეგატიური მნიშვნელობისა თუ კონოტაციის შემცველი ლექსიკა ნებისმიერ ენაში მრავლად მოიძვეება და გამოიყენება; სპეციალისტების აზრით, ფასეულობათა გაგება მხოლოდ დადებითი კონოტაციით ფორმულირებაში ვერ გადმოიცემა; აუცილებელია აღიწეროს არა მხოლოდ ის, რაც კარგია, არამედ ისიც, რაც ამა თუ იმ კულტურას კარგად არ მიაჩნია. როგორც მ. ტაბიძე მიუთითებს, „სამყაროს ენობრივი სურათის შესწავლა დღეს სოციალურ-კულტურული ასპექტების მიხედვით ენის დახასიათების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. სამყაროს ენა ადამიანისეულ პროექციაში ხედავს. და რაოდენ ობიექტური სურათიც არ უნდა გადაუღოს გარემოს ყველაზე მგრძნობიარე ხელსაწყოებმა, მაინც ბოლოს ადამიანის მიერ აღიწერება და შეფასდება ყოველივე. ენა, ამ თვალსაზრისით, უმთავრეს ინტერპრეტატორად გვევლინება, და სწორედ ლექსიკა-ფრაზეოლოგიით გადმოიცემა ის სურათი, რომელიც ჩვენმა მენტალურმა თუ ფიზიკურმა ძალებმა აღიქვა. ასე ჩნდება შედარებებისა თუ ანალოგიების გამომხატველი ლექსემები...ამ მასალაში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მენტალურ ნაკლთან დაკავშირებული მსჯელობა: ფიზიკურ თუ მენტალურ ნაკლზე მითითების ლექსიკას მეტაფორიზების ძალიან მაღალი ხარისხი აქვს, განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ასეთი თემატური ლექსემები იუმორის ან სატირისათვის.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი საზოგადოებისათვის მადისკრიმინირებლად არ მიიჩნეოდა თანდაყოლილი დეფექტის დასახელება ნეიტრალურ კონტექსტში, რადგან ფიზიკური ან სულიერი დეფექტი ნაკლს არ წარმოადგენდა, თუკი ამგვარი დეფექტის მქონე პირი საზოგადოებრივად და ზნეობრივად სანიმუშო ადამიანი იყო. თანდაყოლილი ნაკლოვანება უარყოფით კონტექსტში მაშინ ხვდებოდა, როდესაც ადამიანი რაიმე ცუდს ჩაიდენდა ან საზოგადოებისათვის მტრულ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ არც ამ დროს ხდებოდა ბუნებრივი ხარვეზის განზოგადება ყველა ნაკლულოვან ადამიანზე. ქცევისა და

ლინგვისტური წარმოდგენების კავშირზე მიუთითებენ სხვადასხვა ავტორები (Nancy E. Adler, Michael Marmot, Bruce S. McEwen, Judith Stewart 1999).

გავიხსენოთ, თუნდაც საბას „სიბრძნე სიცრუისას“ რუქა: ის, საჭურისობის მიუხედავად, მეფის მრჩეველია, მაგრამ, როდესაც მისი ბოროტება იჩენს თავს, მაშინ კი აღინიშნება ხოლმე სხვათაგან მისი ფიზიკური განსხვავებულობა: „და იყო საჭურისი მეფისა კაცი გულჩქარი და ფიცხელი“, „რუქავ! როგორიც კაცი შენა ხარ, ის გველიც, შენი ნათქვამი, შენისთანა ყოფილა, თვარა კარგისათვის ავს ვინ უზამს კაცსაო.“ „-მის მსგავსად, შენც გონების თვალთ ბრმა ხარ და ყოველი შენებრ გგონია.“ „- ჰე, შენ, რუქავ! შენც ხომ მათსაებრ ხეიბარი ხარ და ღვინოც, ვეჭვობ, გესვას, თვარა ეგრეგვარსა რა გამბობინებს?“ სწორედ ბოროტებისა და მოვლენათა შეფასებისას მუდამ ნეგატიურის ძეგლის თვისებამ აღანიშნინა ლეონს რუქას არასტანდარტული და ავი მსოფლმხედველობის განმაპირობებელი მიზეზი: „შემოხედა ლეონ და სცნა საჭურისობა მისი, უთხრა: - მართალსა იტყვი. თუცა ბედკეთილი ვყოფილვიყავ, დღეს შენ არა გნახევდიო. ეჰა, შენი ბედსვიანობა ღირს? თუცა მამაკაცი ხარ, წვერი და ულვაში სადა არს? თუცა დიაცი ხარ, სადა არს თმანი ნათხზენი? თუცა ჭაბუკი ხარ, სადა არს ძლიერება მაჯათა? და თუცა ქალი ხარ, შევნიერთა ძუძუთა შემიხვიე: თუცა კაცი ხარ, არა გაქვს სიმხნე ასოთა, თუცა დედათაგანი ხარ, არა ძალ-გიც შობა შვილისა. ავბედო! შენი წესია, თვით არა ძალგიც და თუცა დიაცი დაინებო, სხვათა მიაყოლებ. შავბედო! მამაცისა საქმე არა გაც და ღმერთმან ნურც როსკიპი დიაცი გადაროს! სადაცა სიტყვა საჭურისისა გავიდეს, მუნცა ცოლი არა იყოს ცოლი ქმრისა თვისისა.“ (ტაბიძე 2017: 321–329)

ენის სისტემურ დონეზე უარყოფა შეიძლება გამოხატული იყოს უარყოფითი ლექსიკური ერთეულებით, რომლებსაც შეიძლება იმთავითვე ჰქონდეს უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობა, რაც ქართულ ენაში მცირე რაოდენობით გვხვდება, ან წარმოებული იყოს სხვადასხვა საშუალებით. ქართულში უარყოფითი ლექსიკური ერთეულების წარმოების საშუალებებია: აფიქსაცია, პრეფიქსაცია და სიტყვათა წარმოება. (ადვაძე 2015: 103)

ლექსიკურ დონეზე უარყოფა ქართულში გამოიხატება უარყოფითი უ-პრეფიქსის საშუალებით გარკვეულ სუფიქსებთან კომბინაციაში და უარყოფის მაწარმოებელი ძირი -თადი ნაწილაკების - არ, ვერ, ნუ - საშუალებით.

სახელებში უარყოფის მაწარმოებლად გამოიყენება აფიქსები: უ-ი; უ-ო: ისინი აწარმოებენ ზედსართავ სახელებს

1. ნაზმნარი სახელებისაგან: და-უ-წერ-ელ-ი, და-უ-ხატავ-ი, გა-უ-კეთებ-ელ-ი და

2. არსებითი სახელებისაგან: უ-ტვინ-ო, უ-გულ-ო, უ-ადგილ-ო, უ-ავტორ-ო; „არსებით სახელთაგან წარმოებული უარყოფითი ზედსართავები აღნიშნავენ ამოსავალი ზედსართავი სახელებით აღნიშნული რაიმეს ან ვინმეს უქონლობა/უყოლობას. წარმოება თითქმის შეუზღუდავია.“(ადვაძე 2011: 104)

გამონაკლისის სახით უარყოფითი ზედსართავი სახელები შეიძლება ნაწარმოები იყოს დამხმარე სიტყვებისგანაც. მაგალითად: უ-თუ-ო, უ-ებრ-ო (შანიძე 1973: 123). ზედსართავი სახელებისაგან: უ-გნ(<გონ)-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი.

უ-ურ, უ-ულ აფიქსები აწარმოებს ზედსართავ სახელებს: არსებითი სახელებისაგან, მაგრამ თანამედროვე ქართულში შეზღუდულად გამოიყენება (შანიძე, 1973: 122). ასეთი ზედსართავი სახელებია: უ-ბედ-ურ-ი, უ-დაბ-ური, უ-დღე-ურ-ი, უ-მად(<მადლ)-ურ-ი), უ-ჟმ(<ჟამ)-ურ-ი, უ-ფერ-ულ-ი, უ-ძლ-ურ-ი, უწიგნ-ურ-ი; (შანიძე 1973: 126 ; ადვაძე 2015 : 105)

უ-ო აფიქსებით ნაწარმოები ზედსართავისაგან „-ობა-“ მაწარმოებლის დართვით, მიიღება უარყოფითი არსებითი სახელები, მაგ.: უ-გულ ობა, უ-ბედ-ობა; ჩვეულებრივ,

უ-ო და უ-ურ/ულ მაწარმოებლები ერთსა და იმავე მნიშვნელობას - უქონლობას - გამოხატავენ. მათი პარალელური ხმარების დროს ზოგჯერ თავს იჩენს სემანტიკური დიფერენციაცია: უ-ბედ-ო და უ-ბედ-ურ-ი ნიშნავს ბედის არქონას, მაგრამ, გარდა ამისა უ-ბედ-ურ-ი გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს: ცუდი, აუტანელი. ასევეა : უ-წიგნ-ო და უ-წიგნ-ურ-ი. უ-წიგნ-ო ნიშნავს „ვისაც წიგნი არა აქვს“; უ-წიგნ-ურ-ი ნიშნავს:

ა) წიგნის, წერა-კითხვის უცოდინარი;

ბ) უვიცი, გაუნათლებელი.(ჯორბენაძე 1984: 137-148)

როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს „უარყოფის არ, ვერ და ნუ ნაწილაკები გარკვეული კანონზომიერებით არის განაწლებული. ნუ ძირითადად გამოიყენება თხოვნითი აკრძალვის შემთხვევებში, ჩვეულებრივ აწმყოსა და მყოფადის ფორმებთან: ნუ წერ! ნუ დაწერ! იშვიათად კავშირებითის ფორმებთან: „ღმერთმა ნუ ქნას“. ვერ

ნაწილაკი გვხვდება მხოლოდ თხრობითსა და კავშირებით კოლოში, ბრძანებითში იგი არ გამოიყენება. გამოხატავს შეუძლებლობას: ვერ აკეთებს, ვერ გააკეთა; არ ნაწილაკი გამოიყენება როგორც ბრძანებითში, ასევე თხრობით და კავშირებით კილოში. იგი გამოხატავს კატეგორიულ უარყოფას : არ აკეთებს, არ აკეთო (ჯორბენაძე 140, 141);“

7.1. უარყოფითი ფორმები ლექსიკონში

უარყოფით ფორმებზე დაკვირვებამ თანამედროვე ლექსიკონში საინტერესო მასალა მოგვცა :

N	ძირითადი ლექსიკური ერთეულები	ბუდის ლექსიკური მარაგი	სხვა ერთეულები
1.	უაზრო	აზრდაბნეული	სულელი, ბრიყვი
2.	უგონო	გონებადაბნეული, გონებადაკარგული, გონებაშეზღუდული, გონებაჩლუნგი.	ჩლუნგი, დაბნეული, გონმავიწყი, უგულისყურო, ბეცი.
3.	უსწავლელი	უსწავლელობა.	უტვინო, უცოდინარი.
4.	უცოდნელი	უცოდინარი, უცნობი, უცოდნელი, ცნობადაკარგული, ცნობამიხდილი, უვიცი.	შეუგნებელი, რეგვენი.
5.	უჭკუო	ჭკუადაბნეული, ჭკუადახშული, ჭკუათხელი, ჭკუამოკლე, ჭკუამსუბუქი, ჭკუამხიარული, ჭკუასუსტი.	სულელი, ჩერჩეტი, მჩატე.

7.2. უარყოფითი ფორმები სულხან-საბას ლექსიკონში

N	ძირითადი ლექსიკური ერთეულები	უარყოფითი ფორმები
1	გონება	უგონი, უგნური, უგუნური, უგუნურება, შეუგნებელი, უმეცარი, უმეცრება, გულმავიწყი, უგულისყურო.
2	ცნობა	უცნი.
3	ცოდნა	უვიცი, უიცად, უცბი, უცები.
4	ჭკუა	უჭკუო.
5	აზრი	ბნდუ.

7.3. უარყოფითი ფორმები სახარებასა და „ვეფხისტყაოსანში“

უგუნური, უცოდნელია, უსწავლელნი, უჭკუოსა, ვერ იცნობა, რეტი, შმაგი.

უარყოფითი ფორმები სახარებაში:

მთაწმინდელთან:

უსწავლელად, არ გიცნი, არა იცოდა, ვერ იცნან, უცნობელნი, სულელი, არა ჰზრახავ;

„რამეთუ არა იცოდა, რამცა მიუგო, რამეთუ იყვნეს შეშინებულ.“ (მარკოზი 9: 6)

„და მოიქცა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ, და არარად იცოდეს, რამცა მიუგეს მას.“ (მარკოზი 14: 40)

„მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: არა ამისთვის სცთებითა, რამეთუ არა იცნით წიგნნი, არცა ძალი ღმრთისად?“ (მარკოზი 12: 24)

„ხოლო მან ჰრქუა მათ: **ჰ უცნობელნი** და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათვის ყოველსა ზედა, რომელსა იტყოდეს წინაწარმეტყუელნი!“ (ლუკა 24: 25)

„რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმლოდ, რომელი არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს.“ (ლუკა 8: 17)

„ხარ იერუსალჴმს და არა სცანა, რად-ესე იქმნა მას შინა ამათ დღეთა?“ (ლუკა 24: 18)

„მორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს? არა გიცნობიეს, არცა მოიქსენეთ, რამეთუ დაბრმობილნი გულნი გქონან თქუენ?“ (მარკოზი 7: 17)

„ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რადთა ვერ იცნან იგი.“ (მარკოზი 24: 16)

„და გრქუას: არა გიცნი, ვინანი ხართ; განმეშორენით ჩემგან ყოვლნი მოქმედნი უსჯულოებისანი.“ (ლუკა 13: 27)

„ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რადთა ვერ იცნან იგი.“ (ლუკა 24: 16)

„ხოლო მან ჰრქუა მათ: **ჰ უცნობელნო** და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათჳს ყოველსა ზედა, რომელსა იტყოდეს წინაწარმეტყუელნი!“ (ლუკა 24: 25)

„უკვრდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვითარ უკუე ამან წიგნი იცის **უსწავლელად?**“ (იოანე 7: 15)

„ხოლო თავადი მიექცა და იხილნა მოწაფენი თჳსნი, შეჰრისხნა პეტრეს და ჰრქუა მას: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო, რამეთუ არა **ჰზრახავ** ღმრთისასა, არამედ კაცთასა.“ (მარკოზი 8: 33)

ბრეგვაძესთან:

ვერ გიცნო, არ იცოდნენ, არ იცნით, უგუნური, უსწავლელად.

„როცა დაბრუნდა, კვლავინდებურად მძინარენი ნახა ისინი, ვინაიდან თვალები დამძიმებოდათ, და არ იცოდნენ, რა მიეგოთ მისთვის.“ (მარკოზი 14: 40)

„ხოლო დღესასწაულის დამთავრების შემდეგ, უკან რომ დაბრუნდნენ, ყრმა იესო დარჩა იერუსალიმში, და არ იცოდნენ იოსებმა და მისმა დედამ.“ (ლუკა 2: 43)

„მამაო მართალო! ქვეყანამ ვერ გიცნო, მე კი გიცანი, და მათაც სცნეს, რომ შენ მომავლინე.“ (იოანე 17: 25)

„ხოლო ის მოჰყვა წყევლას და ფიცს: არ ვიცნობ იმ კაცს, ვისზედაც მელაპარაკებითო; და მეორედ იყივლა მამალმა.“ (მარკოზი 14: 71)

„და ვერ გიცნიათ იგი, მე კი ვიცნობ მას. ხოლო თუ ვიტყვი, არ ვიცნობ-მეთქი, თქვენსავით ცრუ ვიქნები. მაგრამ მე ვიცნობ და ვიმარხავ მის სიტყვას.“ (იოანე 8: 55)

„ხოლო ხუთი მათგანი გონიერი იყო, ხუთი კი - უგუნური.“ (მათე 25: 2)

„უკვირდათ იუდეველებს და ამბობდნენ: ნუთუ უსწავლელად იცის წერილი?“ (იოანე 7: 15)

„ხოლო ის მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: გამშორდი, სატანა! ჩემი საცთური ხარ! რადგან ღმერთისას კი არ ფიქრობ, არამედ კაცისას.“ (მათე 16: 23)

რეტი და შმაგი თანამედროვე თარგმანში აღარ გვხვდება, იგივე შეიძლება ითქვას სიტყვაზე - ბნდუ, რომელსაც ასახელებს ს.ს. ორბელიანი „სიტყვის კონაში“, „ბნდუ-მიუმხვდარი, სადა დადვას, ვერ იპოოს“(ორბელიანი1991:106) თანამედროვე ლექსიკონში ეს სიტყვა არ იძებნება.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სემანტიკური ველის დადგენისას უარყოფით (ნეგატიურ) ფორმებს თავს ვერ ავარიდებთ, მით უფრო, რომ ქართულში უარყოფითობის მაწარმოებლებს დიდი სიტყვაწარმოებითი პოტენციალის გარდა, ძლიერი კონოტაციური მგრძნობიარობა ახასიათებს.

როგორც კვლევამ აჩვენა, ცოდნა-გონიერების ლექსიკა მთლიანად ენის ლექსიკური სისტემის ბირთვული ნაწილის ერთ-ერთი ცენტრალური შემადგენელია. იგი დასტურდება უწყვეტი სიტყვაწარმოებითი სიახლეებისა და უძველესი ცნობიერებითი მოღვაწეობის ამსახველი შრეების თანაარსებობაში და მუდმივ სტიმულს აძლევს ახალ წარმოებათა მიღების შემოქმედებით პროცესს.

ძველი ქართული ენის შრეთა ლექსიკის გათანამედროვეება, სახარების, რუსთაველისა და საბასდროინდელი ლექსიკის შინაარსის გამარტივება და დღევანდელ სასაუბრო ენაზე მორგება არა მხოლოდ ენას არამედ ერსაც „გონიერების“ მიღმა დატოვებს.

დასკვნები

- ლექსიკის სემანტიკური ველის დადგენაზე მუშაობას (ჩვენს შემთხვევაში ესაა „ცოდნა-გონიერების ლექსიკის სემანტიკური ველი“) სხვადასხვა ტიპის მეთოდოლოგიური პრობლემები ახლავს, მათ შორისაა კვლევის ტაქტიკის შემუშავების პრობლემაც. სიტყვის სემანტიკური შესწავლა მოითხოვს: 1. სიტყვის სტრუქტურის, აგებულების შესწავლას, ანუ ფორმის კომპონენტების თავისებურებებზე დაკვირვებას ერთსა და იმავე ძირთან სხვადასხვა ელემენტის მორგების თვალსაზრისით 2. სემანტიკის შესწავლის (სიტყვის) შინაარსობრივ ან შინაარსობრივ/კონოტაციურ მიმართებას კონტექსტთან, ტექსტთან ან დისკურსთან.
- საკვლევი ლექსიკა მოითხოვს იმ დარგობრივი სფეროების შემოფარგვლას, რომლებიც სხვადასხვა კუთხით აკვირდება სიტყვის მნიშვნელობას, კონოტაციასა და ასოციაციურ კავშირს ველსგარეთა მნიშვნელობებთან. ისიც გასააზრებელია, რომ დარგობრივი გადაკვეთა ხშირ შემთხვევაში მეთოდოლოგიის სიმწიფობრეზეც ახდენს გავლენას, რადგან არცთუ იშვიათად ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა დარგში ერთი და იგივე მოვლენა არ არის (თუნდაც შედარებითი და შეპირისპირებითი მეთოდები ავიღოთ ისეთ დარგებში, როგორცაა სოციოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ისტორია და საბუნებისმეტყველო დისციპლინები... ამიტომაცაა, რომ ორიოდ სიტყვით უნდა შევეხოთ ლექსიკოლოგიას, სემანტიკას, სემასიოლოგიას, როგორც ჩვენი მასალის მოწესრიგებისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელ დისციპლინებს..
- საგანს, ცნებასა და სიტყვას შორის ლოგიკური მიმართებები ენაში წარმოგვიდგება დენოტატს, აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის მიმართებების სახით. და რამდენადაც ცნების ლოგიკური კატეგორია ენობრივ ნიშანთან კავშირში სემანტიკურ კატეგორიად განიხილება, ჩვენ ფორმაზე მსჯელობაში ვერ „ვეტევით“ და უთუოდ სემანტიკური ველის შიგნით გვიწევს შინაარსობრივი და ასოციაციური კავშირების ძებნა.

- ჩვენი აზრით, ყველა შესაძლო ლექსიკური ფორმის ერთად ჩამოთვლისა და შემდეგ ცალკეულ მნიშვნელობასთან მკითხველის გაგზავნის საბასეული მეთოდი უკეთ გადმოსცემდა ე.წ თავისებური ზმნების (მწკრივნაკლი და ფუძემონაცვლე) ფორმების დროკილოური პარადიგმის სრულ სემანტიკურ სურათს, ვიდრე ამავე ტიპის ზმნათა მოწოდების განმარტებითი ლექსიკონისეული პრინციპი შეცვლილ ფუძეთა ურთიერთკავშირის იგნორირებისა.
- ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში ფართო სემანტიკურ ველს ქმნის. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მისი სემანტიკური არეალი ასეთია: გონი, გონება, გონიერი, ჰგონია, გომებამახვილი, გონებადაბნეული, გონებადაკარგული, გონებამახვილური, გონებაშეზღუდული, უგონი, დაბნეული, გონებაჩლუნგი, გონებრივი, გონიერება, აზრი, შეხედულება, განზრახვა, ფიქრი, აზროვნება, აზრდაბნეული, უაზრი, აზრიანი, მოაზროვნე, სააზროვნო, გასააზრებელი, გაუაზრებელი, აზრდაკარგული, ბრძენი, ბრძენთა-ბრძენი, ბრძნობს, ბრძნული, სიბრძნე, სიბრძნისმოყვარეობა, სიბრძნისმეტყველი, სიბრძნე, სიბეჯითე, ბეჯითი, სიბეჯე, ბეჯი, ბეჯითობა, ბეცობა, ფილოსოფოსი, ბრიყვი, რეგვენი, უმეცარი, ხეპრე, ბრიყვული, სწავლა, განათლება, სწავლული, ნასწავლი, უსწავლელობა, უსწავლელი, უტვინო, უტვინობა, მეცნიერი, ფიქრი, მსჯელობა, საგონებელი, სადარდებელი, საზრუნავი, ფიქრებაშლილი, ფიქრიანი, ფიქრმიუწვდომელი, ფიქრმიცემული, შემეცნება, შემეცნებითი, დაფიქრებული, საფიქრალი, ცოდნა, მცოდნე, ცოდნისმოყვარე, ცოდნისმოყვარეობა, ცნობა, შეცნობა, ცნობს, მიხვედრა, აღიარება, გაგება, ცნობილი, ცნობიერება, ნაცნობი, მაცნე, მცნობარი, მცნობელი, უცნობი, ცნობადაკარგული, ცნობამიხდილი, ცნობიერი, ქვეცნობიერი, ცნობისმოყვარე, ცნობისმოყვარეობა, ჭკუა, ჭკუაგახსნილი, ჭკუა-გონება, ჭკუადაბნეული, ჭკუადაძვადარი, ჭკუადახშული, ჭკუათმყოფელი, ჭკუათხელი, ჭკუამახვილი, ჭკუამოკლე, ჭკუამოკლეობა, ჭკუასუსტი, ჭკუა-მსუბუქი, ჭკუამხიარული, ჭკუიანი, ჭკუანაკლები, მოსულელი.
- ცოდნა-გონიერების აღმნიშვნელ ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფს განავრცობს ასევე სიტყვები: გულისთქმა, გულისნადები, გულისპასუხი, გულისყური, გულისხმა, გულისხმიერი, გულმავიწყი, გულმავიწყობა, გულმოდგინე და სხვ.

- ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკის სემანტიკური ბუდის არეალი საკმაოდ ვრცელია და მის პერიფერიებში მრავალი ახალი ფუძე ჩნდება, რომლებიც სრულებით არ ენათესავება ჩვენ მიერ შერჩეული ფუძეების აგებულებას, თუმცა მათთან მჭიდრო სემანტიკური ნათესაობა აკავშირებს. ასეთ ლექსიკურ ერთეულებად შეგვიძლია დავასახელოთ: განათლებული, ფილოსოფოსი, გულისყური, შეხედულება, მეცნიერი, ბეცი, ბრიყვი, რეგენი, ხეპრე, უტვინო, სადარდებელი...
- ცოდნა-გონიერების ამსახველი ლექსიკა ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“, როგორც დავინახეთ, საკმაოდ ვრცელ და მრავალმხრივ სემანტიკურ ჯგუფს ქმნის, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე ფუძე (ძირი), რომლებიც სხვადასხვა ამოსავალი მნიშვნელობის მიუხედავად ბოლოს ერთ სემანტიკურ ველში გადაიკვეთნენ; თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ „გონიერების ველი“ ამ ლექსემათა უმრავლესობისათვის „უკანასკნელი სადგური“ სულაც არ არის. ამ ველში ისინი შეიძლება მხოლოდ ეპიზოდურად, მხოლოდ ერთ კონტექსტში აღმოჩნდნენ, მათი დანარჩენი მნიშვნელობები კი სხვა სემანტიკურ ველებს შეიძლება უკავშირდებოდეს.
- საბას ლექსიკონში არის ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შინაარსშიც გულისხმობენ ღრმა, მყარ ცოდნას. ცოდნა მოცემული სალექსიკონო მასალის კლასიფიკაციის შემთხვევაში შემდეგ სალექსიკონო ჯგუფებად დანაწილდება: თანდაყოლილი ცოდნა, ნიჭი (სხვათა შორის, საბასთან ნიჭი არ არის უშუალოდ გონებასთან დაკავშირებული ცნება: „ნიჭი საბოძვარი, განიჭნა, სანიჭარი, სანიჭ-ვარი, ჩუქება) ჭკუა- სიბრძნის გზები.
 კარგი და ცუდი ცოდნა: სიბრძნე - ესე არს მშობელი ჭკუისა და გამსინჯველი ცნობათა; სიბრძნე და სივერაგე ემსგავსებიან: სიბრძნე კეთილ, ხოლო სივერაგე - არაკეთილ, ცბიერი, ვერაგი (ვერაგი - ჯერჯობა, ესე არს მრავალი ღონისძიება ღვაწლთა შინა, სივერაგე არს ჯელოვან ყოფა ღვაწლსა შინა. (ორბელიანი 2013: 332)
 ინტუიციური ცოდნა: გულს-თქმა (გონებით ნდომა) გულის-ზრახვა (გონებით ლაპარაკი)... მგონია, მიხუედრა, ვზრახავ, ვსაზრავ, ფიქრი, გულისზრახვა, გულისთქმა, გულისსიტყვა.

შემენილი ცოდნა: ისწავა, აუწყა, მწიგნობარი.

ცოდნა სწავლაზე დაფუძნებული: მკითხველი, მცოდნელი, მცოდინარე, მწიგნობარი, რიტორი, იკითხა, შესმენა, აცნობა, აგონა.

ცოდნა პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე: ისიბრძნა, წულილმოგონება, განცდა-დანახვა.

ცოდნა, ვარაუდზე დაფუძნებული: მგონია.

ცოდნა, განცდაზე დაფუძნებული: ვზრახავ, გულის ტანჯვა.

ცოდნის არქონის ჯგუფები: (უქკუობა, სიმჩატე, დეფექტი, აჩქარებულობა, შეცდო-მაზე დაფუძნებული არცოდნა...) მაგ., შესწავლა, უგულისყურო, უგუნურება, უგუ-ნური, უმეცარი, უმეცრება, უცები, უქკუო... ჩქარი: „ესე არს კაცი გულჩქარი, გინა საქციელსწრაფი, ანუ სიტყვითა და მისთანანი, ანუ ცხენი ავის წურთილებისაგან გვიან დაწყნარდეს, გინა მდინარე ჩაღმა სისწრაფით ჩადიოდეს და მისთანანი...“

- „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენა გამოირჩევა ე.წ. დარბაისლური მონუმენტური სტილით, პოეტი ხშირად იყენებს ისეთ მხატვრულ ხერხებს, როგორცაა: მეტაფორა, შედარება, გამეორება, ალიტერაცია, ბუნების აღწერა და სხვ. რუსთველის ენისათვის დამახასიათებელია „აფორიზმების“ სიმრავლე. როგორც დავრწმუნდით, ამ შემოქმედებით პროცესში გონ- ძირის შემცველი ლექსიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს.
- როგორც კვლევა აჩვენებს, გონიერების ლექსიკის ყველა ძირითადი ფორმა ცალკე იკეთებს ამავე ძირისა და სხვა ძირის საფუძველზე აგებულ სემანტიკურ ქვეჯგუფებს, რომელთა თავმოყრა დიდად წაადგება არა მხოლოდ ქართული ლექსიკის შესწავლის, არამედ ელექტრონული ბაზებისათვის სიტყვათა ზედმიწევნითი განმარტებების მიწოდების აქტუალურ საქმეს.
- მენტალურ დეფექტებზე მიმანიშნებელი ლექსიკის ფორმოზრივი და სემანტიკური მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ამ ლექსიკის დიაპაზონი და ლექსიკოგრაფიული პოტენციალი.
- ნეგატიური მნიშვნელობისა თუ კონოტაციის შემცველი ლექსიკა ნებისმიერ ენაში მრავლად მოიძვება და გამოიყენება; სპეციალისტების აზრით, ფასეულობათა გაგება მხოლოდ დადებითი კონოტაციით ფორმულირებაში ვერ გადმოიცემა;

აუცილებელია აღიწეროს არა მხოლოდ ის, რაც კარგია, არამედ ისიც, რაც ამა თუ იმ კულტურას კარგად არ მიაჩნია.

- როგორც კვლევამ აჩვენა, გონიერების ლექსიკა მთლიანად ენის ლექსიკური სისტემის ბირთვული ნაწილის ერთ–ერთი ცენტრალური შემადგენელია. იგი დასტურდება უწყვეტი სიტყვაწარმოებითი სიახლეებისა და უძველესი ცნობიერებითი მოღვაწეობის ამსახველი შრეების თანაარსებობაში, და მუდმივ სტიმულს აძლევს ახალწარმოებათა მიღების შემოქმედებით პროცესს.
- სამწიგნობრო ქართული ენის გათანამედროვეება, სახარების, რუსთაველისა და საბასდროინდელი ლექსიკის შინაარსის გამარტივება და დღევანდელ სასაუბრო ენაზე მორგება არა მხოლოდ ენას, არამედ ერსაც „გონიერების“ მიღმა დატოვებს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. **აბულაძე 1973:** აბულაძე ი., „ძველი ქართული ლექსიკონი“, თბილისი, 1973.
2. **ადვაძე 2015:** ადვაძე მ., „უარყოფის პრაგმატული ასპექტები სხვადასხვა სისტემის ენებში (ქართული და ინგლისური ენების მასალაზე დაყრდნობით)“/ ადვაძე მ; დის...დოქტ. აკად. ხარ./სამეცნ.ხელმძღვ.: მანანა რუსიეშვილი, ნუნუ გელდიაშვილი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თელავი 2015.
3. **ანტონ I 1885:** ანტონ I, „ქართული დრამატიკა“, თბილისი, 1885.
4. **ახალაშვილი 2013:** ახალაშვილი ნ., „ფსიქოლოგიის საფუძვლები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2013.
5. **ბაკურაძე 2007:** ბაკურაძე, „სულხან-საბა ორბელიანის გრამატიკული ნააზრევი „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით“, დისერტაცია, თბილისი, 2007.
6. **ბიბლიის თარგმნის ისტორია:** <http://www.bible.ge/page.php?pgname=CAT-01ef8&pageID=39> , მოძიებულია 12.11.2018 .
7. **გამყრელიძე...2003:** გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი, შენგელია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2003.
8. **გვენცაძე 2009:** გვენცაძე მ., „ლინგვისტური გერმანისტიკა“, თბილისი, 2009.
9. **თევდორაძე 2016:** თევდორაძე ნ., „ენათმეცნიერების შესავალი“, თბილისი, 2016.
10. **თევზაძე 2012:** თევზაძე გ. , „ახალი ფილოსოფიის ისტორია“, ნაწილი I და II, თბილისი, 2012.
11. **თურქია 2013:** თურქია თ., „ადამიანის საცხოვრისის ამსახველი ლექსიკის პრაგმატიკული ანალიზი ((ქართული ენის მაგალითზე)/თ. თურქია; დის...დოქტ. აკად. ხარ./სამეცნ.ხელმძღვ.: მერაბ ნაჭყებია; სოხუმის სახელმწ. უნ-ტი; 2013-173 გვ.-- ბიბლიოგრ.: გვ.170–173. UDC: 811.353.1'373., თბილისი, 2013.
12. **თურქია 2013:** თურქია თ., „მხატვრული ნაწარმოების თარგმანი, თუ ადაპტაცია?“, ქართველური მემკვიდრეობა, XXI, 2013.
<https://atsu.edu.ge/EJournal/Kartvelology/issues/XXI/TurkiaTinatin.pdf>. მოძიებულია 14.08.2018.
13. **ინტელექტის თეორიები 2002:** https://ka.wikipedia.org/wiki/ინტელექტის_თეორიები. მოძიებულია 17.09.2018.

14. **ოიანე დამასკელი:** მართმადიდებლური სარწმუნოების ზედმოწევნითი გადმოცემა თავი XXXII, <http://www.orthodoxy.ge/gvtismetkveleba/damaskeli/32.htm>, მოძიებულია 10.11.2018.
15. **კანტი 1979:** კანტი ი., „წმინდა გონების კრიტიკა“, მთარგმნელი შალვა პაპუაშვილი, რედაქტორი - გურამ თევზაძე, თბილისი, 1979.
16. **ლებანიძე 1997:** ლებანიძე მ., ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში, „ენა და კულტურა“, თბილისი, 1997.
17. **მარტიროსოვი 1958:** მარტიროსოვი, „აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და საწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძვ.ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ IX-X, თბილისი, 1958.
18. **მახაროზლიძე 2011:** მახაროზლიძე თ., „კონკრეტული თუ აბსტრაქტული?“ , იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტომიXXXIX , თბილისი, 2011.
19. **მელაძე 2016:** მელაძე გ., „ენობრივი ეკვივალენტობის საკითხი გერმანიკული წარმოშობის ლექსიკის მაგალითზე“, იანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დისერტაცია, ხელმძღვანელი თინათინ მარგალიტაძე , თბილისი, 2016 .
20. **მენტეშაშვილი 1957:** მენტეშაშვილი სტ., „ბუდეები და მათი შედგენის საფუძვლები საბას „სიტყვის კონაში“, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, XII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1957.
21. **მირზიკაშვილი 2014:** მირზიკაშვილი ქ., „მოსმენა-აღქმის აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში“, ჟურნალი „სპეკალი“, VIII ნომერი, 2017.
<http://eprints.tsu.ge/545/1/სპეკალი%20№8%202014-%20ketevan%20mirzikashvili.pdf>
მოძიებულია 20.07.2019 .
22. **მნათობი 1959:** მნათობი აკ., „სულხან-საბა ორბელიანი როგორც ლექსიკოგრაფი“, მნათობი № 10, თბილისი 1959.
23. **ნარიმანაშვილი 2013:** ნარიმანაშვილი მ., „სტენბერგის ინტელექტის მოდელი“, 2013. <http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1739>. მოძიებულია 10.07.2019.
24. **ნადირაშვილი 1985:** ნადირაშვილი შ., „განწყობის ფსიქოლოგია“, თბილისი, 1985.
25. **ნებიერიძე 1974:** ნებიერიძე გ., „ენათმეცნიერების შესავალი“, თბილისი, 1974.

26. ნეიმანი 1974: ნეიმანი ალ., „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, თბილისი, 1974.
27. ონიანი 1966: ონიანი ალ., „ქართული იდიომები“, თბილისი, 1966.
28. ორბელიანი 1991: ორბელიანი ს.ს., „ქართული ლექსიკონი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, I და II ტომი, თბილისი, 1991.
29. რამიშვილი 2002: რამიშვილი გ., „დედაენის თეორია“, თბილისი, 2002.
30. საბანისძე 1961: საბანისძე ი., „აბო ტფილელის მარტვილობა“, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, 1961.
31. სარჯველაძე 1997: სარჯველაძე ზ., ძვ.ქართული ენა, თბილისი, 1997.
32. სარჯველაძე...2000: სარჯველაძე ზ., ფენრიხი ჰ., „ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, (ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), თბილისი, 2000
33. სახარება: გიორგი მთაწმინდელის თარგმნილი სახარება, (http://orthodoxy.ge/tserili/mtatsmindeli/akhali_agtqma.htm). მოძიებულია 7.07.2017 .
34. სახარება: ბაჩანა ბრეგვაძის რედაქციით გამოცემული სახარება, (<http://orthodoxy.ge/tsmidatserili.htm>). მოძიებულია 17.08. 2017.
35. სახოკია 1979: სახოკია თ., „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, თბილისი, 1979.
36. სეპერი 2005: სეპერი ე. „კულტურა, ენა, პიროვნება“, თბილისი, 2005.
37. სვოდეში 1960: სვოდეში მ., სემანტიკური ჯგუფები, თბილისი, 1960.
38. სვოდეში 1960: სვოდეში მ., „სემანტიკური ჯგუფები“, თბილისი, 1960.
39. ტაბიძე 2015: ტაბიძე მ., სოციოლინგვისტიკა (მასალები სალექციო კურსისათვის, კურსისათვის), გამომც. ქართული უნივერსიტეტი, მონოგრაფია, თბილისი, 2015.
40. ტაბიძე 2017: ტაბიძე მ. „ადამიანის ფიზიკური (ან სულიერი) ნაკლის აღნიშვნის ლექსიკური ტრადიცია ქართულში და თანამედროვეობა“, ქართველური მემკვიდრეობა, ტომი XXI, ქუთაისი, 2017.
41. უზნაძე 1947: უზნაძე დ., „ენის შინაფორმა, ფსიქოლოგია“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, V ტომი, თბილისი, 1947.
42. უზნაძე 1998: უზნაძე დ., „ზოგადი ფსიქოლოგია“, თბილისი, 1998.
43. უზნაძე 1998: უზნაძე დ., „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები“, შრომები I, თბილისი, 1956.

44. **ფილოსოფიის ისტორია 2008:** ფილოსოფიის ისტორია, წიგნი II, რედაქტორი ზაზა შათირიშვილი, თარგმნა მარიკა სააკაშვილმა, თბილისი, 2008.
45. **ფოჩხუა 1966:** ფოჩხუა ბ., „სიტყვათწარმოება და ლექსიკოლოგია“ , იბერიულ-ლავკასიური ენათმეცნიერება, ტომი XV, თბილისი, 1966
46. **ფოჩხუა 1974:** ფოჩხუა ბ., „ლექსიკური ფონდის თემატურად დანაწავრების საკითხი“, თბილისი,1974.
47. **ფოჩხუა 1974:** ფოჩხუა ბ., „ქართული ენის ლექსიკოგრაფია“, თბილისი, 1974.
48. **ფოჩხუა 1987:** ფოჩხუა ბ., „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი“, ტომი I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1987.
49. **ფუტკარაძე 1997:** ფუტკარაძე ტ., „მოტივაცია, როგორც ენათა ნათესაობის ერთ-ერთი ასპექტი“, ქართველური მემკვიდრეობა, გამომცემლობა I, ქუთაისი, 1997.
50. **ქეგლ 1986:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი,1986.
51. **ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია:** ლექსიკონი I და II ტომი, გამომცემლობა „არტანუჯი“,თბილისი 2005.
52. **ღლონტი 1984:** ღლონტი ალ., „ქართულ კილო- თქმათა სიტყვის კონა“, თბილისი,1984.
53. **ყალიჩავა 2018:** ყალიჩავა ლ., „რა არის ინტელექტი“, <http://intermedia.ge/სტატია/94395-რა-არის-ინტელექტი/123/>. მოძებულია 25.03.2019.
54. **შანიძე 1973:** შანიძე აკ., „ქართული ენის საფუძვლები“, თბილისი, 1973.
55. **შანიძე 1980:** აკ.შანიძე, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, ტომი III, თბილისი, 1980.
56. **შარაძენიძე 1972:** შარაძენიძე თ., „თანამედროვე ენათმეცნიერების თეორია“, თბილისი, 1972.
57. **შოთა რუსთაველი 1988:** შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ქართული მწერლობა, თბილისი, 1988.
58. **ჩიქობავა 1942:** ჩიქობავა არნ., „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, თბილისი,1942.

59. **ჩიქობავა 1938:** ჩიქობავა არნ., „ჭანურ-მეგრულ- ქართული შედარებითი ლექსიკონი“, თბილისი, 1938.
60. **ჩიქობავა 1950:** ჩიქობავა არნ., ქეგლ, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, I-VIII ტომი, საქართველოს მეცნ.აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950.
61. **ჩიქობავა 1952:** ჩიქობავა არნ., „ენათმეცნიერების შესავალი“, თბილისი, 1952.
62. **ჩიქობავა 1959:** ჩიქობავა არნ., „საბას „სიტყვის კონა“, როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი“, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959.
63. **ჩიქობავა 1986:** ჩიქობავა არნ., „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, თბილისი, 1986.
64. **ჩიქობავა 1983:** ჩიქობავა არნ., „ზოგადი ენათმეცნიერება“, I და II ტომი, თბილისი, 1983.
65. **ჩუხუა 2003:** ჩუხუა მ., „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი“, თბილისი, 2003.
66. **ძველი ქართული შეერთებული ლექსიკონი 2008 :** ძველი ქართული შეერთებული ლექსიკონი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2008.
67. **წერეთელი 1959:** წერეთელი ბ., სულხან-საბა ორბელიანი და თანამედროვე დიალექტური ლექსიკა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, XVII სესია, თბილისი, 1959.
68. **ჭინჭარაული 1984:** ჭინჭარაული ალ., „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის ზოგი საკითხი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, XLII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1984.
69. **ხუბუტია 1969:** ხუბუტია ბ., „თუმური კილო, ლექსიკა“, თბილისი 1969.
70. **ჯორბენაძე 1995:** ჯორბენაძე ბ., „ქართული ენის მორფოლოგია“, თბილისი, 1995.
71. **ჯორბენაძე 2011:** ჯორბენაძე ბ., „არსებით სახელთა დაჯგუფების ახალი პრინციპისათვის ქართულში“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტომი XXXIX, თბილისი, 2011.
72. **ჯორბენაძე 2011:** ჯორბენაძე ნ., „არსებით სახელთა ჯგუფების ახალი პრინციპისათვის ქართულში“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. XXXIX, თბილისი, 2011.
73. **ჯორბენაძე 1997:** ჯორბენაძე ბ., „ენა და კულტურა“, თბილისი, 1997.

74. **Humboldt 1996:** Humboldt W., Band 3, Schriften zur Sprachphilosophie, Herausgegeben von Andreas Flitner und Klaus Giel, Stuttgart, 1996.
75. **Stoeva-Holm 2005:** Stoeva-Holm D., Zeit für Gefühle, eine linguistische Emotionsthematisierung in deutschen Schlagern, Tuebingen, 2005.